

დიონ კასიოსის ცნობები
საქართველოს შესახებ

თბილისი
1966

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XVII

დიონ კასიოსი

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

**СВЕДЕНИЯ ДИОНА КАССИЯ
О ГРУЗИИ**

ГРЕЧЕСКИЙ ТЕКСТ С ГРУЗИНСКИМ ПЕРЕВОДОМ
ИЗДАЛ, ВВЕДЕНИЕМ И КОММЕНТАРИЯМИ СНАБДИХ

НОДАР ЛОМОУРИ

**CASSII DIONIS EXCERPTA AD
GEORGIAM PERTINENTIA**

TEXTUM GRAECUM CUM VERSIONE GEORGICA EDIDIT,
PRAEFATIONE ET COMMENTARIIS ILLUSTRAVIT

NODAR LOMOURI

დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ
გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო

ნოდარ ლომოურმა

9(C41) +901(3)
9(47.922X001) +90(37) +[016.3]
კ 331

II -III ს. ბერძენი ისტორიკოსის დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ გადმოგვცემს რომის სახელმწიფოს თავგადასავალს უძველესი დროიდან III ს. დასაწყისამდე. ძირითად ყურადღებას ავტორი უთმობს რომის საგარეო ურთიერთობას და შინაგან პოლიტიკურ მოვლენებს. დიონ კასიოსს მოეპოვება არაერთი საინტერესო ცნობა ქართულ სახელმწიფოებთან (იბერია, კოლხეთი) რომის ურთიერთობის შესახებ. ამ პრობლემის შესწავლისათვის დიონ კასიოსის ცნობებს პირველხარისხიანი მნიშვნელობა ენიჭებათ, ამასთან ერთად, დიონ კასიოსის ცალკეული ცნობები საშუალებას გვაძლევს საქართველოს იმდროინდელი სოციალური და პოლიტიკური ვითარებაც გავითვალისწინოთ.

წინამდებარე გამოცემაში „რომის ისტორიიდან“ ამოკრეფილია ცნობები საქართველოს შესახებ, მოცემულია მათი თარგმანი და ახსნა-განმარტება.

**მთავარი რედაქცია: ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი,
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია**

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი

ს ი მ . ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

წინასიტყვაობა

იმ ბერძენ-რომაელ მწერალთა შორის, რომელთაც საქართველოს შესახებ მოგვწოდებთ ცნობები, დიონ კასიოს კოკეიანოსს უდავოდ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. თავის ნაშრომში „რომის ისტორია“ დიონ კასიოსს შეტანილი აქვს რომის მიერ აღმოსავლეთში წარმოებული ლაშქრობების, აღმოსავლეთის ქვეყნებთან რომის ხელისუფალთა ურთიერთობის შესახებ საინტერესო მონაცემები. ამ ცნობებში საკმაოდ ბევრი ადგილი ეთმობა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა და, კერძოდ, საქართველოს სამეფოთა მდგომარეობას, მათ ადგილსა და მნიშვნელობას აღმოსავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე.

ისტორიოგრაფიაში, როგორც რუსულსა და უცხოურში, ისე ქართულში, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ ხშირად ყოფილა გამოყენებული და ახსნილ-განმარტებული. ყველა ისტორიკოსი, ვინც კი საქართველოს ძველი ისტორიის საკითხებს იკვლევს, იყენებს დიონ კასიოსს (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ი. ბოლტუნოვა, ვ. ვ. ტრევერი, გ. მელიქიშვილი და სხვ.). მაგრამ ამ ცნობების მოლიანი შესწავლა, მათი მონოგრაფიული დამუშავება ჯერ არავის უცდია. არ არსებობს დიონ კასიოსის საქართველოს შესახებ ცნობების ქართული თარგმანიც. როგორც ცნობილია, ვ. ვ. ლატიშევმა თავის დროს შეკრიბა და რუსული თარგმანითურთ გამოაქვეყნა ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ¹. ამ კრებულში შევიდა დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ ის ადგილებიც, რომლებიც საქართველოს შეეხება. ეჭვს გარეშეა, რომ ვ. ვ. ლატიშევის ამ გამოცემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავის დროს, მაგრამ მასში ზოგი რამ გამორჩენილია, ზოგჯერ თარგმანი მთლად ზუსტი არ არის,

¹ В. Л а т ы ш е в , Известия древних писателей о Скифии и Кавказе, СПб., 1880–1904.

ხოლო ის კომენტარები, რომლებიც ჟურნალმა „Вестник древней истории“-იმ დაურთო ვ. ვ. ლატიშევის კრებულის ახალ გამოცემას (იხ. ВДИ, 1948, № 4, გვ. 266-267), იმდენად მოძველებულია და ისეთ სამწუხარო შეცდომებს შეიცავს, რომ საეჭვოა მათ რაიმე მეცნიერული ინტერესი ჰქონდეს. რაც შეეხება დიონ კასიოსის ცალკეული ცნობების ახსნა-განმარტებას, აქ მეცნიერთა შორის ხშირად მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ მოგვეცა დიონ კასიოსის იმ ცნობათა თარგმნა და ახსნა-განმარტება, რომლებიც საქართველოს შეეხება; მაგრამ უს ცნობები რომ არ ყოფილიყო ხელოვნურად ამოგლეჯილი ნაშრომიდან და დაკავშირებული ყოფილიყო საერთო მოვლენებთან, ჩვენ მიზანშეწონილად, დავინახეთ, ამოგვეკრიბა და გვეთარგმნა ყველა ის მონაცემი, რომელიც რომისა და ამიერკავკასიის ურთიერთობას შეეხება, მით უფრო, რომ ქართულ სახელმწიფოთა იმდროინდელი მდგომარეობისა და რომთან მათი დამოკიდებულებ-

ბის გაგება შეუძლებელია ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოთა (არმენია, ალბანეთი) მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. ამავე მიზეზით არ გამოგვიტოვებია დიონ კასიოსის ის ადგილები, რომლებიც რომისა და პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის ბრძოლებზე მოგვითხრობენ; პონტოს სამეფო ხომ ტერიტორიულადც ახლოს იყო ანტიკურ საქართველოსთან და ეთნიკურად და პოლიტიკურადაც მასთან საკმაოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ჩვენ ყურადღება ზოგიერთ შემთხვევაში შევაჩერეთ აგრეთვე რომისა და პართიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებზედაც, რამდენადაც ეს ურთიერთობა მნიშვნელოვნად მოქმედებდა აგრეთვე ამიერ-კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ვითარებაზედაც.

ტექსტსა და თარგმანს წარუმძღვარეთ დიონ კასიოსის ბიოგრაფია, მისი ნაშრომის ზოგადი დახასიათება და წყაროების შესწავლის სადღეისო მდგომარეობის აღწერა, ეს ნაწილი ძირითადად არსებულ სპეციალურ ლიტერატურაზეა დამყარებული.

ტექსტზე დართულ კომენტარებში შევეცადეთ აგვეხსნა დიონ კასიოსის ცალკეულ ცნობათა არსი და მნიშვნელობა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებათა ურთიერთშეჯერებისა, და ზოგ შემთხვევაში საკუთარ დაკვირვებათა საფუძველზე.

შესავალი

ა) დიონ კასიოსის ცხოვრება და მოღვაწეობა

დიონ კასიოს კოკეიანოსი (Δίων ὁ Κάσσιος ὁ Κοκκίανός; Cassius Dio Cocceianus), წარმოშობით იყო ბითონიის ქალაქ ნიკეიდან. მისი ბიოგრაფიის შესახებ შენახულია შედარებით ძუნწი ცნობები და ამ მხრივ მთავარ წყაროს წარმოადგენს თვით მისი ნაშრომი, სადაც ავტორი თავისი ცხოვრების ცალკეულ ფაქტს აღნიშნავს მისი თანამედროვე მოვლენების აღწერისას როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ჩვენი ისტორიკოსი ჩამომავლობით სენატორულ წრეებს ეკუთვნოდა. მამა მისი – კასიოს აპრონიანოსი იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს (161–180) კილიკიის მმართველად ყოფილა¹, ხოლო შემდეგ, უფრო გვიან – დალმაციისა². დიონ კასიოსის დაბადების თარიღის შესახებ გარკვეული ცნობები არ არსებობს. სვიდას გადმოცემით იგი ალექსანდრე სევერუსის დროს დაიბადა (γενῶσάς ἐπὶ τῶν χρόνων Ἀλεξάνδρου τοῦ Μαμακιάς)³. ამ ცნობის თანახმად დიონ კასიოსი III საუკუნის 20-30-იან წლებში უნდა იყოს დაბადებული, მაგრამ სვიდას აშკარად ეწინააღმდეგება თვით დიონ კასიოსის ცნობა, რომ იგი ახლდა თავის მამას კილიკიაში⁴; ე. ი. იმპერატორ მარკუს ავრელიუსის დროს იგი უკვე დაბადებული ყოფილა.

193 წ. იმპერატორმა პერტინაქსმა წამოაყენა დიონ კასიოსის კანდიდატურა პრეტორის თანამდებობაზე შემდგომი წლისათვის⁵. ამრიგად, ამ დროისათვის იგი 40 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო,

¹ Dio Cass., LXIX, 1,3; LXXII, 7.2.

² იქვე, XLIX, 36,4.

³ S u i d e a Lexicon Graece et Latine, ed. Godfredus Bernhardt t. I, pars I, Hallis et Brunsvigae, 1852, გვ. 1410,

⁴ Dio Cass., LXXII, 7,2

⁵ იქვე LXXIII 12,2; История греческой литературы, т. III. Изд-во АН СССР, М., 1960, გვ. 198.

რადგან, როგორც ცნობილია, რომაული კანონების მიხედვით, ამ თანამდებობის დაკავება შეეძლო მხოლოდ 40–41 წელს მიღწეულ პირებს¹. ამრიგად დიონ კასიოსი უნდა დაბადებულიყო არა უგვიანეს 153–154–წლისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვეულებრივ მიღებულია 155 წ.². მაგრამ, ჩვენ ვფიქრობთ, უფრო ზუსტი იქნება, თუ დიონ კასიოსის დაბადების თარიღად მივიჩნევთ 153 წ., რადგან 155 წელს დაბადების შემთხვევაში ის არ იქნებოდა 40 წლისა 193 წელს, როცა პერტინაქსმა იგი პრეტორის თანამდებობაზე წამოაყენა³. რასაკვირველია, ეს თარიღი მხოლოდ terminus post quem შეიძლება იყოს, რადგან დიონ კასიოსი შეიძლებოდა უფრო ხნირიც ყოფილიყო პირველი საკურულო თანამდებობის დაკავებისას. მეორე მხრივ, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მის ჩამომავლობას, მისი მამის მაღალ თანამდებობრივ პოსტებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სრულწლოვანების მიღწევისთანავე იგი მალე უნდა

ჩაბმულიყო რომის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ბევრად არ უნდა დაეგვიანებინა მაღალ მაგისტრატურათა მიღწევაში.

211 წელს იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის დროს (193–211) ის არჩეულ იქნა ე. წ. *consul suffectus*-ად, ე. ი. იმ წელს გარდაცვლილი კონსულის მოადგილედ, შემცვლელად⁴. შემდეგი იმპერატორის ანტონინე კარაკალას (211 – 217) მეფობაში მას კვლავ საიმპერატორო კარზე ვხვდავთ. 216 წ., როგორც თვითონ გადმოგვცემს, დიონ კასიოსი ახლდა კარაკალას აღმოსავლურ ლაშქრობაში, თუმცა პართიასთან ომში მონაწილეობა არ მიუღია⁵, იმპერატორმა მაკრინუსმა (217 – 218) დანიშნა დიონ კასიოსი ქალაქების პერგამისა და სმირნის მოქალაქეთა უფლებების ზედამხედველ კურატორად (*curator ad corrigendum statum civitatum*) და ამ თანამდებობაზე დარჩა 030 ვიდრე ალექსანდრე სევერუსის გამეფებამდე, ე. ი. 222 წლამდე⁶.

¹ Т. Моммзеи, История Рима, т. III, М, 1941, гл. 17–18.

² Cassius Dio's Romische Geschichte ubersetzt von Dr. L. Tafel, I Bd., Stuttgart, 1881, Einleitnng, გვ. 1; Fv. Schoell, Geschichte der griechischen Littoratur, II Bd., Berlin, 1880, გვ. 431; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1949, გვ. 205.

³ მართალია, არის რამდენიმე შემთხვევა როდესაც ეს წესი ირღვეოდა, მაგრამ სამისოდ საჭირო იყო სენატის სპეციალური დადგენილება, ასეთი კი დიონ კასიოსის შესახებ არაა ცნობილი, შეად, Т. Моммзеи, История Рима, Т. III, გვ. 17–18.

⁴ Dio Cass, LXXVI 164.

⁵ იქვე, LXXVII, 19,18,

⁶ იქვე, LXXIX, 7,4; L XXIX, 18,3.

8

განსაკუთრებულ სამსახურებრივ წარმატებას აღწევს დიონ კასიოსი სწორედ ალექსანდრე სევერუსის დროს (222–235). ალექსანდრესაგან მიიღო მან აფრიკის პროკონსულის თანამდებობა, ხოლო შემდეგ საიმპერატორო პროვინციების – დალმაციისა და ზემო პანონიის პროკონსულობა¹. 229 წელს დიონ კასიოსი უკვე კონსულად და თვით იმპერატორის კოლეგად იქნა არჩეული, მაგრამ, როგორც ჩანს, რომში მას მაინცა და მაინც დიდი პოპულარობა ვერ მოუპოვებია და პრეტორიანული გვარდიის სიძულვილიც დაუმსახურებია, იმდენად, რომ მისი მოკვლაც კი განუზრახავთ. თვითონ დიონ კასიოსი ამას თავისი სიმკაცრითა და დისციპლინის მოყვარულობით ხსნის², ამ გარემოების გამო დიონ კასიოსი იძულებული გამხდარა კონსულობის დროსაც კი რომის ფარგლებს გარეთ ეცხოვრა, ხოლო შემდეგ საერთოდ ჩამოსცილებოდა პოლიტიკურ ცხოვრებას და მშობლიურ ბითვინიაში გადასახლებულიყო³.

როდის გარდაიცვალა დიონ კასიოსი, ცნობილი არ არის, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი სიკვდილის თარიღად ჩვეულებრივ მიღებულია 235 წელი, ალექსანდრე სევერუსის გარდაცვალების თარიღი; ეს აიხსნება იმით, რომ ამის შემდეგ მის ნაწარმოებში არავითარი ცნობები აღარ ჩანს⁴. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თავის შრომაში დიონ კასიუსი აღნიშნავს, რომ მას მიზნად

აქვს დასახული თხრობა მიიყვანოს ალექსანდრე სევერუსის სიკვდილამდე⁵, ე. ი. ამ უკანასკნელის გარდაცვალების ჟამს იგი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, მაგრამ რამდენადაც იგი ამ დაპირებას ვერ ასრულებს და ნაშრომს 229 წლით ამთავრებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის მართლაც ალექსანდრეს შემდეგ მალე გარდაცვლილა.

ამრიგად, დიონ კასიოსი უმაღლესი სენატორული წოდების წარმომადგენელია, თუმცა ძირძველი რომაელი მოქალაქე არ არის და ეკუთვნის პროვინციულ არისტოკრატიას, რომელმაც ამ დროისათვის უკვე საკმაოდ მყარი ადგილი დაიჭირა რომის ნობილიტეტში. იგი საიმპერატორო კართან დაახლოებული და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში გაწაფული პირია.

რაც შეეხება დიონ კასიოსის სამწერლო მოღვაწეობას, მის შესახებ ზოგიერთი მონაცემი თვითონ მას მოეპოვება. გარდა ამისა,

¹ Dio Casse, LXXX, XLIX, 36,4.

² იქვე. LXXX; 5.

³ იქვე.

⁴ J. Tafel, op. c., გვ. 16; K. Sclioell, ციტ. ნაშრ., გვ 432 ს. ყ ა უ ბ - ჩ ი შ ვ ი ლ ი, ციტ, ნაშრ., გვ. 204.

⁵ Dio Cass, LXXX, 5.

მისი ნაშრომები დასახელებული აქვს სვიდას. სვიდას ცნობით, დიონ კასიოსს დაწერილი ჰქონია „რომის ისტორია“ („Ρωμαϊκή ἱστορία«), 80 წიგნად, „პერსიკა“ (Περσικά“), „გეტიკა“ („Γετικά“), „ენოღია“ („Ἐνόσια“), „ტრაიანეს ცხოვრება“ („Τὰ κατὰ Τραϊανῆος“), და ფილოსოფოს არიანეს ცხოვრება („Βίον Ἀριάνου τοῦ φιλοσόφου“)¹.

სვიდას ეს ცნობა, როგორც ირკვევა, სწორი არ არის, როგორც გამორკვეული აქვს ე. შვარცს, არც „პერსიკა“ და არც „გეტიკა“ დიონ კასიოსს არ ეკუთვნის; პირველი დიონ ქრიზოსტომს დაუწერია, ხოლო მეორე დიონ კოლოფონელს². ე. შვარცის აზრით საეჭვოა, რომ დიონ კასიოსს დაწერილი ჰქონოდა ტრაიანეს ბიოგრაფიაც, რადგან ამის შესახებ არც დიონ კასიოსი არაფერს ამბობს და არც ტრაიანეს ეპოქის აღწერას „რომის ისტორიაში“ ეტყობა ამ ხანს დიონ კასიოსისაგან სპეციალურად შესწავლის რაიმე კვალი³. რაც შეეხება „ენოდიას“, მის შესახებ სპეციალისტები საერთოდ არაფერს ამბობენ რადგან გაურკვეველია ამ ნაწარმოების სათაურიც კი, უფრო დასაშვებად მიაჩნია ე. შვარცს დიონ კასიოსის მიერ არიანეს ბიოგრაფიის დაწერა⁴. ე. შვარცის ეს შეხედულებანი საყოველთაოდ მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

გარდა ამისა, სვიდას გამორჩენილი აქვს ერთი ნაწარმოები, რომლის შესახებ თვითონ დიონ კასიოსი გვაწვდის ცნობას, ესაა წიგნი „სიზმრებისა და წინასწარმეტყველებათა შესახებ“. ამავე დროს დიონ კასიოსს დაუწერია აგრეთვე „კომოდის მმართველობის, ისტორია“, მაგრამ დიონ კასიოსის ნაწარმოებები, გარდა „რომის ისტორიისა“, ჩვენამდე არ მოღწეულა და არც სხვა ავტორებს აქვთ რაიმე მითითება მათ შესახებ.

როგორც ისტორიკოსმა დიონ კასიოსმა მოღვაწეობა შედარებით გვიან, იმპერატორის კომოდის სიკვდილის შემდეგ (193 წ.) დაიწყო. ამის შესახებ იგი თვითონ მოგვითხრობს შემდეგს: დიონ კასიოსს ჰქონდა დაწერილი და გამოცემული წიგნი „სიზმრებისა და წინასწარმეტყველებათა შესახებ“, რომელიც მას იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსისათვის მიუთმევია, იმპერატორს საგანგებო წერილში ბევრი ქება მიუწერია ავტორისათვის. ამ ქებისა და სიზ-

¹ Suidae Lexicon..., s. v.

² Schwartz Cassius Dio Cocceianus, RE, III Bd., გვ. 1685,

³ იქვე, გვ. 1685.

⁴ იქვე, გვ. 1685–86.

⁵ Dio Cass., LXXII, 23

10

მრის შთაგონებით დიონ კასიოსს გადაუწყვეტია აღეწერა იმპერატორ კომოდის მეფობა და შემდგომი ამბები, ამ შრომასაც მოწონება დაუმსახურებია და მაშინ მწერალს მიზნად დაუსახავს მთელი რომის ისტორია აღეწერა დასაბამიდან იმ დრომდე, სადამდისაც მას ბედი მისცემდა საშუალებას და მისი თანამედროვე ამბები მოეცა არა განცალკევებით, არამედ რომის დანარჩენ ისტორიასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, აღნიშნავს დიონ კასიოსი, „მე ვაგროვებდი ათი წლის მანძილზე მთელ ისტორიულ მასალას რომის დაარსებიდან სევერუსის სიკვდილამდე და შემდეგი 12 წლის განშავლობაში გადავამუშავე იგი ნამდვილ ისტორიად, გაგრძელებას (ე. ი. ალექსანდრე სევერუსის სიკვდილის შემდეგ) დავწერ მანამდე, სანამდეც მივაღწევ“¹.

ასე შეუქმნია დიონ კასიოსს თავისი ძირითადი ნაწარმოები „რომის ისტორია“,

ბ) დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ საერთო დახასიათება

დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ (Ῥωμαϊκὴ ἱστορία) მოიცავს ხანას რომის დაფუძნებიდან (ლეგენდარული ენეასის დროიდან). ვიდრე 229 წლამდე². იგი 80 წიგნისაგან შედგება და სვიდას გადმოცემით ტრადიციულ დეკადებად იყო დაყოფილი³. თვითონ დიონ კასიოსის სიტყვით, მისი ნაშრომი შინაარსის მიხედვით სამ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი შეიცავს 51 წიგნს და ეხება რომის ისტორიას დასაბამიდან იმპერიის შექმნამდე, ე. ი. ავგუსტუსის ხანამდე; მეორე ნაწილი მოიცავს ისტორიას ავგუსტუსიდან მარკუს ავრელიუსის სიკვდილამდე და მესამე – მარკუსის გარდაცვალებიდან ბოლომდე⁴.

თავისი ხასიათის მიხედვით „რომის ისტორია“ შეიძლება ორ ძირითად ნაწილად გავყოთ: პირველი ნაწილი – დასაწყისიდან ვიდრე მე-72 წიგნამდე – შედგენილია წინადროინდელ მწერალთა და სხვა ხასიათის წყაროების მიხედვით და წარმოადგენს ერთგვარ მიმოხილვითი ხასიათის კომპენდიუმს, მეორე ნაწილში – მე-72 წიგნიდან ბოლომდე – ავტორი გვევლინება მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვედ და თვითმხილველად; ამიტომ მისი თხრობა უფრო

¹ Dio Cuass., LXXII, 23.

² იქვე, LXXX, 5.

³ Suidae Lexicon., s. v

⁴ Dio Cuass, LXXI, 4.2.

დიონ კასიოსი რომაული ისტორიოგრაფიის ტიპიური წარმომადგენელია და მის ნაშრომს ყოველთვის ეტყობა ავტორის პოლიტიკური მრწამსი და რომაელი მოქალაქის სიამაყე, მისთვის რომის ყოველი ღონისძიება, რომელი პოლიტიკური მოღვაწისა თუ მხედართმთავრის ყოველგვარი მოქმედება ყოველთვის გამართლებულია და ქების ღირსი, მით უფრო, თუ იგი მიმართულია არა-რომაელის, „ბარბაროსის“ წინააღმდეგ.

დიონ კასიოსის იდეალს ძველი რესპუბლიკური წყობილება წარმოადგენდა, მაგრამ მონარქიაზე გადასვლასაც იგი გარდაუვალ აუცილებლობად აღიარებდა. იგი გვევლინება სენატის მიერ არჩეული იმპერატორის მმართველობის მომხრედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ სენატს კვლავ დარჩენოდა იმპერიაში უმაღლესი ორგანოს საპატიო¹ როლი¹.

„რომის ისტორია“ ფაქტიურად სამხედრო ისტორიაა, რომელშიაც ავტორი უმთავრესად რომის ომებისა და გარეპოლიტიკური ურთიერთობის აღწერას იძლევა. იქაც, სადაც დიონ კასიოსი სამოქალაქო ომების, ან სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაში მომხდარ სხვა ფაქტებს აღწერს, იგი სრულიადაც არ ცდილობს მოვლენათა შინაგანი არსისა და მიზეზების ახსნას და გადმოგვცემს მხოლოდ ფაქტიურ მხარეს.

მოვლენათა გადმოცემისას დიონ კასიოსი ქრონოლოგიურ პრინციპს მიჰყვება და ამდენად მისი ნაშრომი ანალისტების შრომებთან იჩენს მსგავსებას. ე. შვარცის სიტყვით, დიონ კასიოსის ნაშრომი უფრო მეტად წარმოადგენს „ანალებს“ ვიდრე „ისტორიას“ ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით?, ძვ. წ. 31 წლამდე ამბების დათარიღება კონსულების მმართველობის წლების მიხედვით ხდება, ხოლო შემდეგ იმპერატორთა ზეობის ინდიკტიონებით. მიუხედავად თხრობის აგების ასეთი მეთოდისა და რომელი ანალისტების სხვაგვარი გავლენისა, დიონ კასიოსი მაინც არ შეიძლება მთლიანად მიეკუთვნოს ანალისტების წრეს, რადგანაც ქრონოლოგიუო-ანალისტურ მეთოდს ის ზოგჯერ მოვლენების პრაგმატულ-გეოგრაფიულ გადმოცემას უთავსებს, იგი ხანდახან ამა თუ იმ ფაქტის შესახებ თხრობისას, მასთან ერთად გადმოგვცემს ისეთ ამბებსაც, რომლებიც ამ ფაქტთან დაკავშირებულნი არიან ან ტერიტორიულად, ან თავისი ხასიათით, მაგრამ ქრონოლოგიურად-ვი მასთან საკმაოდ დაშორე-

¹ Н. А. М а ш к и н, История древнего Рима, М., 1948, გვ. 23: История греческой литературы, გვ. 200.

² S c h w a r t z; RE, III Bd., 1687.

ბულნი არიან. ამრიგად ის ზოგჯერ არღვევს თავის ქრონოლო-
გიურ ჩარჩოებს, რის შედეგადაც ხშირად ძნელდება ამათუიმ ისტო-
რიული ფაქტის დათარიღება. ამ სიძნელემ თავისი დალი დაასვა
„რომის ისტორიის“ ექსცერპტორთა (ქსიფილინე, ზონარა, კონ-
სტანტინე პორფიროგენეტი) შრომებსაც, სადაც ამბების ქრონო-
ლოგიური თანამიმდევრობა ზოგჯერ არეულია და დამახინჯებული¹.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ დიონ კასიოსის შრო-
მის დიდი ნაწილი შედგენილია სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა
ხასიათის წყაროების საფუძველზე. სანდო წყაროებისა და გამოჩე-
ნილ ისტორიკოსთა გვერდით დიონ კასიოსი იყენებს შედარებით
ნაკლებ სანდო და უმნიშვნელო წყაროებსაც, რის გამოც მისი აღწე-
რილობა ყოველთვის დამაჯერებელი და ზუსტი არ არის და ხში-
რად შეიცავს შეცდომებს, მნიშვნელოვანი ფაქტების უგულვებელ-
ყოფას და მეორეხარისხოვანი მოვლენების წინ წამოწევასა და
გაზვიადებას².

აღნიშნული მხარეები უდავოდ ამცირებენ დიონ კასიოსის ნაშ-
რომის ღირებულებას, როგორც ისტორიული წყაროსი და მკვლე-
ვარს ავალებენ მისი ცნობებისადმი ფრთხილსა და კრიტიკულ მიდ-
გომას; მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მოვლენების შეს-
წავლისათვის, განსაკუთრებით რომის საგარეო პოლიტიკის ფაქ-
ტობრივი მომენტების დადგენისათვის „რომის ისტორია“ უდა-
ვოდ მნიშვნელოვანი წყაროა. ავტორი დაწვრილებით და საკ-
მაოდ ზუსტად გადმოგვცემს ომებისა და რომაელთა დაპყრობების,
მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობისა და სასახლის ინტრიგების
ისტორიას, ამ მხრივ მისი შრომა ზოგჯერ უფრო ზუსტ ცნობებს
იძლევა, ვიდრე თავისთავად უფრო ღრმა და მაღალხარისხოვანი
ნაშრომები ისეთი ისტორიკოსებისა, როგორიცაა აპიანე ალექსანდ-
რიელი, ტაციტუსი და სხვ. ამ ცნობების სათანადო კრიტიკული
შესწავლა და შედარება-შეჯერება სხვა წყაროებთან ბევრ საინტე-
რესო ფაქტს ჰფენს შუქს და ამიტომ რომის ისტორიის ვერც ერთი
მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს დიონ კასიოსის ნაწარმოებს.

დიონ კასიოსის შრომის ღირსება ისიც არის, – წერს ს. ყაუხჩი-
შვილი – „რომ მისი ძველი საუკუნეების შემცველი ნაწილი დაწე-
რილია წინადროინდელ ისტორიკოსთა თხზულებების მიხედვით,
რომელთაგან: ბევრი ჩვენამდე არ მოღწეულა და, ამრიგად, კასიოსმა
გადაგვირჩინა ძველი წყაროები... ძველ ისტორიკოსთა ნაშრომები-

¹ Schwartz, RE, III, 1687–88,

² იქვე, გვ. 1688.

დან კასიოსი კეთილსინდისიერად იღებდა ცალკეულ ადგილებსა და
თავებს, ხოლო მათ მხატვრულად აყალიბებდა. მხატვრული ენით
გამართული და ძველს სანდო წყაროებზე დამყარებული „რომის
ისტორია საუკეთესო სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული საშუალო
საუკუნეებში“¹.

როგორც აღნიშნავს უ. ვილამოვიც-მელენდორფი, იმპერიის

ხანის. ანალიტიკის დაცემის პირობებში, მისი უშინაარსობისა და ულაზათობის ფონზე, დიონ კასიოსი ბევრად უკეთესად გამოიყურება, ვიდრე ამ დროის სხვა მწერლები (მაგ. ჰეროდოანე, დექსიპე და სხვ.); დიონ კასიოსი „ლაპარაკობს, როგორც კეთილსინდისიერი და ფრიად მცოდნე ისტორიკოსი“².

დიონ კასიოსის ნაშრომის პოპულარობას შუა საუკუნეებში განსაკუთრებით უწყობდა ხელს მისი თხრობის მიმზიდველობა, სხარტი და ლაკონიური სტილი, ბერძნული კლასიკური ენის ნორმების ზუსტი დაცვა, მის თხზულებას სასიამოვნო საკითხავად ხდიდა; თავისი მანერითა და ენით დიონ კასიუსი ჰბამავდა კლასიკური ხანის ბერძნული ისტორიოგრაფიის უდიდეს წარმომადგენლებს, პირველ რიგში, თუკიდიდეს, რომელთანაც მას ბევრი რამე აახლოვებს³.

თავისი შრომის მე-36 და მე-37 წიგნებში დიონ კასიოსი მოგვითხრობს რომაელთა ბრძოლას მითრიდატე ევპატორთან, ლუკულუსისა და პომპეუსის ამიერ-კავკასიაში ლაშქრობებისა და რომის აქ დამკვიდრების შესახებ. ეს ცნობები მეტად ძვირფასი წყაროა ამიერკავკასიის ქვეყნების და რომის ურთიერთობის ამ საწყისი ეტაპის ისტორიისათვის, რადგან დიონ კასიოსის აღწერილობა საკმაოდ ვრცელია და შედარებით უფრო ზუსტი, ვიდრე ვთქვათ აპიანესი ან პლუტარქესი. ამ წიგნებში დიონ კასიოსს შეტანილი აქვს ძვირფასი ცნობები კერძოდ საქართველოს შესახებაც. აქ დაწვრილებით არის აღწერილი რომაელთა შემოსვლა იბერიასა და კოლხეთში, ქართველი ხალხის ბრძოლა რომაელთა ექსპანსიის წინააღმდეგ და რომის სახელმწიფოსთან ქართულ სამეფოთა ურთიერთობის შესახებ. ამ მოვლენებისათვის დიონ კასიოსი ყველაზე ვრცელი, დაწვრილებითი და ზუსტი წყაროა. მართალია, დიონ კასიუსი არაფერს ამბობს ქართული სახელმწიფოების პოლიტიკური

¹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 205.

² U. von - Wilamowitz - Moelendorf, K. Krumhacher and andere, Die griechische und lateinische Litteratur und Sprache Leipzig-Berlin, 1912, გვ. 247,

³ იქვე, გვ. 248.

და სოციალური წყობის, ან ეკონომიური ვითარების შესახებ და კმაყოფილდება მხოლოდ საგარეო ურთიერთობისა და ბრძოლების აღწერით, მაგრამ ზოგიერთი მისი მონაცემის სათანადო გააზრების შემდეგ შესაძლებელი ხდება საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთება აღნიშნულ საკითხებზედაც¹.

„რომის ისტორიის“ შემდგომი წიგნები ჩვენამდე მოღწეულია ნაწილობრივ ცალკეული ფრაგმენტების, ნაწილობრივ კი მერმინდელ ავტორთა მოკლე ექსცერპტების სახით. მაგრამ ამ ნაწყვეტებსა და ექსცერპტებშიაც ბევრ ისეთ ცნობას ვხვდებით, რომლებიც უსათუოდ გასათვალისწინებელია საქართველოს ისტორიის. ძველი პერიოდის შესწავლისას, ხოლო ზოგიერთი ფაქტისათვის ეს ცნობები ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან ამკარა უნდა იყოს, რომ დიონ კასიუსის „რომის ისტორია“ ისეთ ნაწარმოებს წარმოადგენს რომლის უგულ-

ვებელყოფა არ შეიძლება არც საკუთრივ რომის ისტორიის შესწავლის და არც ამიერკავკასიის ხალხების ძველი ისტორიის შესწავლის დროს.

გ) დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ წყაროების
საკითხისათვის

დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ წყაროების დადგენა მეტად რთული და დღემდე ჯერ კიდევ სუსტად შესწავლილი საკითხია. საქმეს დიდად ართულებს ის გარემოება, რომ დიონ კასიოსი, რომელიც თავის ნაშრომს, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილს, სხვადასხვა მწერალთა ნაწარმოებების მიხედვით წერდა, არსად არ ასახელებს თავის წყაროს. ამავე დროს, დიონის შრომის საკმაოდ დიდი ნაწილი მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი, ან კიდევ გვიანდელ ექსცერპტორთაგან შემოკლებული და გადამუშავებული. ეს ცხადია კიდევ უფრო აძნელებს წყაროთა დადგენას დღეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზოგიერთი წყაროს მოძებნა და ზოგიერთი სავარაუდო მოსაზრების გამოთქმა ამ საკითხზე. სამეცნიერო ლიტერატურაში დიონ კასიუსის წყაროების საკითხი არაერთხელ ყოფილა დასმული, მაგრამ ამავე დროს მრავალი სხვა და სხვა აზრია გამოთქმული, რომელთა ურთიერთშეჯერება საკმაოდ ძნელი საქმეა.

ყველაზე სრული და მეცნიერულად გამართული გამოკვლევა დიონ კასიოსის წყაროების შესახებ ეკუთვნის ე. შვარცს, რომელ-

¹ ამ ცნობების გარჩევა იხილე ტექსტზე დართულ სათანადო კომენტარებში.

მაც დიონ კასიოსის შესახებ პაული-ვისოვას „Realenzyklopädie“-ში დაბეჭდილ სპეციალურ სტატიაში დაწვრილებით განიხილა ეს პრობლემა, დიდძალი საილუსტრაციო მასალა მოიტანა და წარმოადგინა დასკვნები, რომლებიც დღესაც არ არის უარყოფილი¹. სადღეისოდაც ე. შვარცის გამოკვლევა საუკეთესოდ არის მიჩნეული სპეციალისტთა მიერ.

როგორც ე. შვარცის მიერ ჩატარებული კვლევაძიებიდან ჩანს, დიონ კასიოსის ნაშრომის პირველი 17 წიგნი ძირითადად დაფუძნებულია რომაელ ანალისტთა ნაწარმოებებზე და აქ ჩვენი ავტორი სრულიად არ იყენებს არც ტიტე ლივიუსს და არც პოლიბიოსს. თავის დროს H. Peter-ს და U. Boissevain-ს ჰქონდათ გამოთქმული აზრი, რომ რომის პიროსთან ბრძოლის (წიგნები IX–X) და განსაკუთრებით მეორე პუნიკური ომის (წიგნები XIII–XVII) აღწერისას დიონ კასიოსი იყენებდა ტიტე ლივიუსისა და პოლიბიოსის ნაწარმოებებს². მაგრამ ე. შვარცმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ამ ორი ავტორის გამოყენებაზე ლაპარაკი ამ წიგნებისათვის სრულიად უსაფუძვლოა, დიონ კასიოსთან სრულებით არ ჩანს ტიტე ლივიუსისათვის დამახასიათებელი „პარტიულობა“ მოვლენათა გადმოცემისას და არც პოლიბიოსის მისწრაფება მოვლენების არსს ჩასწვდეს. ამ ადგილებში დიონ კასიოსი მთლიანად უმცროს ანალისტთა

პრაგმატული მეთოდის გავლენის ქვეშ არის მოქცეული³. ამავე დროს ე. შვარცი აღიარებს, რომ ცალკეულ შემთხვევაში ჩანს დიონ კასიოსისა და პოლიბიოსის ერთგვარი მსგავსება, მაგრამ მსგავსება მეტად ზოგადი, რაც უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ დიონ კასიოსი აქვს ეყრდნობა იმ ანალისტთა შრომებს, რომლებიც პოლიბიოსის გავლენის ქვეშ წერდნენ⁴.

შემდგომი ოთხი წიგნი (XVIII-XXI) უკვე სავსებით აშკარად ატარებს პოლიბიოსის „მსოფლიო ისტორიის“ გავლენის კვალს. ეს გავლენა იმდენად ცხადია, რომ ზოგჯერ პოლიბიოსის ნაკლულ

¹ Pauly - Wissowa - Kroll, Realencyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, Band III, გვ. 1684-1722; ე. შვარცის ეს სტატია შევიდა მთლიანად 1959 წელს გამოცემულ მის ნაშრომთა კრებულში: E. Schwartz, Griechische Geschichtsschreiber. 1959, გვ. 394-450. ჩვენ სიმოკლისათვის ყველგან უთითებთ – „RE“.

² H. Peter, Die geschichtliche Litteratur über die römische Kaiserzeit. II Bd, Lpz.. 1897, გვ. 84-101; Cassii Dionis Cocceiani Historiarum Romanorum quae supersunt, ed. Boissvain

³ BE, III, გვ. 1995.

⁴ იქვე, გვ. 1995-96.

16

ადგილებს დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ სათანადო ფრაგმენტებით აღადგენენ და ავსებენ. მაგრამ, მიუხედავად ამ აშკარა სიახლოვისა, ზოგიერთი ადგილები დიონ კასიოსს ისე აქვს შეცვლილი და განვრცობილი, რომ ე. შვარცი ეჭვსაც კი გამოსთქვამს, იყენებდა თუ არა დიონ კასიოსი პოლიბიოსს უშუალოდ¹. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ პოლიბიოსის გვერდით დიონ კასიოსი ამ წიგნების შედგენისას სხვა წყაროებსაც იყენებდა და აჯერებდა მათ პოლიბიოსის მონაცემებთან.

XXII-XXXV წიგნები იმდენად ნაკლული და ფრაგმენტული. სახით არის მოღწეული, რომ მათი წყაროების მოძებნა ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს და სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი-საერთოდ ღიად არის დატოვებული.

XXXVI წიგნიდან (რომელიც ლუციუს ლუკულუსის აღმოსავლეთში ლაშქრობით იწყება) ვიდრე იულიუს კეისარის სიკვდილამდე თხრობა ძირითადად ტიტე ლივიუსის „ეპიტომეს“ მიჰყვება. განსაკუთრებით აშკარად ჩანს ლივიუსის გავლენა იულიუს კეისარისა და პომპეუსის სამოქალაქო ომის აღწერისას. ე. შვარცს მოტანილი აქვს აუარებელი ამონაწერები ლივიუსის „ეპიტომესა“ და დიონ კასიოსის „რომის ისტორიიდან“, რომლებიდანაც კარგად ჩანს ითქმის აბსოლუტურს მსგავსება². მაგრამ ამ წიგნებისთვისაც, ლივიუსი არ უნდა იყოს ერთად ერთი წყარო, რადგან იგივე ე. შვარცს მოაქვს აგრეთვე ისეთი ადგილებიც, სადაც დიონ კასიოსი და ლივიუსი ერთმანეთს არ ეთანხმებიან. მართალია, ასეთი ადგილები ცოტაა, მაგრამ საკმარისია მაინც იმისათვის, რომ ვივარაუდოთ ლივიუსის გვერდით სხვა წყაროების გამოყენებაც. სამწუხაროდ ამ დამატებით წყაროთა დადგენა ძალზე ძნელდება.

რესპუბლიკის ხანის დასასრულისათვის, კერძოდ XXXVI-XXXVIII წიგნებისათვის ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს აგრეთვე

გაიუს სალუსტიუს კრისპეს გავლენას დიონ კასიოსზე³. ეს საკითხი და, საერთოდ, XXXVI და წიგნების წყაროების დადგენა ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც სწორედ ამ წიგნებშია მოცემული რომაელთა აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის, მითრიდატესთან ომებისა და საერთოდ ამიერ-კავკასიასთან დაკავშირებული ამბების თხრობა, როგორც ცნობილია გაიუს სალუსტიუსს თავის „ისტორიებში“ (Historiae) ჰქონდა მითრიდა-

¹ RE, III, გვ. 1997.

² იქვე, გვ. 1997.

³ H. P e t e r , Die geschichtliche Litteratur..., 98-190.

2. დიონ კასიოსი

17

ტესთან ომების საკმაოდ დაწვრილებითი აღწერილობა, სალუსტიუსის ეს ნაშრომი დაედო საფუძვლად კერძოდ აპიანე ალექსანდრიელის „მითრიდატიკას“, ხოლო არა ყოველთვის უშუალოდ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში სხვა მწერალთა (მაგ. ნიკოლოზ დამასკელის) მეშვეობით¹.

სამწუხაროდ სალუსტიუსის „ისტორიები“ დღეს ჩვენამდე მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული და ამიტომ მათი შედარება დიონ კასიოსის შრომასთან ძნელდება, ე. შვარცი ორი მაგალითის საფუძველზე სავსებით უარპყოფს დიონის მიერ სალუსტიუსის გამოყენებას. ეს მაგალითები შემდეგია:

1. სალუსტიუსი (Hist., V, fr. 10) ამბობს, რომ ლუკულუსის წინააღმდეგ მისი ჯარის უკმაყოფილება დაიწყო ჯერ კიდევ კიზიკსა და ამისოსთან ზამთრის ბანაკებში გატარების გამო, ე. ი. მითრიდატეს წინააღმდეგ კამპანიის დასაწყისშივე. დიონ კასიოსის მიხედვით, უკმაყოფილება ბევრად უფრო გვიან დაიწყო, როდესაც ჯარი მესოპოტამიაში, ქალაქ ნიზიბინთან იდგა, ე. ი. კამპანიის ბოლოს. (Cass. Dio, XXXVI, 14,3).

2. სალუსტიუსი (Hist., IV, 60, მითრიდატეს წერილი ფრაატ III-თან) წერს, რომ ლუკულუსის არმენიაზე ლაშქრობის წინ ტიგრან II-სა და ფრაატ III შორის გამწვავებული ურთიერთობა იყო მანამდე მათი შეტაკების გამო. დიონ კასიოსით კი, პირიქით, ლუკულუსთან ომის წინ მითრიდატემ და ტიგრანმა მიიმხრეს ფრაატიმით, რომ ტიგრან II-მ დასტოვა პართიასთან საკამათოდ ქვეული, ოლქები (Cass. Dio, XXXVI, 1,2).

მართალია ეს ორი ადგილი, რომელიც მხოლოდ პატარა ნაწყვეტების სახითაა შემორჩენილი, მაინცა და მაინც სერიოზულ საბუთს არ წარმოადგენს დიონ კასიოსის მიერ სალუსტიუსის გამოყენების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არც ე. შვარცის აზრის უარსაყოფი მონაცემები მოგვეპოვება. მეორე მხრივ, დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ და აპიანე ალექსანდრიელის „მითრიდატიკას“ შედარება, ჩვენი აზრით, ცხადყოფს, რომ ამ ორ მწერალს სხვადასხვა წყაროები მოეპოვებოდათ მითრიდატესთან მესამე ომის აღწერისათვის. ლუკულუსის ლაშქრობანი აპიანეს აშკარად უფრო ვრცლად და დაწვრილებით აქვს აღწერილი, ვიდრე დიონ კასიოსს, აქ აპიანე, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგი წყაროთი სარგებლობს და მისი

¹ О. И. Севастьянова, Аппиан и его „Римская история“. ВДИ., 1960, № 2. გვ. 258-262; თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბილისი, 1959, გვ. 4-15.

18

გადმოცემა ცალკეულ დეტალებშიაც განსხვავდება დიონ კასიოსის თხრობისაგან¹. სამაგიეროდ ბომბეუსის მითრიდატესთან ბრძოლის, არმენიაში შეჭრისა და ამიერკავკასიაში ლაშქრობის ეპიზოდები დიონ კასიოსს უფრო დაწვრილებით და დამაჯერებლად აქვს მოთხრობილია². განსაკუთრებით აშკარაა ეს განსხვავება პომპეუსის იბერია-ალბანეთში ლაშქრობის აღწერაში აპიანე აშკარად ურევს მოვლენებს, ალბანელებთან ზამთრის შეტაკებას და იბერიაზე გაზაფხულის ლაშქრობას, როგორც ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს და საერთოდ სრულიად განსხვავებულად გადმოგვცემს მთელ ამ მოვლენებს³. დიონ კასიოსის ცნობები კი ამ შემთხვევაში უფრო სრულ, ზუსტსა და დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენენ და დადასტურებას პოულობენ პლუტარქესთანაც⁴.

რამდენადაც აპიანე ალექსანდრიელის წყაროს მითრიდატესთან: მესამე ომის აღწერისათვის, როგორც აღნიშნული იყო, ძირითადად სალუსტიუსი წარმოადგენდა, დიონ კასიოსისა და აპიანეს შედარებაც ამტკიცებს, რომ პირველს სალუსტიუსი გამოყენებული არ უნდა: ჰქონოდა.

უფრო მეტ სიახლოვეს იჩენს დიონ კასიოსი პლუტარქესთან. ამ უკანასკნელს პომპეუსის ბიოგრაფიაში მითრიდატესთან ბრძოლა, არმენიაში, იბერიაში და კოლხეთში ლაშქრობა, ალბანელებთან ორგზისი შეტაკება ძირითადად იხევე აქვს აღწერილი, როგორც დიონ კასიოსს. ამ ბრძოლების ცალკეული ეპიზოდებიც (მაგ. ღამის ბრძოლა მითრიდატესთან, მითრიდატეს გაქცევა არმენიაში, აქედან კი კოლხეთში და მერე ბოსფორში, პომპეუსის ურთიერთობა ტიგრან II-თან და მის ვაჟთან ტიგრან უმცროსთან, ალბანელებთან ბრძოლა მტკვრის ნაპირას და სხვ.) მსგავსად აქვს მოთხრობილი ორივე ავტორს⁵. ეს მსგავსება შესაძლოა დიონ კასიოსის მიერ პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ გამოყენებაზე მიუთითებდეს, თუმცა ცალკეული ადგილების მეტ-ნაკლები სიზუსტით. გადმოცემაში, თხრობის დეტალურობაში დიონ კასიოსსა და პლუტარქეს შორის მაინც ჩანს განსხვავება, რაც შესაძლოა მოწმობდეს, რომ დიონ კასიოსი უშუალოდ პლუტარქეს კი არ მისდევს, არა-

¹ ib. App.. Mlthr, § 69-91.

² Cass Dio, XXXVI, 1-2

³ Appian, Mithr. § 103 შეად. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი , ძველი რომი, ნაწ. II, თბილისი, 1961, გვ. 298-299.

⁴ Cusa Dio, XXXVI, 50-54; XXXVII, 1-3; Plut, Pomp., §34-36

⁵ Plut, Pomp, §§ 32, 33, 34, 35; Cass, Dio, XXXVI, 49, 50, 51; XXXVII, 1, 2

მედ მათ რაღაც საერთო წყარო აქვთ გამოყენებული. ყოველშემთხვევაში, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, ერთი რამ აშკარაა: დიონ კასიოსი პლუტარქეს (თუ მის წყაროს) გარდა სხვა წყაროებითაც სარგებლობდა პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის აღწერისას, ეს უმთავრესად ითქმის სამხედრო მოქმედებათა უფრო დეტალურად გადმოცემაზე, ვიდრე პლუტარქეს აქვს¹- აშკარაა, რომ დიონ კასიოსი აქ ისეთ წყაროს იყენებს, როემლსაც პომპეუსის საბრძოლო ეპიზოდები დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი. თუ გავითვალისწინებთ დიონ კასიოსის მდგომარეობას საიმპერატორო კარზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა პომპეუსის ოფიციალური ანგარიშები და მის თანმხლებთა დეტალური აღწერები, რომელთაც იგი ეყრდნობოდა და რითაც ის პლუტარქეს და სხვა ავტორთა ცნობებს ავსებდა.

შემდგომი ხანისათვის ზოგიერთ მეცნიერთა აზრით, დიონ კასიოსი იყენებს იულიუს კეისარის „კომენტარებს“- ისტორიკოსი Jelgersmann-ის და G. Columba-ს აზრით დიონ კასიოსი თითქმის უცვლელად იწერს კეისარის ცნობებს გალიის ომების შესახებ², მაგრამ, როგორც ე. შვარცმა აჩვენა, ასეთ უშუალო გამოწერაზე ლაპარაკი სრულიად დაუსაბუთებელია და თუ-კი დიონი იყენებს იულიუს კეისარის „კომენტარებს“, იგი მათ საფუძვლიანად ავსებს ლივიუსის ცნობებით და აგრეთვე სხვა, ჩვენთვის უცნობი წყაროებით³.

პომპეუსის და იულიუს კეისარის სამოქალაქო ომების გადმოცემისას დიონ კასიოსი ყველაზე უხვად ისევ ტიტე ლივიუსის „ეპიტომეს“ იყენებს, თუმცა ცალკეული დეტალები მოწმობენ, რომ ამ, შემთხვევაშიაც „ეპიტომე“ სხვა მწერალთა მონაცემებით არის შევსებული.

ახ. წ. I საუკუნის აღმოსავლეთის ამბების აღწერილობაში დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ დიდ სიახლოვეს იჩენს ტაციტუსის „ანალებთან“. მიუხედავად აშკარა მსგავსებისა, ე. შვარცის აზრით, დიონ კასიოსის მიერ ტაციტუსის უშუალო გამოყენებაზე ლაპარაკი მაინც საფრთხილოა; შესაძლოა აქ ისევ საერთო წყაროსთან გვეკონდეს საქმე⁴.

¹ Cass. Dio, XXXVI. 49: XXXVII, 1-2.

² Jelgersmann, De fide et auctoritate Dionis Cassii Coeeciiani. Leyden, 1879; G. M. Columba, Cassio Dione e le guerre gallische di Cesare. „Aead. di archeologia, lettere e belle arti, XXII, № 2, 1905, 1-62.

³ RE, III 1714.

⁴ იქვე, გვ. 1714.

ტაციტუსისა და დიონ კასიოსის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს სპეციალურად შეეხო ე. ეგლი. იგი ეხება ახ. წ. 41-63 წლების რომაელთა ლაშქრობებს არმენიაში და ცდილობს დაადგინოს ამ აღწერილობის წყაროები, ადარებს რა ურთიერთს დიონ კასიოსისა და ტაციტუსის ცნობებს, ე. ეგლი მიდის შემდეგ დასკვნებამდე:

1. დიონ კასიოსს არაფერი აქვს ისეთი თავის „რომის ისტორიაში“, რაც მას არ შეეძლო აეღო ტაციტუსის ნაშრომიდან. არც ერთი ფაქტი არ აქვს დიონ კასიოსს სხვაგვარ თანამიმდევრობაში აღწერილი ვიდრე ტაციტუსს.

2. ყველა ფაქტი დიონ კასიოსს მოთხრობილი აქვს ისეთი გამოთქმებით, რომლებიც ან უშუალოდ ტაციტუსიდან თარგმანს, ან ამ უკანასკნელის ცნობათა შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენენ. მისი არც ერთი ეპიზოდის გადმოცემა ორიგინალურობის კვალს არ ატარებს.

3. დიონ კასიოსი იმეორებს მხოლოდ ტაციტუსის უმთავრეს, ძირითად ცნობებს. მეორეხარისხოვანი მონაცემები მას გამოტოვებული ან ძალზე მოკლედ აქვს გადმოცემული, რის გამოც დიონ კასიოსის თხრობა უფრო მოკლეა და სხარტი.

4. ტაციტუსის „ანალები“ წარმოადგენს დიონ კასიოსის უმთავრეს წყაროს კორბულონის არმენიაში ლაშქრობების აღწერისათვის¹.

ე. ეგლის აღნიშნული დასკვნები პოულობენ გარკვეულ დადასტურებას ზოგიერთი სხვა ისტორიული ფაქტის მაგალითზედაც. ასე, მაგალითად, ახ. წ. 35 წ. იბერთა მეფის ფარსმანის ძმის შირიდატეს არმენიაში გამეფება და მასთან დაკავშირებული მოვლენები, მოთხრობილი ტაციტუსისა და დიონ კასიოსის ნაშრომებში, საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დიონ კასიოსმა ეს ფაქტები აღწერა ტაციტუსის მიხედვით, ოღონდ შემოკლებულად და ერთგვარი ლიტერატურული გადამუშავებით².

სხვაგვარად უდგება ამ საკითხს ა. გერკე. იგი აღიარებს, რომ კორბულონის არმენიაში ლაშქრობის აღწერაში დიონ კასიოსსა და ტაციტუსს შორის მართლაც დიდი მსგავსება ჩანს; ორივე ავტორს აშკარად ემჩნევა პროკორბულონური განწყობილება, მაგრამ ამავე

¹ E. E g l i , Feldzüge in Armenien von 41–63 n. Chr., Ein Beitrag zur Kritik des Tacitus; Untersuchungen zur Römischen Kaiser-geschichte, herausgegeben von Dr. M a x B ü d i n g e r . I Bd., Leipzig, 1868, გვ. 335–336.

² C a s s . D i o , LVIII. 26; T a c i t u s , Annales, VI, 32–33.

დროს, დიონ კასიოსის ნაშრომში შეიმჩნევა კორბულონის ზედმეტად გაზვიადებული შეფასება და განსაკუთრებული სიძულვილი ნერონის მიმართ, რასაც ტაციტუსზე ვერ ვიტყვით. ამდენად, დიონ კასიოსს უნდა ჰქონდეს ხელთ ისეთი წყარო, რომელიც ტაციტუსთან ახლოს იდგა ფაქტობრივი მასალის გადმოცემის მხრივ, მაგრამ ნერონისადმი განსაკუთრებით ოპოზიციურად განწყობილ პირს ეკუთვნოდა. ასეთად გერკეს პლინიუსი მიაჩნია¹.

გერკესწეს შეხედულება. გაიზიარა და დააზუსტა აგრეთვე ვ. შურმა. ვ. შურის აზრით, ტაციტუსისა და დიონ კასიოსის მიერ კორბულონის ლაშქრობათა და მის ღონისძიებათა აღწერილობას საფუძველად უდევს თვით კორბულონის ანგარიშები და მოხსენებები იმპერატორისადმი. მაგრამ ტაციტუსი ამ ანგარიშებს ავსებს ნერონის

კარის ოფიციალური ისტორიოგრაფიით (კერძოდ, კლუვიუს რუფუსის ნაწარმოების ცნობებით), რის გამოც ტაციტუსს, კორბულონისადმი კეთილი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც აქვს ზოგიერთი ადგილი, სადაც კორბულონის ესა თუ ის ღონისძიება გაკრიტიკებულია. საერთოდაც, ტაციტუსის აღწერილობა უფრო საქმიანი და თავშეკავებულია¹. რაც შეეხება დიონ კასიოსს, მისი მოთხრობა ნამდვილ პანეგირიკს წარმოადგენს კორბულონის მიმართ და იგი ყველგან უპირისპირებს კორბულონის უშეცდომო და იდეალურ ქცევასა და მოქმედებას ნერონის უნიათობას, სიმკაცრეს და საერთო ბოროტებას, დიონ კასიოსისათვის არმენიაში ლაშქრობის აღწერა არის მხოლოდ საბაზი დიდი პიროვნების – კორბულონის დაპირისპირებისათვის უარყოფით კეისართან. დიონ კასიოსის ცნობების ეს დამახასიათებელი მხარე საფუძველს აძლევს ვ. შურს დაასკვნას, რომ დიონ კასიოსს უშუალოდ არც კორბულონის ანგარიშები და არც ტაციტუსის „ანალები“ არ გამოუყენებია და მას საფუძველად ედო ისეთი წყარო, რომლის ავტორი ეყრდნობა რა კორბულონის ანგარიშებსა და პატაკებს, ამუშავებს მათ თავისი პოლიტიკური შეხედულებების, მძაფრი, რაფინირებული ანტინერონული განწყობილების საფუძველზე². ასეთ წყაროდ ვ. შურს, გერკესთან ერთად, მიაჩნია პლინიუსის ისტორიული ნაშრომი, რომელ-

¹ A. Gerke, Seneca-Studien, „Philologus“, Suppl., XXII, 1895, გვ. 159–230; შეად. H. Christensen, De fontibus a Cussio Dione in Vita Neronis enarranda adhibitis, Ber). 1871, გვ. 63–73.

² W. Schur, Untersuchungen zur Geschichte der Kriege Corbulos, „Klio“ Bd. 19, Heft 1, 1928, 77, 79–81.

³ იქვე, გვ. 77–81.

22

შიაც, როგორც ჩანს, ასეთი ტენდენციები იყო გატარებული¹, ამ მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ო, კუდრიავეცი². პლინიუსის ანტინერონული ტენდენციები კარგად მჟღავნდება მის „ბუნების ისტორიაში“, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრად უნდა ყოფილიყო ისინი გატარებული იმ ისტორიულ ნაშრომში, რომელიც ჩვენამდე არ არის მოღწეული, მაგრამ რომელსაც ხშირად ახსენებენ თვით პლინიუსი და ტაციტუსი³. სწორედ ეს, მკვეთრი ანტინერონული პოზიციებიდან დაწერილი ნაშრომი უნდა გამოეყენებინა თავის წყაროდ დიონ კასიოსს⁴.

ამრიგად, ტაციტუსის უშუალო გამოყენება დიონ კასიოსის მიერ, ყოველ შემთხვევაში კორბულონის ლაშქრობათა აღწერისას, კითხვის ქვეშაა დაყენებული.

დიონ კასიოსის სხვა წყაროთა შესახებ ჩვენ რაიმე გარკვეული ცნობა არა გვაქვს და საერთოდაც ეს საკითხი ჯერ კიდევ ხანგრძლივსა და ღრმა კვლევა-ძიებას მოითხოვს.

რადგანაც დიონ კასიოსი რამდენიმე წლის განმავლობაში მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე იმყოფებოდა, ვფიქრობთ, მას ექნებოდა ოფიციალური დოკუმენტების – მოხელეთა და მხედართმთავართა ანგარიშების, პატაკების, ელჩობათა ანგარიშების, მიწერმოწერისა და სხვათა გამოყენების საშუალება. ე. შვარცის დაკვირ-

ვებით, ავგუსტუსისა და ზოგიერთი სხვა იმპერატორის მმართველობის გადმოსაცემად დიონ კასიოსი იმპერატორთა პირად მემუარებს, წერილებსა და ოფიციალურ დოკუმენტებს იყენებდა⁵. ბევრ ადგილას საომარ ოპერაციათა ზედმიწევნითი და დაწვრილებითი აღწერილობა, როგორც სხვა ავტორებთან არ გვხვდება, დიპლომატიურ ურთიერთობათა ზუსტი გადმოცემა და სხვა ფაქტები ჩვენ ვარაუდს უფრო ამტკიცებენ⁶.

¹ W. S e h u r , Klio, Bd. 19, Heft 1, გვ. 96.

² О. В. К у д р я в ц е в , Источники Корнелия Тацита и Кассия Диона по истории походов Корбулона в Армению, ВДИ, 1954, № 2, გვ. 137–142.

³ P l i n , NH, praef., 20; Epp. III, 5; Epp., I, 1,5; T a c i t , Ann XII, 20,2; XV, 53,3; Hist., III, 28.

⁴ О. В. К у д р я в ц е в , დასახ. ნაშრ., გვ. 132–133; J. G. A n d e r s o n , The Eastern Frontier from Tiberius to Nero, CAH, X, 1934, გვ. 777.

⁵ RE, III Bd., გვ. 1705.

⁶ იხ. მაგ. პომპეუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობის (XXXVI–XXXII), პომპეუსისა და პართიის მეფის ფრაატის მიწერმოწერისა და პართიასთან დიპლომატიური ურთიერთობის აღწერა (XXXVII, 5–7) და სხვა ადგილები.

დ) დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ

ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი წლებიდან ძველ ქართულ სახელ მწიფოებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რომის სახელმწიფოსთან. ამ ურთიერთობის შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვინაიდან მან უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ისტორიაზე, არამედ მათ სოციალურ და ეკონომიურ ვითარებაზე და კულტურაზედაც, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა რომსა და საქართველოს შორის თავის ასახვას პოულობს ქართულ წყაროებშიაც (ლეონტი მროველი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სხვ.), მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ რომაულ ისტორიოგრაფიას პლუტარქე, აპიანე, სტრაბონი, ტაციტუსი, ტიტე ლივიუს, არიანე და სხვ. ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან მონაცემს გადმოგვცემენ ძველ ქართულ სახელმწიფოთა და რომთან მათი ურთიერთობის შესახებ. იმ მწერალთა შორის, რომლებიც საქართველოს შესახებ მოგვითხრობენ, დიონ კასიოსს უდავოდ ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს.

დიონ კასიოსის ცნობები უმთავრესად პოლიტიკურ ისტორიას და კერძოდ საქართველოსა და რომის ურთიერთობის ისტორიას შეეხება, მაგრამ მათში მოიპოვება აგრეთვე ისეთი მონაცემებიც, რომლებსაც გარკვეული ფასი ენიჭება ძველი საქართველოს პოლიტიკური წყობის, სოციალური ვითარების და სხვა მხარეთა შესწავლისათვის.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ ყურადღებას იპყრობს დიონ კასიოსის ნაშრომის ის თავები, რომლებშიაც რომაელთა ამიერკავკასიის ქვეყნებში ექსპანსიის საწყისი ეტაპია აღწერილი. დიონ კასიოსი დიდ ადგილს უთმობს მითრიდატესთან მესამე ომის, ლუკულუსისა და პომპეუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობების აღწერას. ეს ფაქტები

დიონ კასიოსს განსაკუთრებით დაწვრილებით და საქმის კარგი ცოდნით აქვს გადმოცემული. ჩვენთვის პირველ რიგში მნიშვნელობა აქვს პომპეუსის იბერიასა და კოლხეთში ლაშქრობის შესახებ დიონ კასიოსთან შენახულ ცნობებს. ამ ლაშქრობის შესახებ ცნობები მოეპოვებათ სხვა ავტორებსაც (პლუტარქე, აპიანე), მაგრამ დიონ კასიოსის მოთხრობა უფრო დაწვრილებითია, მწყობრი და როგორც ჩანს სანდო წყაროზე დამყარებული. პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტი, იბერიის მეფესთან ბრძოლა, ამ ბრძოლის ყველა ეტაპი და დიპლომატიური ურთიერთობა ყველაზე სრულად და თვალსაჩინოდ სწორედ დიონ კასიოსს. აქვს გადმოცე-

24

მული (იხ. წიგნი XXXVII, თავი 1–2). პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის, ალბანელებთან პირველი შეტაკებისა და შემდეგ მათთან მეორე ბრძოლის დიონ კასიოსისეული აღწერილობა საშუალებას გვაძლევს გარკვეული კორექტივი შევიტანოთ სხვა მწერალთა ცნობებში ამ მოვლენათა შესახებ (იხ. ქვევით, კომენტარები XXXVI და XXXVII წიგნებისადმი).

ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის დიონ კასიოსის ნაშრომის იმ ადგილებსაც, რომლებიც მართალია უშუალოდ საქართველოს არ შეეხება, მაგრამ გადმოგვცემს რომისა და პონტოს ბრძოლას, რომისა და არმენიის, რომისა და პართიის დიპლომატიურ ურთიერთობას. ეს ადგილები ბევრ საინტერესო დეტალს შეიცავს და „სხვა მწერალთა ცნობებთან ერთად გვეხმარება იმ საერთო პოლიტიკური სიტუაციის გარკვევა-გათვალისწინებაში, რომელიც იმ პერიოდში მახლობელ აღმოსავლეთში იყო შექმნილი და რომელიც დიდ გავლენას ახდენდა ქართულ სახელმწიფოებზე და რომთან თუ სხვა პოლიტიკურ ძალებთან მათ ურთიერთობაზე. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს პომპეუსისა და პართიის მეფის ფრაატის ურთიერთდამოკიდებულება რომაელთა ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემდეგ (იხ. წიგნი XXXVI, თავი 5–7). დიონ კასიოსი საკმარისად დაწვრილებით გადმოგვცემს პომპეუსის ორჭოფულ მოქმედებას პართიის მიმართ მითრიდატესთან წარმატებული ბრძოლის. შემდეგ, იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც რომსა და პართიას შორის ამ პერიოდშივე წამოიჭრა და რომლებმაც დასაბამი მისცა ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთქიშპობას შემდგომ ხანებში. საინტერესოა დიონ კასიოსის შრომის ის ადგილი, სადაც მოთხრობილია პომპეუსის მიერ ფრაატსა და ტიგრანს შორის არსებული დავის გადასაწყვეტად შუამავალთა გამოყოფის შესახებ. შუამავალთა გადაწყვეტილება მოდავეთა მიერ კანონიერად იქნა ცნობილი და ისინი მორიგებულან. დიონ კასიოსი წერს: „ტიგოანი იმიტომ (შეურიგდა ფრაატეს. – ნ. ლ.), რომ გაბრაზებული იყო. რადგან პომპეუსი არ დაეხმარა მას, ხოლო ფრაატეს სურდა, რომ არმენიის მფლობელი დაეცვა განადგურებისაგან, რადგან ოდესმე, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა მოკავშირედ გამოსდგომოდა რომაელთა წინააღმდეგ. ორივემ კარგად იცოდა, რომ რომელი მათგანიც მეორეს დაამარცხებდა, ამ გზით რომაელებს გააძლიერებდა და თვითონაც მათგან ადვილად დამარცხდებოდა. ამის გამო

მორიგდნენ ისინი“ (XXXVII, 7,4). აქ კარგად არის გადმოცემული ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს შემდგომ პარტიისა და არმენიის დაახლოება, არმენიაში ძლიერი პროპრთული ორიენტაციის

25

მქონე პარტიის გაჩენა და ის ბრძოლა, რომელიც რომს დასჭირდა ამ. ბუფერულ სამეფოში“ თავისი გავლენის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლაში კი, როგორც ცნობილია, აქტიურად მონაწილეობდა იბერიაც და ამდენად აღნიშნული ვითარების გათვალისწინებას იბერიის ისტორიისთვისაც აქვს მნიშვნელობა.

XLII წიგნის მე-45 თავში დიონ კასიოსი მოგვითხრობს მითრიდატე VI ვაჟის ფარნაკის გამოსვლის შესახებ იულიუს კეისარის წინააღმდეგ. დიონ კასიოსის ამ მონათხრობს ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ ეს არის ერთადერთი წყვარო, რომელიც აღნიშნავს, რომ ფარნაკმა სხვა მხარეებთან ერთად „ადვილად დაიპყრო მთელი კოლხიდა“ (XLII, 45,3). ამ ცნობის სათანადო ინტერპრეტაციას შესაძლოა გარკვეული მნიშვნელობა მიენიჭოს რომაელთა კოლხეთში ფეხის მოკიდების შემდეგ აქ შექმნილი ვითარების გასარკვევად. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის ა დ ვ ი ლ ა დ დაპყრობა ფარნაკის მიერ გამოწვეული იყო თვით კოლხეთში არსებული უკმაყოფილებით რომისაგან დამოკიდებულების გამო.

მკვლევართა ყურადღება კარგა ხანია მიიპყრო დიონ კასიოსის XLIX წიგნის მე-24 თავის ერთმა ფრაგმენტმა, სადაც მოხსენებულია ანტონიუსის ერთ-ერთი მხედართმთავრის პუბლიუს კანიდიუს კრასუსის ლაშქრობა იბერთა და ალბანელთა წინააღმდეგ ძვ. წ. 36 წ. ამ ლაშქრობის შესახებ მოკლე ცხობები აქვს სტრაბონსაც და პლუტარქესაც, მაგრამ დიონ კასიოსის ცნობა უფრო ზუსტიცაა და გარდა ამისა იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ ზუსტი თარიღით გვისახელებს სხვა წყაროებისათვის უცნობ იბერიის მეფეს ფარნაბაზეს (ფარნავაზს). ამ მეფის სახელის ხსენება დიონ კასიოსის ნაშრომში მნიშვნელოვანია იბერიის მეფეთა ნუსხის შედგენისათვის. საამისო ცდა გაკეთებულიც აქვს პ. ინგოროყვას, რომელიც აიგივებს ამ ფარნავაზს „მოქცევა- ქართლისა“-ს ბრაცმანთან (პ. ინგოროყვას კონიექტურით – ბარაცმანთან) და „ქართლის ცხოვრების“ ბარტომზთან². ასეთივე მნიშვნელობა აქვს დიონ კასიოსის ცნობას ახ. წ. 35 წლის მოვლენებთან დაკავშირებული იბერიის მეფის ფარსმან I-ის მამის მითრიდატეს შესახებ (LVIII, 26). სხვა წყაროებისათვის ფარსმანის მამის სახელი ცნობილი არ არის და დიონ კასიოსის ამ ცნობის წყალობით ხერხდება ანტიკური იბერიის კიდევ ერთი მეფას სახელის დადგენა.

¹ Strabo, XI, 3,5 Plut, Anton.. 34.

პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939, № 10-11 გვ. 261.

26

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ლატიშევის „Seythica et Cau-

casica“–ში კანიდიუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობის შემცველ ფრაგმენტს უშუალოდ მოსდევს LIV წიგნიდან ამოღებული ფრაგმენტი, რომელშიაც ლაპარაკია ძვ. წ. 15 წ. ხანმოკლე აჯანყებებზე დალმაცისა და იბერიაში¹. ამ ფრაგმენტის შეტანამ ლატიშვეისეულ კრებულში, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა მკვლევართა ნაწილი და მათ თავის შრომებში აღნიშნული აქვთ, რომ ძვ. წ. 15 წ. ქართლში ადგილი ჰქონდა აჯანყებას რომაელთა წინააღმდეგ და რომ, რაკი აჯანყება საჭირო იყო, ე. ი. ქართლი ამ ხანებში რომის მიერ დამორჩილებული იყო². მაგრამ თუ ჩვენ დიონ კასიოსის ტექსტს მივმართავთ, აშკარა გახდება, რომ ამ შემთხვევაში სიტყვები „τὰ ἐν τῇ Ἰβηρίᾳ“ ეხება არა კავკასიის იბერიას (ქართლს), არამედ ესპანეთს, საქმე ისაა, რომ არა მარტო ამ პარაგრაფში, არამედ მთელ LIV წიგნში, რომელსაც ეკუთვნის ეს ცნობა, დიონ კასიოსი სრულიად არაფერს ლაპარაკობს არა მარტო ამიერკავკასიის, არამედ საერთოდ აზიის შესახებ. მთელი წიგნი დათმობილია ან რომის საშინაო ამბებისადმი, ან ევროპის მოვლენებისადმი, ასეთ პირობებში შეუძლებელია ამ ადგილას იბერიის ქვეშ ქართლი იგულისხმებოდეს და არა ესპანეთი. დიონ კასიოსი არასოდეს არ მოგვითხრობს ერთად სხვადასხვა ქვეყნების, მით უფრო აღმოსავლეთის და დასავლეთის შესახებ, ჩვეულებრივ დასავლეთის ამბებს ცალკე წიგნი, ან ყოველშემთხვევაში პარაგრაფი აქვს დათმობილი, ხოლო აღმოსავლეთისას კი ცალკე. ამას გარდა, სახელწოდებას „იბერია“ ან „იბერები“ ყოველგვარი განმარტების გარეშე დიონ კასიოსი ჩვეულებრივ ხმარობს ან ესპანეთის აღსანიშნავად³, ან ქართლის მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ მთელი კონტექსტი ეჭვს არ იწვევს, რომ აქ სწორედ ქართლზეა ლაპარაკი⁴, ხოლო როდესაც კონტექსტი უშუალოდ არ მიუთითებს, რომელ იბერიაზეა ლაპარაკი და დიონი კი კავკასიის იბერიას გულისხმობს, ის ყოველთვის უმატებს განმარტებას „აზიის იბერია“ (τὴν Ἰβηρίαν τὴν Ἀσιατικὴν)⁵.

¹ ВДИ, 1948, № 2, გვ. 275.

² ს. გ. ო. გ. ა. ძ. ე. საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1920, გვ. 63; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1951, გვ. 166–167; ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1946, გვ. 77; საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1950, გვ. 66.

³ Cass. Dio, XII, 48; XIII, 8,21; XIV, 9,1; XVIII, 9,17; XXXIX, 33.5.

⁴ იქვე, XXXVII, 1,1; LVIII, 26,3; LXIX, 15,3.

⁵ იქვე, XXXVIII 38,4; XLIX, 24,1.

ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ, როგორც ამას ყურადღება გ. მელიქიშვილმა მიაქცია, სტრაბონის ცნობით კანიდიუს კრასუსის შემდეგ რომაელები აღარ შემოსულან იბერიაში¹. აღსანიშნავია, რომ დიონ კასიოსის ტექსტის გამომცემლებს ფ. ბუასევენსა და ი. მელბერს და მთარგმნელებსაც ო. ტაფელსა და ე. კერის სწორედ ესპანეთი ესმით ამ იბერიის ქვეშ: ბუასევენი და მელბერი საძიებელში უმატებენ განმარტებას Hispania ან Hispani², ტაფელი თარგმნის Ispanien, ხოლო კერი – Spain³.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ეს ფრაგმენტი არ შეგვიტანია ჩვენს თარგმანში.

არ შეგვიტანია თარგმანში აგრეთვე LX წიგნის მე-28 თავის მე-7 პარაგრაფი, სადაც ნახსენებია იბერიის მეფე მითრიდატე (Μιθριδάτης ο τῶν Ἰβήρων βασιλεύς), რადგან, როგორც ეს აშკარად ჩანს ამ ცნობის ტაციტუსის „ანალებთან“ შედარებიდან, აქ დიონ კასიოსს შეცდომა აქვს დაშვებული და თხრობა ეხება არა იბერიის მეფეს, არამედ ბოსფორის მეფე მითრიდატეს (ახ. წ. I საუკუნის 50-იანი წლები¹).

დიონ კასიოსი დამატებით წყაროს წარმოადგენს იბერიის სამეფოს ისტორიის იმ მნიშვნელოვანი პერიოდის შესწავლისათვის, როდესაც ქართლი ძლიერდება და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს არმენიის ტახტისათვის ატეხილ ბრძოლაში, მართალია, მეფე ფარსმან I-ის, მისი ძმის მითრიდატეს და ვაჟის რადამისტის ამბები ტაციტუსს უფრო ფართოდ და დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, ვიდრე ეს დიონ კასიოსის შემორჩენილ ფრაგმენტებშია მოცემული, მაგრამ უკანასკნელები მაინც ავსებენ და აკონკრეტებენ ტაციტუსის სათანადო ადგილებს.

საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს დიონ კასიოსი იმპერატორ ნერონის დროინდელ ბრძოლას არმენიისათვის, რომელსაც მხედართმთავარი კორბულონი მეთაურობდა. ამ მოვლენებისათვის დიონ კასიოსი საუკეთესო და შედარებით მიუდგომელ ისტორიკოსად ითვლება. მართალია, კორბულონის ლაშქრობები უშუალოდ

¹ Г. А. М е л и к и ш в и л и , К историн древней Грузии, Тбилиси, 1958 გვ. 336.

² იხ. ბ უ ა ს ე ვ ე ნ ი ს გამოცემა. ტ. II, Index historius, s. v.; მ ე ლ ბ ე - რ ი ს გამოცემა, ტ. III, Indices, s. v.

³ Cassius Dio's Römische Geschichte, übersetz von Dr. L T a f e l V Bd., გვ. 43; Dio's Roman History, by B. C a r y , III, გვ. 279.

⁴ T a c i t , Ann, XII, 15, 1-2: იხ. Dio's Roman History by B. Cary გვ. 441; О. В. К у д р я в ц е в დასახ. ნაშრ., გვ. 141.

საქართველოს არ შეეხება, მაგრამ იბერიისა და არმენიის ისტორიული ვითარება ამ ხანებში იმდენად მჭიდროდ იყო ურთიერთ-თან დაკავშირებული, რომ არმენიის ამდროინდელი მდგომარეობისა და მისთვის პართია-რომს შორის ბრძოლის მიმდინარეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნება იბერიის როლისა და მნიშვნელობის გაგება მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ ასპარეზზე.

საინტერესოა აგრეთვე მოკლე ცნობა ნერონის მიერ განზრახული ლაშქრობის შესახებ კ ა ს პ ი ს კ ა რ ი ს ა კ ე ნ . მართალია, დიონ კასიოსის ამ ფრაგმენტიდან ძნელია დასკვნის გამოტანა ლაშქრობის მიზნის შესახებ, მაგრამ მისი მიმართულების გასარკვევად მას უდავოდ ერთგვარი ფასი აქვს. კასპიის კარის დასახელება დიონ კასიოსის მიერ, ჩვენი აზრით, ამაგრებს იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც ლაშქრობის მიზნად ალანებს და არა ალბანიას გულისხმობენ; ხოლო რამდენადაც კასპიის კარი, როგორც ჩანს, დარიალის

ვიწრობებს უნდა ეწოდებოდეს, ნერონის კავკასიური ლაშქრობის მიზნისა და მიმართულების დადგენა მჭიდროდ უკავშირდება ახ. წ. I საუკუნის იბერიის ისტორიას¹.

ძალზე მნიშვნელოვანია დიონ კასიოსის ორი ფრაგმენტი (წიგნი LXVIII, 19,1-2 და LXXI, 14,2), რომლებშიაც ნახსენებია ჰენიოხთა მეფე ანქიალე. ეს ფრაგმენტები იმით არის საყურადღებო, რომ გვამცნობენ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს – მაკრონ-ჰენიოხთა მეფის მონაწილეობას რომაელთა ლაშქრობებში. ეს ფაქტი ერთ-ერთი კონკრეტული ილუსტრაციაა იმ ვალდებულებისა, რომელიც ეკისრებოდა რომისაგან დამოკიდებულ პოლიტიკურ ერთეულებს: რომაელთა ლაშქრობებში მონაწილეობის მიღება.

ახ. წ. II საუკუნეში იბერიის ხვედრითი წონა მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა. იბერიის მეფე ფარსმან II არ ერიდება დამოუკიდებელ, ხშირად რომის ინტერესთა საწინააღმდეგო პოლიტიკურ ნაბიჯებსაც. რომის ხელისუფლება იძულებულია ანგარიში გაუწიოს იბერიის გაზრდილ მნიშვნელობას და საჩუქრებითა და დახმარებით მოიგოს იბერიის მეფის გული, შეინარჩუნოს მისი მოკავშირეობა. ამის შესახებ საკმაოდ ბევრი ცნობა აქვთ შენახული რომაელ მწერლებს, ე. წ. „ავგუსტუსების ისტორიკოსებს“ (Scriptores Historiae Augustae), მაგრამ მათ მონაცემებს მნიშვნელოვნად ავსებს დიონ კასიოსის რამდენიმე ფრაგ-

¹ იხ. ქვევით, LXIII წიგნის კომენტარები.

მენტი, რომლებშიაც მოთხრობილია ფარსმანის მიერ ალანთა გამოყვანა და რომის ხელქვეით პროვინციებისა და მოკავშირე სამეფოებისათვის შესევა, ფარსმანისა და მის თანმხლებ პირთა რომში. სტუმრობა და მისი განსაკუთრებულის პატივით მიღება იმპერატორის მიერ, დიონ კასიოსის ეს ფრაგმენტები გვეხმარება უკეთ გავიგოთ იბერიის იმდროინდელი როლი და მნიშვნელობა.

საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დიონ კასიოსის ცალკეულ ცნობებს. ასე მაგალითად, იბერიის დედაქალაქის „აკროპოლისის“ სახელწოდებით მოხსენიება საინტერესოა ძველი მცხეთისა და მისი ციხის-არმაზციხის ურთიერთმიმართების გარკვევის თვალსაზრისით (იხ. ქვევით, კომენტარები XXXVII წიგნისათვის № 4).

დიონ კასიოსის ცნობა იმის შესახებ, რომ პომპეუსმა არტაგთან ზავის პირობად მოითხოვა მისი შვილების მძევლად მიცემა, მიუთითებს, როგორც აღნიშნავს ს. ჯანაშია, არტაგის მონარქიულ უფლებებზე¹ და დამატებითი საბუთია იბერიაში ამ ხანებისათვის განვითარებული სახელმწიფოებრივი წყობილების არსებობისა და მეფის უფლებათა გასარკვევად.

ზოგიერთ ცნობას, მაგალითად ალბანეთში პომპეუსის ლაშქრობის აღწერილობას, შეუძლია დახმარება აღმოგვიჩინოს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრების გარკვევაში² და ა. შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული აშკარას უნდა ხდიდეს, რომ დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა ანტიკური საქართველოს ისტორიისათვის და მის ცნობებს სათანადო მეცნიერული შესწავლა-ინტერპრეტირება აუცილებლად სჭირდება.

ე) დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ ხელნაწერთა და გამოცემათა საკითხისათვის

დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ ჩვენამდე ძალზე ნაკლები სახითაა მოღწეული, მთლიანად, მაგრამ ისიც მცირედენი ხარვეზებით, შენახულია მარტო XXXVI–LXXX წიგნები. დანარჩენი წიგნებიდან დარჩენილია მარტო ცალკეული ფრაგმენტები. XII საუ-

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, „შრომები“, ტ. II, 1952, გვ. 158.

² ნ. ლ ო მ ო უ რ ი , იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ ხანაში, „სოხუმის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები“, ტ. VII, 1955, გვ. 3–7.

30

კუნეში ჯერ კიდევ არსებობდა I–XXI წიგნებიც, მაგრამ ხელნაწერებში ისინი ეხლა აღარ გვხვდება და მათი ანოტაცია მერმინდელ ექსცერპტორთა მიერ არის შენახული. განსაკუთრებით ნაკლებია XXII–XXXV წიგნები, რომლებიც, როგორც ჩანს, ადრევე დაკარგულა, ყოველ შემთხვევაში, XII საუკუნეში ისინი უკვე აღარ ჩანს¹. დიონ კასიოსის ნაწარმოების გადარჩენის საქმეში დიდი როლი შეასრულეს ბიზანტიელმა ექსცერპტორებმა, რომლებსაც „რომის ისტორიის“ მთელი რიგი ადგილების ანოტირება მოუხდენიათ და დღეს მათი წყალობით ხერხდება იმ წიგნების შევსება, რომლებიც ხელნაწერებში ან სულ არ გვხვდება, ან ნაკლები სახით არის წარმოდგენილი.

„რომის ისტორიას“ XXXVI–LXXX წიგნები XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VII დუკას (1071–1078) დავალებით გადაუმუშავებია იოანე ქსიფილინოსს და თავის „ეკლოგებში“ ამ წიგნების შემოკლებული რედაქციები შეუტანია².

ასეთივე სასარგებლო საქმე გააკეთა XII საუკუნეში მეორე გამოჩენილმა ექსცერპტორმა-მწერალმა იოანე ზონარამ, რომელმაც თავის მოკლე „ისტორიის სახელმძღვანელოში“ (Ἐπιτομή Ἱστοριᾶν) „რომის ისტორიის“ გარკვეული თავები დიონ კასიოსის შრომის I–XXI და XLIV–LXXX წიგნების მიხედვით შეადგინა³.

ბიზანტიელ ქრონისტთაგან, რომლებიც დიონს იყენებდნენ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იოანე ანტიოქიელს, რომელმაც, ჯერ კიდევ VII საუკუნეში შეადგინა მსოფლიო ისტორია და უხვად გამოიყენა დიონ კასიოსი⁴.

„რომის ისტორიის“ ცალკეული ნაწყვეტები შეტანილია აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტის (912–959) ექსცერპტების კრებულებში, განსაკუთრებით ბევრია ასეთი ნაწყვეტები კრებულებში „ხალხთა ელჩობების შესახებ რომაელებთან“ (Περὶ πρέσβεων

ἐθνικῶν πρὸς Ῥωμαίους) და „რომაელთა ელჩობების შესახებ ხალხებთან“ (Περὶ πρέσβεων Ῥωμαίους πρὸς ἔθνικους), ეს კრებულები შემდეგ საერთო სათაურით „ელჩობათა შესახებ“ (De legationibus) გამოსცა ურსინიმ⁵. ამას გარდა რიგი ფრაგმენტებისა შევიდა კრე-

¹ B. S e h w a r t z Cassius Dio Cocceianus, RE, III, გვ. 1720.

² RE, III გვ. 1720; Fr. S c h o e l l , Geschichte..., გვ. 432.

³ H. P e t e r , Die geschichtliche Litteratur..., გვ. 98–100.

⁴ О. К у д р я в ц е в , დასახ. ნაშრ., გვ. 137,3.

⁵ Dio's Roman History, by E. C a r y , გვ. XVIII–XX.

ბულებში „სიკეთისა და ბოროტების შესახებ“ (De virtutibus et vitiis) და „ბრძნული აზრების შესახებ“ (De sententiis)¹.

უშუალოდ ხელნაწერებში, როგორც აღნიშნული იყო, შენახულია მხოლოდ „რომის ისტორიის“ ცალკეული თავები ან მათი ფრაგმენტები.

უძველესი ხელნაწერი, რომლის მხოლოდ ცალკეული, დაზიანებული ფურცლებია „მოღწეული, არის ვატიკანის ბიბლიოთეკის ბერძნული ხელნაწერი (Vaticanus Graecus 1288), რომელიც V თუ VI საუკუნეს ეკუთვნის და შეიცავს ნაწყვეტს LXXVIII წიგნის II თავის II პარაგრაფიდან ვიდრე LXXIX წიგნის VIII თავის III პარაგრაფამდე. ეს ხელნაწერი გამოსცა თავის ექსცერბტთა კრებულში ურსინიმ².

უფრო უკეთ არის შენახული 11 ხელნაწერი, რომლებიც შეიცავენ XXXVI–LXX წიგნების დიდ ნაწილს. ამ ხელნაწერებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. Laurentianus (ან Medicus) 70,8 (L) რომელიც შეიცავს XXXVI წიგნის XVIII თავის I პარაგრაფიდან L, წიგნის VI თავის TP პარაგრაფამდე და Marcianus (ან Venetus) 395 (M), რომელშიაც შესულია XLVI, 35,4–LX, 28,3. ორივე ხელნაწერი X1 საუკუნისაა, ხოლო მეორეს აკლია მთელი გვერდები.

სამი ხელნაწერი ეკუთვნის XV საუკუნეს და, შედარებით უფრო, ვრცელ ნაწყვეტებს შეიცავს. ესენია:

1. Vaticanus Graecus 144 (V), მასში შედის XXXVI–LIV.

წიგნები.

2. Parisinus 1689 (P), – შეიცავს XXXVI–I.X წიგნებს,

3. Laurentianus (ან Medicus) 70.10 (L), მასში შენახულია XLH -LX წიგნები.

როგორც თავის დროს უ. ბუასევენმა დაამტკიცა, დანარჩენი ექვსი ხელნაწერი არაფერს სპეციფიკურს არ შეიცავს და ერთ-ერთი ზემოდასახელებული ხელნაწერის ვარიაციას წარმოადგენს, ჩამოთვლილი ხელნაწერებიდან ძირითადია L და M ხელნაწერები. V ხელნაწერი წარმოადგენს ზუსტ კოპიოს L-ისას, მხოლოდ გადმოწერილს იმ დროს, როდესაც უკანასკნელი უფრო სრული იყო, ვიდრე ამჟამად. ხელნაწერი L გადმოწერილია M-იდან და შევსე-

¹ ბუასევენის შესავალი დიონ კასიოსის ტექსტის გამოცემისადმი, წ. I, გვ. I–XV: Excerpta historion iussu imperatoris Constantini Porphyrogeneti

ბულია იგივე L ხელნაწერიდან ხელნაწერი P შედგენილია ორი მანუსკრიპტიდან (L და L') გადმოწერის გზით; პირველი ნაწილი გადმოღებულია L-იდან, მეორე კი – L'-იდან. რამდენადაც აღნიშნული ხელნაწერები ამჟამად დაზიანებული სახით არის დაცული, დიონ კასიოსის ტექსტის ხელნაწერებიდან აღდგენისათვის საჭირო ხდება მათი შევსება ურთიერთის დახმარებით¹.

რამდენიმე აატარა ნაწყვეტი დიონ კასიოსის შრომისა აღმოჩნდა ფურცლების ხუთ პატარა ფრაგმენტზე, რომლებითაც დაწებებული იყო სტრაბონის „გეოგრაფიის“ ერთ-ერთი ხელნაწერი (Parisinus 1397). ისინი ამკარად ეკუთვნიან დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ XI საუკუნის ხელნაწერს და შეიცავენ ძვ. წ. 207–200 წლების ამბებს².

ამრიგად, დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ ტექსტის დადგენისათვის საჭიროა დასახელებულ ხელნაწერთა ურთიერთშეჯერება და მათი შევსება მერმინდელ ექსცერპტორთა ნაშრომებიდან.

დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ პირველად გამოცემული იყო 1548 წ. პარიზში Robert Stephanus-ის მიერ, ამ გამოცემაში შევიდა მხოლოდ XXXVI–LX წიგნები. პუბლიკაციას საფუძვლად ედო მხოლოდ ერთი ხელნაწერი (Parisinus 1689) და ამდენად ხელნაწერის ხარვეზები შეუვსებელი დარჩა. 1558 წ. შესრულებული იყო მეორე გამოცემა Withelm Holzmann-ის მიერ; იგი ბევრით არ ჯობდა პირველს, ამ გამოცემას მოჰყვა: კიდევ რიგი ნაკლები, უაპარ ატო გამოცემებისა, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ რომელიმე ხელნაწერს ეყრდნობოდა და ამდენად არ შეიძლებოდა სრული ყოფილიყო.

1751 წ. დიონ კასიოსის ტექსტზე მუშაობა დაიწყო ცნობილმა გამომცემელმა J. A. Fabricius-მა, მაგრამ სიკვდილის გამო მან ეს სამუშაო ვერ დაასრულა და მისი საქმე გააგრძელა H. 8. Reimar-მა, რომელმაც 1750–1752 წლებში, ჰამბურგში, ორ ტომად გამოსცა კიდევ ბერძნული ტექსტი, პარალელური ლათინური თარგმანითა და ვრცელი, ჩინებულად შედგენილი კომენტარებით; პუბლიკაციას წინ უძღვის დიონ კასიოსის ბიოგრაფია. რაიმარსვე ეკუთვნის ტექსტის დანაწილება თავებად და პარაგრაფებად. რაიმარი ეყრდნობოდა უმთავრესად ორ ძირითად ხელნაწერს (Laurentianus 70 და Marcianus 395).

¹ იხ. ბუასევენის გამოცემის შესავალი, გვ. XII–XV.

² Dio's Romua History, by E. Cary, გვ. XXVI.

2. დიონ კასიუსი

33

3. რაიმარის გამოცემაზე დამყარებით 1824–25 წლებში გამოსცა დიონ კასიოსის ნაშრომი Sturz-მა (8 წიგნად) ხოლო 1849 წელს გამოქვეყნდა Bekker-ის პუბლიკაცია საკმაოდ დაწვრილებითი კომენტარებით.

1863–65 წლებში Lud. Dindorf-მა განახორციელა აგრეთვე საკმაოდ სრული გამოცემა ხუთ ტომად, უმთავრესი ხელნაწერების გათვალისწინებით.

1890–94 წლებში გამოდის Melber-ის გამოცემა (I და II წიგნი, ხოლო 1928 წელს მისივე III წიგნი). მელბერმა პირველმა შეიტანა თავის გამოცემაში იოანე ზონარას ექსცერპტები და დაუკავშირა ისინი ხელნაწერებში შენახულ ფრაგმენტებს.

დიონ კასიოსის ტექსტის საუკეთესო გამოცემად სადღეისოდ თვლიან U. Ph. Boissevain-ის პუბლიკაციას¹, მან პირველმა გამოიყენა ყველა არსებული ხელნაწერი და ექსცერპტები, მოგვცა ტექსტის ახალი დაყოფა თავებად და პარაგრაფებად, დაურთო ტექსტს კრიტიკული აპარატი, რომელშიაც აისახა ხელნაწერთა ყველა კითხვასხვაობა. გამოცემას ახლავს ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიაც შესულია ხელნაწერთა სრული აღწერილობა,, დიონ კასიოსის ბიოგრაფია, მისი შრომის ზოგადი დახასიათება და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა.

უკანასკნელს ჩვენთვის ცნობილ პუბლიკაციას წარმოადგენს J. Loeb-ის სერიაში (The Loeb Classical Library) შესული გამოცემა. დიონ კასიოსის „რომის ისტორია“ ამ სერიაში გამოქვეყნებულია 9 წიგნად; გამოცემა ემყარება დიონ კასიოსის ტექსტის საუკეთესო პუბლიკაციებს; მას ახლავს E. Cary-ს მიერ შესრულებული ინგლისური თარგმანი, ტექსტს დართული აქვს კრიტიკულთა აპარატი. გამოცემას წამძღვარებული აქვს მოკლე შესავალი წერილი. და ძირითადი ბიბლიოგრაფია².

* * *

დიონ კასიოსის ტექსტის თარგმნისას ჩვენ უმთავრესად ბუასევენის გამოცემას ვეყრდნობოდით. გარდა ამისა გამოყენებული გვაქვს აგრეთვე მელბერისა და დინდორფის გამოცემები. გათვალისწინებული გვაქვს კერის გამოცემაც. მართალია, ჩვენ არ გვქო-

¹ Cassii Dionis Cocceiani Historiarum Romanorum quae supersunt, edidit Ursulus Philippus Boissevain, Berolini, 1895–1901.

² Dio's Roman History, with an English translation by Earnest. Cary, London-Cambridge-Massachusetts, 1954–1955.

ნია საშუალება დიონ კასიოსის ხელნაწერები უშუალოდ გვენახა, მაგრამ მიზანშეწონილად დავინახეთ ტექსტისათვის დაგვერთო კრიტიკული აპარატი, რომელშიაც შევიტანეთ ის კითხვასხვაობები, რომლებიც ზევით დასახელებულ გამოცემებში არის მითითებული. ტექსტის თავებად და პარაგრაფებად დაყოფაში მივყვებით კერის გამოცემას.

ტექსტის კომენტარებში მიღებული შემოკლებანი

A – Cod. Parisinus 1715.

B – Cod. Vindobonensis 16.

Bk. – I. Bekker, Anecdota Graeeca, vol. I.

- Bs** – U. Ph. Boissevain (დონ კასიოსის გამოცემა 1895–1901 წ.)
- C** – Cod. Colberteus sive Parisinus 1717.
- Cod. Peir.** – Codex Peirescianus.
- Dind.** – L. Dindorf (დონ კასიოსის გამოცემა 1863–65 წ.).
- Fabr.** – J. A. Fabricius (მისი ჩანაწერებით ისარგებლა ჰ. რაიმარმა).
- V. Gutsch.** – A. von Gutschmid, Kleine Schriften, 1894.
- V. Herw.** – A. von Herwerden, Spicileginm Vaticanum, Lugduni–Batavorum, 1860.
- L** – Cod. Laurentianus (Medicus) 70,8.
- Leuncl.** – Leunclavius, – Excerpta Ursiniana – გამომცემელი.
- M** – Cod. Marcianus (Venetus) 395.
- P** – Cod. Parisinus 1689.
- Reim.** – H. B. Reimar (დონ კასიოსის გამოცემა 1750–1752 წ.).
- Rk.** – I. J. Reiski (Reimar-ის გამოცემის კომენტარების ავტორი).
- H. Steph.** – H. Stephanus (დონ კასიოსის გამოცემა 1590 წ.).
- R. Steph.** – B. Stephanus (დონ კასიოსის გამოცემა 1548 წ.).
- St.** – F. C. Sturz (დონ კასიოსის გამოცემა 1824–25 წ.).
- U^G** – De Legationibus, Περὶ πρέσβευων ἔθνικῶν πρὸς Ῥωμαίους.
- U^R** – De Legationibus, Περὶ πρέσβευων Ῥωμαίων πρὸς ἔθνικούς.
- Urs.** – Excerpta Ursiniana, 1582.
- V** – Codex Vaticanus Graecus 144.
- Xyl** – Xylander=G. Holtzman, l' Histoire de Dion Cassiusy Bale, 1568.
- Zon.** – Zonaras, Epitome, ed. L. Dindorf, BT, Lipsiae, 1868 – 1875.

[1] ...καὶ ὅτι ἰσχυρὰ τῆ τύχῃ ἐπ' ἀμφοτέρα ἐκέχρητο, ἐπέτρεψεν· ἤττηθεις τε γὰρ πολλὰ καὶ κρατήσας οὐκ ἐλάττω καὶ στρατηγικώτερος ἀπ' αὐτῶν ἐπεπίστευτο γεγονέναι. αὐτοὶ τε οὖν ὡς καὶ τότε πρῶτον ἀρχόμενοι τοῦ πολέμου παρεσκευάζοντο, καὶ πρὸς τοὺς περιχώρους, τοὺς τε ἄλλους καὶ Ἀρσάκην τὸν Πάρθον, καί-περ ἐχθρὸν τῷ Τιγράνῃ δια χώραν τινὰ ἀμφοσθητήσιμον ὄντα, ἐπρεσβεύοντο, καὶ τούτης τε αὐτῷ ἀφίσταντο, [2] καὶ τοὺς Ῥωμαίους διέβαλλον λέγοντες ὅτι, ἂν μονωθέντων σφῶν κρατήσωσι, καὶ ἐπ' ἐκεῖνον εὐθὺς ἐπιστρατεύσουσι. φύσει τε γὰρ πᾶν τὸ νικῶν ἀπληστον τῆς εὐπραγίας εἶναι καὶ μηδένα ὄρον τῆς πλεονεξίας ποιεῖσθαι, καὶ τούτους, ἅτε καὶ ἐν κράτει πολλῶν ἤδη γεγονότας, οὐκ ἐθέλησιν αὐτοῖς ἀποσχέσθαι.

[1] ...და რადგან ტიგრანმა განიცადა ბედის ორმხრივი უკიურესობა, მან გადასცა [მითრიდატეს უმაღლესი ძალაუფლება], რადგან მრავალი დამარცხებისა და არანაკლები გამარჯვების შემდეგ ყველას სჯეროდა, რომ [მითრიდატე] უკეთ გაიწაფა სამხედრო ხელოვნებაში. ისინი არა მარტო ომისათვის მზადებას შეუდგნენ, არამედ ელჩებიც გაუგზავნეს მეზობლებს, მათ შორის პართელ არსაკესაც⁸, თუმცა იგი ემტერებოდა ტიგრანს რომელიდაც სადავო ოლქის გამო; [2] „მითრიდატემ და ტიგრანმა“ ეხლა ეს ოლქი შესთავაზეს მას, თანაც ცილს, სწამებდნენ რომაელებს, თითქოს ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ ომს მოუგებდნენ მათ მარტომყოფთ, მაშინვე გაილაშქრებდნენ მის წინააღმდეგაც, რადგან

ყოველი გამარჯვებული ბუნებით ისეთია, რომ ვერ ძღება წარმატებით და მის სიხარბეს საზღვარი არა აქვს; ამიტომ [რომაელები], რომელთაც ბევრი სხვაც დაიმორჩილეს, არც მას დასტოვებენ დამოუკიდებლად.

[1] Καὶ οἱ μὲν ταῦτ' ἐπρατ-
 τον, Δούκουλλος δὲ Τιγράνην μὲν
 οὐκ ἐπεδίωξεν ἀλλὰ καὶ πάνυ
 κατὰ σχολὴν σωφθῆναι εἶπασε, καὶ
 ἀπ' αὐτοῦ καὶ αἰτίαν ὡς οὐκ
 ἐθέλησας τὸν πόλεμον, ὅπως ἐπὶ
 πλείον ἄρχῃ, καταλῦσαι παρὰ τε
 τοῖς ἄλλοις καὶ παρὰ τοῖς πολί-
 ταις ἔσχε· [2] καὶ διὰ τοῦτο τότε
 τε ἔς τοὺς στρατηγοὺς τὴν ἄρχὴν
 τῆς Ἀσίας ἐπανήγαγον, καὶ μετὰ
 ταῦθ', ὡς καὶ αὐθις τὸ αὐτὸ
 τοῦτο πεποιθέναι ἔδοξε, τὸν ὑπα-
 τον αὐτῶ τὸν κατ' ἐκείνον τὸν
 χρόνον ὄντα διάδοχον ἐπεμψαν.
 [3] τὰ δὲ ὅθι Τιγρανόκερτα στα-
 σιασάντων πρὸς τοὺς Ἀρμενίους
 τῶν ξένων τῶν συνοικούντων
 αὐτοῖς εἶλε. Κίλικές τε γὰρ οἱ
 πλείους αὐτῶν ἦσαν ἀνάσπαστοί
 ποτε γεγονότες, καὶ ἐσήγαγον
 εἰσω νυκτὸς τοὺς Ῥωμαίους.
 [4] καὶ ἐκ τούτου τὰ μὲν ἄλλα
 διηρησάσθη πλὴν τῶν ἐκείνοις
 ὑπαρχόντων, τὰς δὲ ὅθι γυναῖκας
 τῶν δυνατωτάτων πολλὰς ἀλού-
 σασ ἀνευ ὑβρισμοῦ ὁ Δούκουλλος
 ἐφύλαξε, καὶ ἀπ' αὐτοῦ καὶ
 τοὺς ἀνδρας σφῶν προσεκοιήσατο.
 [5] τὸν τε τῆς Κομμαγηγῆς βασι-
 λέα Ἀντίοχον (ἣ δὲ ὅθι χώρα
 αὕτη τῆς Συρίας πρὸς τε τῷ
 Εὐφράτῃ καὶ πρὸς τῷ Ταύρω
 ἐστὶ) καὶ τινα Ἀράβιον θυνάστην
 Ἀλχασθόνιον ἄλλους τε ἐπικερυ-
 χευσαμένους οἱ ἐδέξατο.

[1] როდესაც მათ (მითრიდა-
 ტემ და ტიგრანმა – ნ. ლ.) ეს
 მოიმოქმედეს, ლუკულუსმა აღარ
 გააგრძელა ტიგრანის დევნა და
 საშუალება მისცა მას ხიფათს
 გასცლოდა. იმის გამო, რომ მან
 არ დააბოლოვა ომი, რათა გაე-
 ხანგრძლივებინა თავისი უფლება-
 მოსილება, მოქალაქეებმა, ისევე
 როგორც სხვებმა, ბრალი დას-
 დეს. [2] ამიტომ მათ გადასცეს
 აზიის პროვინცია მხედართმთავ-
 რებს⁹, ხოლო შემდეგ კი, როცა
 ის დარწმუნდა რომ შეუძლია
 ძველებურად იმოქმედოს, გაუგ-
 ზავნეს მას იმ წლის კონსული
 მის შესაცვლელად. [3] მიუხედა-
 ვად ამისა, მან დაიპყრო ტიგ-
 რანოკერტა¹⁰, როცა ამ ქა-
 ლაქში მცხოვრები უცხოელები
 აუჯანყდნენ არმენიელებს; მათი
 უმრავლესობა კილიკიელები იყვ-
 ნენ, რომლებიც მათი სამშობლო-
 დან წამოეყვანათ და მათ შემო-
 უშვეს ღამით რომაელები. [4] მათ
 (რომაელებმა – ნ. ლ.) ყველაფერი
 გამარცხეს გარდა იმისა, რაც
 კილიკიელებს ეკუთვნოდა, მაგ-
 რამ ლუკულუსმა თავაკაცების
 ტყვედ ჩავარდნილი ცოლები ძალ-
 მომრეობისაგან დაიცვა და ამით
 მათი ქმრები მიიმხრო. [5] შემდ-
 გომად ამისა, ლუკულუსმა მიიღო
 ანტიოქე, კომაგენეს მეფე (ეს
 არის სირიის ნაწილი ევფრატისა.
 და ტავროსის მახლობლად)¹,

ერთი არაბული ტომის ბელადი ალხაუდონიონი¹² და სხვები,
 რომლებიც მასთან მოსალაპარაკებლად მივიდნენ.

[1] Καὶ μαθῶν παρ' αὐτῶν τὴν πρεσβείαν τὴν ὑπὸ τε τοῦ Τιγράνου καὶ τοῦ Μιθριδάτου πρὸς τὸν Ἀρσάκην πεμφθεῖσαν, ἀνταπέστειλέ τινὰς ἐκ τῶν συμμάχων ἀπειλάς τε ἅμα αὐτῷ, ἂν ἐκείνοις ἐπικουρήσῃ, καὶ ὑποσχέσεις, ἂν τὰ σφέτερα ἀνθέλῃται, φέροντας. [2] ὁ οὖν Ἀρσάκης τότε μὲν (ἔτι γὰρ τῷ τε Τιγράνῳ ὀργὴν εἶχε καὶ τοὺς Ῥωμαίους οὐδὲν ὑπώπτευε) πρέσβεις τέ οἱ ἀντέπεμψε καὶ φιλίαν τε καὶ συμμαχίαν ἐσπέισατο· ὕστερον δὲ τὸν Σηκίλιον ἐλθόντα πρὸς ἑαυτὸν ἰδὼν ὑπετόπησε κατάσκοπον τῆς χώρας καὶ τῆς δυνάμεως αὐτοῦ παρεῖναι [3] (τούτου γὰρ ἕνεκα, ἀλλ' οὐ τῆς ὁμολογίας ἤδη γεγενημένης, ἀνδρὰ ἐπιφανῆ τὰ πολεμικὰ πεμφθῆναι), καὶ οὐδεμίαν ἔτ' αὐτῷ¹ βοήθειαν ἐποίησατο. οὐ μὲν οὖν ἦσαντιώθη τι, ἀλλ' ἐκ μέσου ἀμφοῖν ἔστη, μνηστέρους, ὥσπερ εἰκός, ἐθελήσας ἀδξήσαι· τὸν γὰρ πόλεμον αὐτῶν ἰσοκαλῆ θύγα ἀσφάλειάν οἱ μεγίστην οἴσειν ἐνόμιζεν.

[1] როცა ლუკულუსმა გაიგო, რომ ტიგრანსა და მითრიდატეს ელჩები გაუგზავნიათ არსაკესთან, მანაც გაგზავნა რამდენიმე მოკავშირე მუქარით, თუ-კი იგი მტერს დაეხმარებოდა და დაპირებებით, თუ ის მათ ინტერესების დაცვას არჩევდა. [2] არსაკემ (რომელიც ჯერ კიდევ ბრაზობდა ტიგრანზე და რომაელებში-კი ეჭვი არ ეპარებოდა) წარჩინებულნი გაუგზავნა [რომაელებს] სანაცვლოდ და მეგობრობისა და მოკავშირეობის პირობა დასდო მათთან. შემდეგ კი, როცა მან სეკილიუსი¹³ იხილა, რომელიც მასთან მივიდა, იფიქრა ჩემს ქვეყანას და ძლიერებას ხომ არ ზვერავსო [3] (ეს იმის გამო, რომ მისი აზრით, ეს კაცი გამოგზავნილი იყო არა უკვე ჩატარებული მოლაპარაკების გამო, არამედ სამხედრო მიზნებით). ამის შემდეგ იგი აღარ დახმარებია [ლუკულუსს]. მეორე მხრივ, იგი არავის არ ეწინააღმდეგებოდა, ორივე მხარეს შუა იდგა და ბუნებრივია არ სურდა, რომ რადგან ფიქრობდა, რომ

რომელიმე მხარე გაძლიერებულიყო, რადგან ფიქრობდა, რომ თანასწორ ძალთა შორის ბრძოლა ყველაზე მეტად იხსნიდა მას საფრთხისაგან.

¹ αὐτῷ – H. Steph., αὐτῶν – VP.

[1] Τούτῳ μὲν δὴ τῷ ἔτει ταῦθ' ὁ Λούκουλλος ἔπραξε, καὶ τῆς Ἀρμενίας συχνὰ προσηγάγετο· ἐπὶ δὲ δὴ Κυίντου Μαρκίου (οὗτος γάρ, καίπερ οὐ μόνος ἀποδειχθεὶς, μόνος ὑπάτευσεν· ὁ τε γὰρ σὺν αὐτῷ χειροτονηθεὶς Λούκιος Μέτελλος ἐν ἀρχῇ τοῦ ἔτους ἀπέθανε, καὶ ὁ ἐφαιρεθεὶς¹ πρὶν ἐπιβῆναι τῆς ἀρχῆς μετήλλαξε, καὶ διὰ τοῦτ' οὐδείς ἄλλος ἀπεδείχθη) [2]—ἐν οὖν τῷ ἔτει τούτῳ ὁ Λούκουλλος μεσοῦντος ἦδη τοῦ φέρουσ. (ὑπὸ γὰρ τοῦ ψύχους ἀδύνατος ἦν ἦρι ἕς τὴν πολεμίαν γῆν ἐσβαλεῖν) στρατεύσας τινὰ τε τῆς γῆς ἐπόρθησεν, ὅπως ἀμύνοντας αὐτῇ² τοὺς βαρβάρους ἕς μάχην ὑπαγάγηται, καὶ ὡς οὐδὲν μάλλον ἐκινουόντο, ἐπ' αὐτοὺς ὤρμησε.

ბარბაროსებს ჩაითრევდა, ბრძოლაში მიწის დასაცავად, მაგრამ როცა არაფერი გამოვიდა, დაიძრა მათ წინააღმდეგ.

[1] გარდა აღნიშნულისა, ლუკულუსმა ამ წელს არმენიის მრავალი [მხარე] დაიმორჩილა, კვინტუს მარციუსის¹⁴ კონსულოზის წელი (ამ წელს მარტო მას ეკავა თანამდებობა, თუმცა ის არ იყო მარტო, არჩეული კონსულად, რადგან ლუციუს მეტელუსი¹⁵, მასთან ერთად არჩეული, გარდაიცვალა წლის დასაწყისში, ხოლო ის კი, ვინც მის ნაცვლად აირჩიეს, მოკვდა, სანამ თანამდებობას დაიკავებდა, რის მერეც აღარავინ აურჩევიათ) [2] – ეს ის წელი იყო, როცა ლუკულუსი სალამჭროდ გაემგზავრა შუა ზაფხულში. (რადგან გაზაფხულზე სიცივის გამო შეუძლებელი იყო მტრის ქვეყნის დაპყრობა); მან ქვეყნის ნაწილი ააოხრა იმ მიზნით, რომ

[1] Κὰν τούτῳ τοῖς μὲν ἰππεῦσι τῶν Ῥωμαίων χαλεποὶ οἱ τῶν ἐναντίων ἰππῆς ἐγίνοντο, τῷ δὲ πεζῷ οὐδείς αὐτῶν ἕς χεῖρας ἦει, ἀλλ' ὅποτε ἡ ἀσπίς τοῦ Λουκούλλου τῇ ἰππῷ προσβοηθήσειεν, ἐτρέποντο. οὐ μέντοι καὶ δεινόν τι ἔπασχον, ἀλλὰ καὶ τοὺς ἐπιδιώκοντάς σφας ἕς τοῦπίσω

[1] მაშინ რომელ ცხენოსნებს დიდ სიძნელეს უქმნიდნენ მოწინააღმდეგის ცხენოსნები, მაგრამ არ ეკარებოდნენ ქვეითა ჯარს; მართლაც, როცა ლუკულუსის ქვეითნი ცხენოსნებს წამოეშველნენ, [მოწინააღმდეგე] გაიქცა. ისინი (არმენიელი ცხენოსნები. – ნ. ლ.) ისრებს ეს-

¹ ἐφαιρεθεὶς – Dind., αφιερωθεὶς. – V, ἀφίτρωθεὶς –P:

² αὐτῇ – Rk, αὐτῇν –VP.

τοξεύοντες πολλούς μὲν παραχρημα ἀπεκτίνυσαν, παμπληθεις δὲ ἐτίτρωσκον. [2] καὶ ἦν τὰ τραύματα χαλεπὰ καὶ δυσίατα· τὰς τε γὰρ ἀκίσι διπλαῖς ἐχρῶντο, καὶ προσέτι καὶ ἐφάρμοττον¹ αὐτάς, ὅσπερ τὰ βέλη, εἴτε ἐμμένοι² πῃ τοῖς σώμασιν εἴτε καὶ ἐξέλκοιτο, τάχιστα αὐτὰ διολγῆναι· τὸ γὰρ ἕτερον³ σιδηρίον ἔνδον, ἅτε μηδεμίαν ἀνθολκὴν ἔχον, ἐγκατελείπετο.

წვერი, რომელიც სუსტად იყო დამაგრებული, ჭრილობაში რჩებოდა.

როდენ მდევრებს თუმცა დიდ ზიანს არ აყენებდნენ; ზოგს კლავდნენ, ბევრს კი სჭრიდნენ [2] და ეს ჭრილობები მძიმე და განუკურნებელი იყო, რადგან ისინი ორმაგი წვერის მქონე ისრებს ხმარობდნენ და უმეტეს შემთხვევაში სწამლავდნენ მათ; იარაღი ღრმად ერჭობოდა სხეულში და, თუ მის ამოღებას მოახერხებდნენ, ძალიან მალე მოსწამლავდა სხეულს, რადგან რკინის მეორე

Κεφαλής

თავი 6

[1] Ὁ οὖν Λούκουλλος, ἐπειδὴ τε πολλοὶ ἐτραυματίζοντο, καὶ οἱ μὲν ἔθνησκον, οἱ δ' ἀνάπηροι γοῶν ἐγίγνοντο, καὶ ἅμα καὶ τὰ ἐπιτήδεια αὐτοὺς ἐπέλιπεν, ἐκείθεν τε ἀπεχώρησε καὶ ἐπὶ Νίσιβιν ὤρμησεν. [2] ἡ δὲ δὴ πόλις αὕτη ἐν τῇ Μεσοποταμίᾳ καλουμένην πεπόλισται (οὕτω γὰρ πᾶν τὸ μεταξὺ τοῦ τε Ἰγρίδος καὶ τοῦ Εὐφράτου ὀνομάζεται) καὶ νῦν μὲν ἡμετέρα ἐστὶ καὶ ἄποικος ἡμῶν νομίζεται, τότε δὲ ὁ Τιγράνης τῶν Παρθίων αὐτὴν ἀφελόμενος τοὺς τε πησαυροὺς ἐν αὐτῇ καὶ⁴ τὰ πλεῖστα τῶν λοιπῶν ἀπετέθειτο⁵, φύλακά οἱ τὸν ἀδελφὸν προστάξας. [3] πρὸς οὖν παύ-

[1] ვინაიდან ძალიან ბევრი დაიჭრა და მათგან ზოგი მოკვდა. კიდევ, ხოლო სხვები კი დასახიჩრდნენ და ამავე დროს სურსათ-სანოვავაც შემოეღია, ლუკულუსმა ეს ადგილები მიატოვა და ნიზიბინის წინააღმდეგ გაემართა¹⁶. [2] ეს ქალაქი აგებულია მესოპოტამიად წოდებულ ადგილას (ეს სახელწოდება მთელ მხარეს ეწოდება ტიგროსსა და ეფრატს შორის). ეხლა [ეს მხარე] ჩვენ გვეკუთვნის, რადგან ჩვენ კოლონიად ითვლება. იმ დროისთვის ტიგრანმა, რომელმაც [ნიზიბინი] პართელებს წაართვა, აქ განძეული და ბევრი რამ მისი ქონებიდან შეინახა და

¹ ἐφάρμοττον – Rk., ἐφήρμοττον – VP.

² ἐμμένοι – St., ἐμμένειέ – V, ἐμμένοιόέ – P.

³ τὸ γὰρ ἕτερον – Bk., τὸ γὰρ ἕτερον τὸ ὀεύτερον. – VP.

⁴ καὶ – Rk., καὶ τὰ ἄλλα – VP.

⁵ ἀπετέθειτο – Rk., ἀπετίδeto – VP.

την ὁ Δούκουλλος ἐλθὼν ἐν μὲν τῷ θέρει, καίπερ μὴ παρέργως τὰς προσβολὰς ποιησάμενος, οὐδὲν ἐπέρανε· τὰ γὰρ τείχη καὶ διπλὰ καὶ πλίνθινα ὄντα, τὴν τε παχύτητα πολλὴν ἔχοντα καὶ τάφρω βαθεῖα διειλημμένα, οὔτε κατασεισθήναι· πῃ οὔτε διορυχῆσθαι ἠδυστήθη, διόπερ οὐδ' ὁ Ἰεγρᾶνης ἐπήμυνέ σφισιν.

მცველად თავისი ძმა დაუყენა. [3] ლუკულუსმა [ნიზიზინს] ზაფხულში მიაღწია და თუმცა არ ჩაუთვლია მასზე შეტევა მეორეხარისხოვან საქმედ, მაინც ვერას გახდა, რადგან აგურის კედლები ორმაგი ჰქონდა და ძალიან სქელი, თანაც ღრმა თხრილით გარშემორტყმული. [ლუკულუსმა] ვერც [კედლების] შერყევა და

ვერც სადმე ძირის გამოთხრა შესძლო, ამიტომ ტიგრანი ეხმადებოდა [ალყაშემორტყმულებს].

Κ ε φ α λ ή ζ'

თავი 7

[1] Ὡς δ' ὁ τε χειμῶν ἐνέστη καὶ οἱ βάρβαροι ῥαθυσμότερον¹, ἅτε ἐπικρατοῦντες² τοὺς τε Ῥωμαίους ὅσον οὐκ ἀπαναστήσεσθαι προσδοκῶντες, διήγον, ἐτήρησε νύκτια ἀσέλγητον καὶ ὑετῷ λάβρῳ ῥρονταῖς τε χειμέριον, [2] ὅσπερ μήτε τι προἰδέσθαι· μήτε τι ἐπακοῦσαι· αὐτοὺς ἔχοντας τὸν τε ἕξω περίβολον πλὴν ὀλίγων καὶ τὴν ἐν τῷ μέσῳ τάφρον ἐκλίπειν, καὶ προσέμιξε πολλαχῆ τῷ τείχει. καὶ ἐκείνου τε οὐ χαλεπῶς ἀπὸ τῶν χωμάτων ἐπέβη, καὶ τοὺς φρουροὺς τοὺς ἐγκαταληφθέντας ἐν αὐτῷ ῥαδίως ἅτε μὴ πολλοὺς ὄντας ἀπέκτεινε. [3] καὶ οὕτω τῆς τε τάφρου μέρος τι (τὰς γὰρ γεφύρας οἱ βάρβαροι προκατέρρηξαν³) συνέχασεν (οὔτε

[1] მაგრამ, როცა ზამთარი დადგა, გაუფრთხილებელი ბარბაროსები, რაკი რომაელებზე უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული, იმას-ღა ელოდნენ, რომ რომაელები წავიდოდნენ. [2] [ლუკულუსი] დაელოდა ერთ უმთვარო ღამეს, ძლიერი წვიმიტა და ჭექაქუხილიანი ქარიშხლით, ისე რომ [მტერმა], რომელიც ვერ ხედავდა ვერაფერს მის წინ და არც ესმოდა არაფერი, დასტოვა გარეთა სიმაგრეები, ზოგიერთის გარდა და შუაში მდებარე თხრილი. მაშინ [ლუკულუსი] მიუახლოვდა რამდენიმე ადგილას გალავანს, ავიდა მასზე სიძნელის გარეშე მიწაყრილის საშუალებით და ადვილად დახოცა შეპყრობილი მცველები, რომლებიც

¹ ῥαθυσμότερον – Xyl. ὀθυσμότερον – VP.
² ἐπικρατοῦντες – H. Steph.. ἐπικρατοῦντας – VP.
³ προκατέρρηξαν – Xyl., προσκατέρρηξαν – VP.

γάρ τῆ τοξείᾳ οὐτ' αὖ τῷ πυρὶ
 λυπεῖσθαι ἐν τῷ πολλῷ ἕτερον
 ἐδύνατο), καὶ διαβὰς αὐτὴν τὰ
 μὲν ἄλλα, οὐ πάνυ ἰσχυροῦ τοῦ
 ἔνδοσιν κύκλου πίστει τῶν ἔξωθεν
 αὐτοῦ προβεβλημένων¹ ὄντος,
 εὐθύς εἶπε, τοὺς δὲ ἐς τὴν ἄκραν
 ἀναφυγόντας, [4] ἄλλους τε καὶ
 τὸν ἀδελφὸν τοῦ Τιγράνου, μετὰ
 τοῦτο κατ' ἁπολογία παρεστή-
 σατο, καὶ χρήματά τε πολλὰ
 ἔλαβε καὶ ἐκεῖ διεχείμασε.

სიმაგრეს შეაფარა თავი, მათ შორის ტიგრანის ძმამაც. შემდეგ
 [ლუკულუსმა] ისინიც აიძულა, რომ დამორჩილებოდნენ, ხელთ
 იგდო აგრეთვე ბევრი სიძლიდრე და იქვე დაიზამთრა.

ცოტანი იყვნენ. [3] თხრილის
 ნაწილი ამოავსო, რადგან ბარ-
 ბაროსებს წინასწარ აეყარათ ხი-
 დები; ვერც ისრები და ვერც
 ცეცხლი ვერაფერს უშავებდა მათ
 ამ ძლიერ წვიმამში. [ლუკულუსმა]
 მაშინვე ხელთ იგდო თითქმის
 ყველაფერი, რადგან შიდა წრე
 [სიმაგრეებისა] არც ისე მძლავრი
 იყო, ვინაიდან ყველას ძალიან
 სწამდა გარეთა სიმაგრის სიძ-
 ლიერე. [4] ზოგიერთმა ციხე-

Κ ε φ α λ ῆ ῆ

თავი 8

[1] Τὴν μὲν οὖν Νίσιβιν οὕτως
 ἐχειρώσατο, τῆς δὲ Ἀρμενίας
 τῶν τε ἄλλων τῶν περὶ τὸν Πόν-
 τον συχνὰ ἀπέβαλεν. ὁ γὰρ Τιγ-
 ράνης ἐκείνη μὲν ὥς οὐκ ἂν
 ἀλοῦσθαι οὐκ ἐπεκούρησε, πρὸς δὲ
 τὰ προσηρημένα ἠρμήσεν, εἰ πως
 ἀσχύλου περὶ τὴν Νίσιβιν αὐτοῦ
 ὄντος φηάσειεν αὐτὰ κομισάμε-
 νος. [2] καὶ Μιθριδάτην μὲν πρὸς
 τὴν οἰκίαν ἀπέστειλεν, αὐτὸς δὲ
 ἐς τὴν ἑαυτοῦ Ἀρμενίαν ἦλθε,
 κἀνταῦθα Λούκιον Φάννιον, ἀντι-
 στάντα οἱ ἀπολαβῶν ἐπολιόρχει,
 μέχρις οὐ ὁ Δούκουλλος αἰσθό-
 μινος τοῦτο ἐπεβοήθησεν αὐτῷ.

[1] ამრიგად ნიზიბინი ასე
 დაიმორჩილა, მაგრამ დაკარგა
 არმენიისა და პონტოს გარშემო
 მდებარე ქვეყნების [ადრე დაპყ-
 რობილი] ოლქები, რადგან ტიგ-
 რანი [ნიზიბინს], არ მიეშველა,
 რაკი მას აუღებლად თვლიდა, ის
 გაემართა აღნიშნული ადგილე-
 ბისაკენ რათა რაიმე საშუალე-
 ბით ნიზიბინთან შეფერხებული
 [ლუკულუსისათვის] დაესწრო მა-
 თი გამაგრება. [2] მითრიდატე
 სახლში დააბრუნა, თვითონ კი
 არმენიაში შევიდა, სადაც მას
 წინ აღუდგა ლუკიუს ფანი-
 უსი¹⁷, რომელიც მან ალყაში

მოამწყვდია, სანამ ლუკულუსმა არ შეიტყო ეს ამბავი და მაშველი
 არ გამოუგზავნა.

¹ προβεβλημένων – Leuncl, προσβεβλημένον – VP.

Κεφαλή 9

[1] Ἐν ᾧ δὲ ταῦτ' ἐγένετο, Μιθριδάτης ἔς τε τὴν ἑτέραν Ἀρμενίαν καὶ ἔς τὰ ἄλλα ἐσβαλὼν πολλοὺς τῶν Ῥωμαίων τοὺς μὲν ἀνά τὴν χώραν πλανωμένους ἀπροσδόκητὸς σφίσι προσπεσὼν ἐφθειρε, τοὺς δὲ καὶ ἐκ μάχης κατέκοψε, καὶ τούτῳ καὶ τῶν χωρῶν τὰ πλείω διὰ ταχέων ἀνεκτήσατο. [2] οἱ γὰρ ἄνθρωποι ἐκείνου τε εὖνοιον ἔκ τε τοῦ ὁμοφύλου καὶ ἐκ τῆς πατρῴου βασιλείας καὶ τῶν Ῥωμαίων μίσσος διὰ τε τὸ δθνεῖον καὶ διὰ τὸ ὑπὸ τῶν ἐφεστηκότων σφίσι κακουχεῖσθαι ἔχοντες, προσεχώρησάν τε αὐτῷ, [3] καὶ μετὰ τοῦτο τὸν ἄρχοντα τῶν ἐκεῖ Ῥωμαίων Μάρκον Φάβιον ἐνέκησαν.

თავი 9

[1] სანამ ეს ხდებოდა, მითრიდატე მეორე არმენიაში¹⁸ და სხვა ოლქებში შეიჭრა, მრავალ რომაელს, რომლებიც მთელ ამ მხარეში დაეხეტებოდნენ და მას არ ელოდნენ, თავს დაესხა და ამოხოცა ისინი. [2] სხვებს იგი ბრძოლაში კლავდა და ამრიგად ოლქთა უმეტესობა სწრაფად შემოიერთა. აქაური მცხოვრებნი კეთილად იყვნენ მის მიმართ განწყობილი, რადგან ის მათი თანამემამულე იყო და მამაკაპუელი მეფობის უფლება ჰქონდა, თანაც რომაელებისადმი სიძულვილის გამო, [რომელიც გამოწვეული იყო] მათი უცხოელობით და აგრეთვე, იმით, რომ ვინც [ადგილობრივ მცხოვრებლების] მმართველად იყო დანიშ-

ნული ცუდად ეპყრობოდა, ამიტომ ისინი [მითრიდატეს] მიემხრნენ. [3] ამის შემდეგ მან დაამარცხა აქ მდგომი რომაელების სარდალი მარკუს ფაბიუსი¹⁹.

Κεφαλή 10

[1] ...Καὶ μετὰ τοῦτ' ἔς τὰ Κάβειρα κατακλεισθεῖς ἐπολιορκήθη μὲν, ἐσώθη δὲ ὑπὸ τοῦ Τριαρίου...

თავი 10

[1] ...შემდგომად ამისა [ფაბიუსი] კაბეირაში²⁰ მოამწყვდია [მითრიდატემ], მაგრამ იგი ტრიარიუსმა²¹ განათავისუფლა...

[შემდეგ აღწერილია ტრიარიუსისა და მითრიდატეს ბრძოლა. კაპადოკიის ერთერთ ოლქში – კომანაში, ტრიარიუსის წარმატება და ზამთრის გამო ბრძოლის შეწყვეტა]

თავი 12

[1]...შემდეგ წელს, მანიუს აცილიუსისა და გაიუს

ἐπὶ Γαίου Πίσωνος δπάτων, ὁ μὲν Μιθριδάτης τῷ Τριαρίῳ πρὸς Γαζιούροις ἀντεκάθητο, προκαλούμενός τε ἅμα αὐτὸν ἐς μάχην καὶ ἐξοργίζων [2] (τά τε γὰρ ἄλλα καὶ ἐν τῇ ἐπόφει τῇ τῶν Ῥωμαίων αὐτός τε ἦσκει καὶ τοῦ στρατοῦ γυμνασίας ἐποιεῖτο), ὅπως πρὶν τὸν Λούκουλλον ἐπελθεῖν ἐκείνόν τε συμβαλὼν, ὥσπερ ἤλπισε, κρατήσῃ καὶ τὰ λοιπὰ τῆς ἀρχῆς ἀνασώσῃται. ἐπεὶ δ' οὐκ ἐκινεῖτο, πέμπει τινας πρὸς Δάδασα φρούριον, ἐν ᾧ τὰ σχεῦη τοῖς Ῥωμαίοις ἀπέχειτο, ἐν ἑκείνοις γε ἐπαμύνοντα αὐτὸν ἐς χεῖρας ὑπαγάγῃται. [3] καὶ ἔσχεν οὕτως. ὁ γὰρ Τριαρίος τέως μὲν τὸ τε πλῆθος τοῦ Μιθριδάτου φοβούμενος καὶ τὸν Λούκουλλον (μετεπέπεμπτο¹ γὰρ αὐτόν) προσδεχόμενος ἡσυχίαν εἶχεν ὡς δὲ τὰ τε Δάδασα πολιορκούμενα ἐπύθεται, καὶ οἱ στρατιῶται δεισαντες περὶ αὐτοῖς ἐταράττοντο, καὶ ἐπηπέλουν, εἴ σφας μηδεὶς ἐξάγοι, καὶ αὐτοκέλευστοι βοηθήσειν σφίσι, καὶ ἄκων ἐξανέστη. [4] καὶ αὐτῷ οἱ βάρβαροι προχωροῦντι ἤδη προσπεσόντες τοὺς μὲν ἐν χερσὶ τῷ τε πλῆθει σφῶν περιέσχον καὶ κατειργάσαντο, τοὺς δὲ καὶ ἐς τὸ πεδίον ἐκφυγόντας ἀγνοίᾳ τοῦ τὸν ποταμὸν ἐς αὐτὸ ἐκτετράφθαι περιελαύοντες ἔκτεινον.

პიზონის კონსულობაში²², მითრიდატე ტრიარიუსის პირდაპირ დაბანაკდა გადიურას²³ მახლობლად, ამავე დროს აღიზიანებდა მათ, [2] (იგი არა მარტო თვითონ ვარჯიშობდა, არამედ ჯარსაც ავარჯიშებდა რომაელთა თვალწინ), რათა ლუკულუსის მოსვლამდე ბრძოლაში გამოეწვია, რადგან იმედოვნებდა, რომ დაამარცხებდა და სამეფოს დანარჩენ ნაწილსაც დაიბრუნებდა. მაგრამ რადგან [ტრიარიუსი] არ იძვროდა, [მითრიდატემ] გაგზავნა [მეომრების] ნაწილი ციხესიმაგრე და დასაში²⁴, სადაც რომაელთა ალაფი იყო. შენახული, რათა მის დასაცავად [წამოსულები] ისინი ბრძოლაში ჩაეხდა, [3] ასეც მოხდა. ტრიარიუსი მანამდე სიმშვიდეს ინახავდა, რადგან მითრიდატეს ჯარის სიმრავლისა ეშინოდა და ლუკულუსს (რომელსაც კაცი გაუგზავნა) ელოდებოდა. მაგრამ როდესაც დადასას გარემოცვის ამბავი მოვიდა და ჯარისკაცები თავისი ქონების დაკარგვის შიშით აღელვებულნი დაემუქრნენ, რომ თუ არავინ არ გაუძღვებოდა, საკუთარი სურვილით წავიდოდნენ თავისი [ქონების] გადასარჩენად, [ტრიარიუსი] იძულებული გახდა ჯარი დაეძრა. [4] როგორც კი გაემართა, ბარბაროსები მაშინვე თავს დაესხნენ და

ვინც ხელთ იგდეს, მრავალს გარს შემოერტყნენ და გათელეს; ხოლო

¹ μετεπέπεμπτο – Cobet, μετεπέμπετο – VI.

ვინც დაბლობს მიაშურა, რადგან არ იცოდა, რომ [ბარბაროსებმა] მდინარე გადმოუშვეს, აგრეთვე შემოერტყნენ და დახოცეს.

[1] Καὶ πασσοῦντι ἄν σφ
διέφυγον, εἰ μὴ τῶν Ῥωμαί-
τις πλασάμενος ὡς καὶ ἐκ τ
τοῦ Μιθριδάτου συμμάχιδος
(ἐν γὰρ τῇ αὐτῶν αὐτοῖς τρῶ-
συστρατευομένους, ὥσπερ εἶπε
οὐκ ὀλίγους εἶχε) προσήλθε
οὐ ὡς καὶ εἶπειν τι βουλόμεν
καὶ ἔτρωσεν αὐτόν. οὕτω γ
ἐκείνος μὲν συλληφθεὶς ἀπεσφ
γη, ταραχθέντων δὲ πρὸς το
τῶν βαρβάρων συχνοὶ τῶν Ῥ
μαίων διέφυγον.

[1] ისინი ყველას გაანადგუ-
რებდნენ, რომ ერთი [რომაელი]
ჯარისკაცი, რომელმაც თავი ისე
მოაჩვენა, თითქოს მითრიდატეს.
მოკავშირეთაგანი იყო (რადგან,
როგორც აღვნიშნე, თავის თა-
ნამებრძოლებში მას რომაელებ-
სავით შეიარაღებული ბევრი
ჰყავდა), არ მიახლოვებოდა [მით-
რიდატეს], თითქოს რაღაცის შე-
სატყობინებლად და არ დაეჭრა.
იგი, ის ცხადია, მაშინვე შეიპყ-
რეს და მოჰკლეს, მაგრამ ამის

გამო ისე შეშინდნენ ბარბაროსები, რომ ბევრმა რომაელმა თავს
უშველა...

[1] Κἂν τοῦτῳ ὁ Λούκουλλος
ἐπελθὼν δόξαν μὲν τισι παρέσχεν
ὡς καὶ ἐκείνου βραδῶς κρατήσων
καὶ πάντα τὰ προειμένα δι' ὀλί-
γου κοιμοῦμενος, οὐ μόντοι καὶ
κατεπραξέ τι. [2] ὁ τε γὰρ Μιθ-
ριδάτης ἐς τὰ μετέωρα τὰ πρὸς
Ταλαύροις ὄντα ἰδρυθεὶς οὐκ
ἀντεπήγει αὐτῷ, καὶ ὁ Μιθριδά-
της ὁ ἕτερος ὁ ἐκ Μηδίας γαμ-
βρὸς τοῦ Τιγράνου ἐσχεδασμένοις
τοῖς Ῥωμαίοις ἐξαίφνης προσπε-
σῶν συχνοὺς ἀπέκτεινεν, ὁ τε
Τιγράνης αὐτὸς προσιῶν ἠγγέλ-
θη, καὶ τὸ στράτευμα ἐστα-
σίασεν.

[1] ამ დროს ლუკულუსიც
მოვიდა; მას ისე ეჭირა თავი,
თითქოს (მითრიდატეს) ადვი-
ლად დაამარცხებდა და ყველა:
ფერი რაც [რომაელებმა] დაკარ-
გეს, სწრაფად უკან დაუბრუნდე-
ბოდათ, მაგრამ ვერაფერს ვერ-
მიაღწია. [2] მითრიდატე ტ ა -
ლ ა ვ რ ა ს²⁵ მახლობლად მალ-
ლობზე იყო განლაგებული და
არ გამოდიოდა მტრის წინააღმ-
დეგ, ხოლო მეორე მითრიდა -
ტ ე კ ი, მიდიელი სიძე ტიგრა-
ნისა²⁶, გაფანტულ რომაელებს,
უეცრივ თავს დაესხა და ერთია-
ნად დახოცა. ამავე დროს [რო-

მაელებს] ამცნეს თვით ტიგრანის მიახლოებაც და ჯარში აღშფო-
თებამ [იფეთქა].

[შემდეგ აღწერილია ჯარისკაცთა უკმაყოფილება. მათი ურჩობა
ლუკულუსის მიმართ და ბოლოს ლეგიონთა მიერ ბრძოლის ასკა-
რების მიტოვება].

[1] ... ὡς δ' οὖν τοῖθ' οἱ στρατιῶται ἐπραξαν, πᾶσαν τε ὀλίγου την ἀρχὴν ὁ Μιθριδάτης ἀνεκτήσατο καὶ τὴν Καππαδοκίαν ἰσχυρῶς ἐλυμήνατο, μήτε Λουκούλλου, προφάσει τοῦ τὸν Ἀκίλιον ἐγγὺς εἶναι, μήτε ἐκείνου προσαμύνοντος αὐτῆ. ἐπειγόμενος γὰρ πρότερον ὡς καὶ τὴν τοῦ Λουκούλλου νίκη ὑφαρπάσων, τότε, ἐπειδὴ τῶν γεγονότων ἦσθετο, οὔτε πρὸς τὰ στρατόπεδα ἦλθε καὶ ἐν τῇ Βιθυνίᾳ ἐχρόνισε...

Κεφαλή ιε'

[1] Πομπήιος δὲ τὸ μὲν πρῶτον ὡς καὶ ἐπὶ τὴν Κρήτην τὸν τε Μέτελλον πλευσούμενος ἤτοιμάζετο, μαθὼν δὲ τὰ θεδογιμένα προσεποιεῖτο μὲν ἄχθῆσθαι ὡς καὶ πρότερον, καὶ τοῖς ἀνιστάσιώταις ὡς καὶ πράγματα αἰείποτε αὐτῷ, τοῦ¹ καὶ πταῖσαι τι, παρέχουσιν ἐπεχάλει, [2] ἀσμεναίτατα δὲ αὐτὰ ἀναδεξάμενος Κρήτην μὲν καὶ² τὰλλα τὰ ἐν τῇ θαλάσῃ, εἴ ποῦ τι ἀδιοίκητον κατελέλειπτο, παρ' οὐδὲν ἔτ'

[1] ...ჯარისკაცთა ამ საქციელის შემდეგ მითრიდატემ სწრაფად დაიბრუნა მთელი თავისი სამეფო და კაპადოკია ძლიერ ააოხრა, რადგან მას არც ლუკულუსი იცავდა და არც აცილიუსი, თუმცა იგი ახლოს იყო. უკანასკნელი თუ ჩქარობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ წაერთმია ლუკულუსისათვის გამარჯვება, ეხლა კი, როცა შეიტყო რაც მოხდა, აღარ მივიდა ლუკულუსთან ბანაკში და ბითონიაში²⁷ შეჩერდა...

თავი 45

[1] თავდაპირველად პომპეუსი²⁸ კრეტაზე მეთელუსთან გამგზავრებისათვის ემზადებოდა²⁹, მაგრამ, როდესაც გაიგო დადგენილების შესახებ, როგორც წინათაც, უკმაყოფილოდ მოაჩვენა თავი³⁰. იგი უჩიოდა თავის მოწინააღმდეგეებს, რომ ისინი მას მუდამ ახალ საქმეებს ჰკიდებენ, რათა მცდარი ნაბიჯი გადაადგმევინონ; [2] სინამდვილეში კი უაღრესად გახარებული იყო; კრეტისა და სხვა

1 τοῦ – RK., τό – L

2 καί – RK., η – L

ἤγαγε, πρὸς δὲ δὴ τὸν τῶν βαρ-
 βάρων πόλειον παρεσκευάζετο.
 Κὰν τούτῳ βουλευθεὶς τῆς τοῦ
 Μιθριδάτου διανοίας πειρασθαι,
 πέμπει τὸν Μητροφάνη φίλους¹
 αὐτῷ λόγους φέροντα. [3] καὶ
 ὅς τότε μὲν ἐν ὀλιγωρίᾳ αὐτὸν
 ἐποίησατο (τοῦ γὰρ Ἀρσάκου
 τοῦ τῶν Πάρθων βασιλέως ἀπο-
 θανόντος ἐν τῷ χρόνῳ τούτῳ
 φραάτην τὸν διάδοχον αὐτοῦ
 προσεδόκησεν οἰκειώσεσθαι), ἐπεὶ
 δ' ὁ Πομπηῖος τὴν φιλίαν τῷ
 φραάτῃ διὰ ταχέων ἐπὶ τοῖς
 αὐτοῖς προσυνέθητο καὶ ἐς τὴν
 Ἀρμενίαν αὐτὸν τὴν τοῦ Τιγρά-
 νου προεμβάλειν ἀνέπεισε, πυθό-
 μενος τοῦτο κατέδρασε, καὶ πρεσ-
 βευσάμενος εὐθύς σύμβασιν ἔπρατ-
 τε. [4] κελεύσαντος δὲ αὐτῷ τοῦ
 Πομπηῖου τὰ τε ὄπλα καταθέσ-
 θαι καὶ τοὺς αὐτομόλους ἐκδοῦ-
 ναι οὐκ ἔσχε καιρὸν βουλευσασ-
 θαι· ἀκούσαντες γὰρ ταῦτα οἱ ἐν
 τῷ στρατοπέδῳ αὐτοῦ ὄντες, καὶ
 φοβηθέντες οἱ τε αὐτόμολοι (πολ-
 λοι δὲ ἦσαν) μὴ ἐκδοθῶσι, καὶ
 οἱ βάρβαροι μὴ ἀνευ ἐκείνων
 πολεμεῖν ἀναγκασθῶσιν, ἐθορύ-
 βησαν.² [5] κὰν ἐξειργάσαντό τι
 τὸν Μιθριδάτην, εἰ μὴ ψευδάμε-
 νος ὅτι οὐκ ἐπὶ σπονδαῖς ἀλλ'
 ἐπὶ κατασκοπῇ τῆς τῶν Ῥωμαίων
 παρασκευῆς τοὺς πρέσβεις ἔπεμ-
 ψε, μόνις αὐτοὺς κατέσχευεν.

საზღვაო [საქმეები], რომლებიც
 მოუწესრიგებელი რჩებოდა, არა-
 ფრად ჩააგდო და ემზადებოდა
 ბარბაროსების წინააღმდეგ ომი-
 სათვის, ამასობაში გადასწყვეტს
 მითრიდატეს ზრახვები გაიგოს
 და გზავნის მასთან მიტროფა-
 ნეს მეგობრული წინადადება-
 ბით.³¹ [3] [მითრიდატე] ამჯერად
 ქედმაღლურად იქცევა (რადგან
 პართიის მეფის არსაკეს სიკვდი-
 ლის გამო, იმედოვნებს მისი მემ-
 კვიდრის ფრ ა ა ტ ე ს³² თავის
 მხარეზე გადმობირებას). მაგრამ,
 რადგანაც პომპეუსმა ფრაატეს-
 თან სასწრაფოდ ორივესთვის
 სასარგებლო პირობებზე მეგობ-
 რობის ხელშეკრულება დასდო
 და უკანასკნელს ტიგრანისეულ
 არმენიაში შეჭრას სთხოვდა,
 [მითრიდატემ] მთელი გამბედაო-
 ბა დაჰკარგა და ელჩების პირით
 დაზავებას სთავაზობდა, [4] პომ-
 პეუსმა მოითხოვა მისგან, რომ
 იარაღი დაეყარა, ხოლო მის მხა-
 რეზე გადასულები გაეცა; მაგრამ
 მითრიდატეს არ დააცალეს ამის
 გადაწყვეტა, როდესაც ამის შე-
 სახებ მისმა ჯარისკაცებმა გაი-
 გეს, ხოლო თავიანთი გაცემის
 შესახებ კი ლტოლვილებმა (რომ-
 ლებიც იქ ბევრნი იყვნენ); რად-
 გან ბარბაროსებს უიმათოდ (ე. ო.
 ლტოლვილ რომაელთა გარეშე –
 ნ. ლ.) ბრძოლისა ემინოდათ,

[5] აღელდნენ და მითრიდატესაც კი რაიმეს შეამთხვევდნენ, მას

¹ φίλους – Rk, φίλους – L.

³ ἐθορύβησαν – v. Herw., ἐθορύβηθησαν – LV.

რომ მოგონილი განცხადებით, თითქოს ელჩები ზავის დასადებად
 კი არა, არამედ რომაელთა მზადების დასაზვერად გაგზავნა, ისინი
 არ დაემშვიდებიან,

[1] Ὁ οὖν Πομπήιος ἐπειδὴ πολεμητέα οἱ ἔγνω εἶναι, τὰ τε ἄλλα παρεσκευάσατο καὶ τοὺς Θούαλერიέους προσκατελέξατο. καὶ αὐτῶν ἐν τῇ Γαλατία ἦδη ὄντι ὁ Ἀούκουλλος ἀπαντήσας διαπεπολημησθῆναι τε πάντα ἔφη καὶ μηδὲν ἔτι στρατείας δεῖσθαι, καὶ διὰ τοῦτο καὶ τοὺς ἀνδρας τοὺς ὑπὸ τῆς βουλῆς πρὸς τὴν διοίκησιν αὐτῶν πεμφθέντας ἦδη παρῆναι. [2] ὥς δ' οὐκ ἐπέσιθη ἐπαναχωρήσαι, πρὸς λοιθορίας ἐτρέπετο, τὰ τε ἄλλα καὶ πολυπράγμονα καὶ φιλοπόλεμον καὶ φιλαρχοῦντα αὐτὸν ἀποκαλῶν. ὁ οὖν Πομπήιος βραχὺ αὐτοῖς φροντίσας ἀπέειπε μηδὲνα ἔτ' αὐτῶν πειθάρχῆσαι, καὶ ἐπὶ τὸν Μιθριδάτην ἠπειχθῆναι, σπουδῆν ἔχων ὅτι τάχιστα εἰ συμμιξαι.

[1] პომპეუსმა დაინახა, რომ ბრძოლის გარეშე ვერაფერს გახდებოდა, ყველაფერი მოამზადა და შემოიერთა ვალერიანელეზი³³. ის უკვე გალატიისაკენ³⁴ მიდიოდა, როდესაც შეხვდა ლუკულუსი და აცნობა თითქოს ომი უკვე დამთავრებული იყოს და ამიტომ სრულიად აღარ არის საჭირო ლაშქრობა, ხოლო დაპყრობილი ქვეყნების სამმართველოდ სენატის მიერ გამოგზავნილი პირები უკვე ჩამოსულნი არიან. [2] მაგრამ, რადგანაც [პომპეუსი] უკან დაბრუნებაზე ვერ დაიყოლია, [ლუკულუსმა] ლანძღვას მიჰყო ხელი და აბრალებდა პომპეუსს ყველაფერში ჩარევას, ომისა და პატივის მოყვარეობას. პომპეუსი კი ცოტას ზრუნავდა მასზე, აკრძალა

მისი ბრძანების შესრულება და სასწრაფოდ გაემართა მითრიდატეს წინააღმდეგ, რათა რაც შეიძლება ჩქარა ბრძოლაზე დაეყოლე-ბინა იგი.

[1] Καὶ ὅς τέως μὲν ἔφευγε (ταῖς γὰρ δυνάμεσιν ἵλαττοῦτο) καὶ τὴν τε ἐν ποσὶν αἰεὶ ἔχειρε, καὶ ἐπλάνα τε αὐτὸν¹ ἅμα καὶ

[1] [მითრიდატე] გაურბოდა (თავის სისუსტის გამო), ანადგურებდა ყოველივეს, აიძულებდა [რომაელებს] აქეთ-იქით ეხეტია-

¹ αὐτὸν – Xyl, ἑαυτὸν – L

ἐπιδείσθαι τῶν ἐπιτηδείων ἐποίει·
ἐπεὶ δὲ ἐκεῖνος ἐς τὴν Ἀρμενίαν
διὰ τε τοῦτο καὶ ὡς ἐρήμην
αὐτὴν αἰρήσων ἐνέβαλεν, οὕτω
δὴ δείσας μὴ προκαταληφθῆ
ἦλθέ τε ἐς αὐτήν, [2] καὶ λόφον
ἀντικαταλαβῶν ὄχυρὸν τῷ μὲν
παντὶ στρατῷ ἤσυχάζεν, ἐλπίζων
τοὺς μὲν Ῥωμαίους ἀπορίᾳ τῶν
τροφῶν ἐκτροχῶσειν (αὐτὸς γὰρ
ἄτε ἐν ἠπηκόῳ χώρᾳ πολλαχό-
θεν αὐτῶν εὐπόρει), τῶν δὲ δὴ
ἰπέων ἀεὶ τινὰς ἐς τὸ πεδῖον
φιλὸν ὃν καταπέμπων τοὺς τε
προστυγχάνοντάς σφισιν ἐκάκου,
καὶ ἔξαυτομολοῦντας ἐπὶ τούτῳ
συχνοὺς ἐδέχετο. [3] ὁ οὖν Πομ-
πήσιος ἐνταῦθα μὲν οὐκ ἐθάραση-
σεν αὐτοῖς συμβαλεῖν, μεταστρα-
τοπεδευσάμενος δὲ ἐτέρωσε, δῖον
ὑλῶδους τοῦ πέριξ χωρίου ὄντος
ἦττον ὑπὸ τε τοῦ ἰπικιοῦ καὶ
ὑπὸ τοῦ τοξικοῦ τοῦ τῶν ἐναν-
τίων λυπηθῆσεσθαι ἔμελλεν, ἐλό-
χισεν ἣ καιρὸς ἦν, [4] καὶ ὀλί-
γοις τισὶν ἐκ τοῦ προφανοῦς τῷ
στρατοπέδῳ τῶν βαρβάρων προσ-
μίξας ἐτάραξέ τε αὐτούς, καὶ
ἠπαγαγὼν ἐς δ' ἐβούλετο¹ πολ-
λοὺς ἀπέχτεινε. Θαρσῆσας τε ἐκ
τούτου καὶ κατὰ τὴν χώραν
ἄλλους ἄλλῃ ἐπὶ τὰ ἐπιτήδεια
ἔπεμψεν.

ლათ და უქმნიდა სურსათის ნაკ-
ლებობას. მას შემდეგ რაც
[პომპეუსი] სურსათის საშოვნე-
ლად არმენიაში³⁵ შეიჭრა,
რომლის დაპყრობას, მისი სრუ-
ლი დაუცველობის გამო, იგი
ადვილად ფიქრობდა, [მითრიდა-
ტეს] შეეშინდა, რომ ის დაასწ-
რებდა და იქითკენ გაემართა.
[2] მან თავის მხრივ დაიკავა
კარგად გამაგრებული გორა და
მშვიდად იყო აქ მთელი თავისი
ჯარით, დაიმედებული, რომ რომ-
მაელებს უსურსათოდ ამოსწყვეტ-
და (რადგან თავის ხელქვეით-
ქვეყანაში მას ადვილად შეეძლო-
თავისთვის სურსათი შეეგროვე-
ბინა). ამავე დროს, იგი გამუდ-
მებით გზავნიდა ცხენოსნებს ქვე-
ვით გაშლილ მინდორზე, წინ
შემხვედრ [რომაელებს] ანადგუ-
რებდა და მიაღწია იმას, რომ
ბევრნი ნებაყოფლობით გადა-
დიოდნენ მის მხარეზე. [3] ამრი-
გად პომპეუსი ვერ ბედავდა აქ
დასხმოდა თავს [მითრიდატეს]
და სხვა ადგილას მოაწყო თავი-
სი ბანაკი, სადაც გარშემო ტყე
ეკრა და მტრის ცხენოსნებისა
და მშვილდოსნებისაგან ნაკლები.
შიში ჰქონდა; [4] [მერე] ჩაუსა-
ფრდა მოხერხებულ ადგილას,
პატარა რაზმით აშკარად თავს

დაესხა ბარბაროსების ლაშქარს და როდესაც შეიტყუა იქითკენ,
საითაც უნდოდა, მრავალი დახოცა. ამის მერე გათამამებული, იგი
გზავნის რაზმებს სხვა და სხვა მხრით სურსათის საშოვნელად.

¹ ἐβούλετο — Baim., ἐβουλεύετο — L

[1] Ὁ οὖν Μιθριδάτης, ἐπειδὴ ταῦτά τε ἀσφαλῶς ἐπορίζετο, καὶ τὴν Ἀναίτιν¹ χώραν τῆς τε Ἀρμενίας οὖσαν καὶ μετὰ τινὶ ἐπωνύμῳ ἀνακειμένην διὰ τινῶν ἐχειρώσατο, [2] καὶ τοῦτου καὶ ἄλλοι συχνοὶ πρὸς αὐτὸν ἀπέκλινον, καὶ αὐτῷ καὶ οἱ τοῦ Μαρξίου στρατιῶται προσεγένοντο, ἐφοβήθη καὶ οὐκέτι κατὰ χώραν ἔμεινεν, ἀλλ' αὐτίκα τε τῆς νυκτὸς ἄρας ἔλαθε, καὶ μετὰ ταῦτα νυκτοπορῶν ἐς τὴν τοῦ Τιγράνου Ἀρμενίαν προῆει. [3] καὶ οἱ ὁ Πομπήσιος ἐπηκολούθει μὲν ἐπιθυμῶν διὰ μάχης ἔλθειν, οὐ μέντοι καὶ πρότερον οὔτε μετ' ἡμέραν (οὐ γὰρ ἐξήεσαν ἐκ τοῦ στρατοπέδου) οὔτε νύκτωρ ἐτόλμησε τοῦτο ποιῆσαι (τὴν γὰρ ἀγνωσίαν τῶν χωρίων ἔδεδει) πρὶν σφας πρὸς τῇ μεθορίᾳ γενέσθαι· τότε γὰρ εἰδὼς αὐτοὺς διαφεύγειν μέλλοντας ἠναγκάσθη νυκτομαχῆσαι. [4] γνοὺς οὖν τοῦτο προαπήρε μεσημβριάζοντας· καὶ ἐντυχῶν τινὶ χωρίῳ κοίλῳ μεταξὺ γηλόφων τινῶν ὄντι, ἐνταῦθα τὸ τε στρατεύμα ἐπὶ τὰ μετέωρα ἀνεβίβασε καὶ τοὺς πολεμίους ὑπέμεινεν. [5] ἐπειδὴ τε ἐκεῖνοι μετὰ τε ἀδείας καὶ ἄνευ προφυλακῆς, ἄτε μήτε² ἔμπροσθε δεινὸν τι πεπονθότες καὶ τότε ἐς τὸ

[1] როდესაც [პომპეუსი] სრულიად ხელშეუხებლად მოულობდა თავისთვის სურსათს, დაიპყრო აგრეთვე არმენიის ოლქი ანაიტა³⁶, რომელიც ამავსახელის ქალღმერთისადმი იყო შეწირული; [2] სხვებიც დიდი რაოდენობით გადადიოდნენ მის მხარეზე და მარციუსის³⁷ ჯარიც მას შეუერთდა, მაშინ მითრიდატე უიმედო პირობებში აღმოჩნდა; მან გადასწყვიტა ამ ადგილს გასცლოდა, აყარა ფარულად იმ დამეს თავისი ბანაკი, იარა მთელი ღამის განმავლობაში და წავიდა არმენიისაკენ, რომელიც ტიგრანს ეკუთვნოდა. [3] პომპეუსი მაშინვე უკან დაედევნა, რადგანაც მას არაფერი ისე ძალიან არ სურდა, როგორც ბრძოლა; მიუხედავად ამისა, მან ვერ გაბედა შებმოდა მტერს ვერც ღლისით (როცა [მტერი] ბანაკიდან არ გამოდიოდა), ვერც ღამით (რადგან მას მდებარეობის უცოდინარობა ამინებდა), სანამ საზღვარს არ მიაღწია. აქ [პომპეუსმა] შეამჩნია, რომ [მითრიდატეს] უნდა გაექცეს და დაინახა, რომ იძულებული შეიქნა დამე იბრძოლოს. [4] ამის გამო, იგი დაიძრა ისე, რომ შუადღისას დასასვენებლად მჯდომმა ბარბაროსებმა ეს ვერ შეამჩნიეს,

¹ Ἀναίτιν—Fabr., მანაίτιν—L.

² μήτε—Bk., μηδὲ—L.

ἀσφαλῆς ἦδη προχωροῦντες ὥστε μηδὲ ἐφέψεσθαι· σφισιν ἔτι τοὺς Ῥωμαίους ἐλπίζειν, ἐς τὸ κοίλον ἐσηλθόν, ἐπέθετο αὐτοῖς ἐν τῷ σκότῳ. οὔτε γὰρ ἄλλο τι φῶς εἶχον οὔτε ἐκ τοῦ οὐρανοῦ τι ἔλαμπεν.

და გაიარა გზაზე, რომლითაც [ბარბაროსებს] უნდა გაევლოთ, აქ მან მიაღწია ბექობებს შორის მდებარე ვიწრობებს უბრძანა თავის ჯარს მაღლობების დაკავება და დაუწყო მტერს ლოდინი, [3] გაბედულად და დაუფარავად

შემოვიდნენ ისინი (ზარზაროსები – ნ. ლ.) ვიწრობებში, რადგან მათ არავითარი უბედურება არ შეხვდათ და ეხლა, მიზანთან ასე ახლოს მყოფთ, უკვე აღარ ეშინოდათ რომაელთა შემდგომი დევნისა; და აქ დაესხა მათ [პომპეუსი] სიბნელეში; არსაიდან არ ჩანდა სინათლე, ციდანაც კი არაფერი ანათებდა.

[შემდეგ – მე-49 თავში აღწერილია ღამის ბრძოლა, რომელშიაც რომაელებმა სრულ გამარჯვებას მიაღწიეს, მითრიდატემ მცირე რაზმის თანხლებით გაქცევით უშველა თავს]

Κεφαλή γ'

თავი 50

[1] Καὶ τότε μὲν πρὸς τὸν Τυγράνην ἠπειγέτο· ἐπεὶ δὲ πρό-
πέμψας πρὸς αὐτὸν οὐδὲν φίλιον
εὔρετο, ὅτι τοῦ σίεος αὐτῷ Τυ-
γράνου στασιάσαντος ἐκείνον μὲν
πάππον αὐτὸν ὄντα αἴτιον τῆς
διαφορᾶς ὑπετόπησε γεγονέναι,
καὶ διὰ τοῦτο οὐχ ὅπως αὐτὸν
ἐδῆξατο, ἀλλὰ καὶ τοὺς προ-
πεμφθέντας ὑπ' αὐτοῦ συνέλαβε
καὶ κατέδησε, διαμαρτῶν ἄν¹
ἤλπισεν ἕξ τε τὴν Κολχίδα ἀπε-
τράπετο, [2] καὶ ἐκείθεν περὶ
πρὸς τε τὴν Μαιῶτιν καὶ πρὸς
τὸν Βόσπορον, τοὺς μὲν περὶ τῶν,
τοὺς δὲ καὶ βιάζομενος, ἀφίκετο,
καὶ τὴν τε χώραν ἐχομίσσατο,
τὸν Μαχάρην τὸν παῖδα τὸν τᾶ
των Ῥωμαίων ἀνθελεόμενον καὶ

[1] მაშინ [მითრიდატე] სწრაფად გაემართა ტიგრანისაკენ, მაგრამ მისი წარგზავნილი მოწინავენი არ იყვნენ თანაგრძნობით მიღებული, რადგან [ტიგრანს] ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ვაჟის – ტიგრანის მიერ დაწყებული აჯანყების დროს³⁸, [მითრიდატეს], რომელიც უკანასკნელის პაპა იყო, აგულიანებდა მას; ამიტომ მან. არამცთუ არ მიიღო მითრიდატე, არამედ ბრძანა შეეპყროთ და ბორკილებში ჩაესვათ მისი მოწინავენი³⁹. [2] თავის იმედებში-მოტყუებული მითრიდატე გაემართა კოლხეთისაკენ⁴⁰, ხოლო აქედან ხმელეთის გზით მივიდა მეოტისთან და ბოსფორში⁴¹ მოქმედებდა რა.

¹ ὄν — Reim., ὄν ὄν — E.

τότε αὐτῆς κρατοῦντα καταπλή-
 ξας ὥστε μηδὲ ἐς ὄψιν αὐτῆ
 ἐλθεῖν, καὶ ἐκείνον διὰ τῶν συ-
 νόντων οἱ, τὴν τε ἄδειάν σφισι
 καὶ χρήματα δώσειν ὑπισχνούμε-
 νος, ἀπέκτεινεν. [3] ἐν ᾧ δὲ
 ταῦτ' ἐγίνετο, ὁ Πομπήιος ἔπ-
 εμψε μὲν τοὺς ἐπιδιώξοντας¹
 αὐτόν, ἐπεὶ δὲ ἔφθη ὑπὲρ τὸν
 Φάσιν ἐκδράς, πόλιν ἐν τῷ χωρίῳ
 ἐν ᾧ ἐνεγκιῆκει συνήκισε, τοῖς
 τραυματίαις καὶ τοῖς ἀφηλικεσ-
 τέροις τῶν στρατιωτῶν αὐτὴν
 ἴσους, καὶ σφισι καὶ τῶν περιχώ-
 ρων ἐθελονταὶ πολλοὶ² συνήκη-
 σαν³, καὶ εἰσι καὶ νῦν, Νικοπο-
 λιταὶ τε ὀνομασμένοι καὶ ἐς
 τὸν Καππαδοκικὸν νομὸν συντε-
 λούντες.

დნენ მრავალნი ამ ადგილებში მცხოვრებნი და დღემდე იქ
 ცხოვრობენ იწოდებიან რ ა ნ ი კ ო პ ო ლ ი ტ ე ბ ა დ და ეკუთვნიან
 კაპადოკიის ოლქს.

Κ ε φ α λ ῆ ν α

[1] Καὶ ὁ μὲν ταῦτ' ἐπολεῖ
 ὁ δὲ δὴ Τιγράνης ὁ τοῦ Τιγρά-
 νου παῖς παραλαβὼν τινὰς τῶν
 πρώτων, ἐπεὶ οὐ καθ' ἡδονὴν
 αὐτοῖς ὁ γέρων ἦρχε, πρὸς τε
 τὸν Φραάτην κατέφυγε, καὶ πε-
 ρισκοποῦντα αὐτόν διὰ τὰς συν-
 ᾠήκας τὰς πρὸς τὸν Πομπήιον
 γενομένας ὁ τι χρῆ πρᾶξαι, ἐς
 τὴν Ἀρμενίαν ἐμβαλεῖν ἀνέπεισε.

თავი 51

[1] ასე მოქმედებდა პომპეუსი.
 ამასობაში ტიგრანის ვაჟი
 ტიგრანი, ზოგიერთ წარჩინებულ-
 თან ერთად, რომლებიც უკმაყო-
 ფილონი იყვნენ მოხუცის მმართველობით,
 გაიქცა ფრაატესთან და დაარწმუნა იგი
 შეჭრილიყო არმენიაში რადგან [ფრაატე]
 სწორედ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ
 მოქცეულიყო პომპეუს-

¹ ἐπιδιώξοντας – H. Steph., ἐπιδιώξαντας – L;

² πολλοὶ – Rk., πολλοὶ καὶ – L.

³ συνήκισαν – R. Steph., συνώκισαν – L.

[2] και ἤλθον μὲν μέχρι τῶν Ἄρταξάτων, πᾶσαν τὴν ἐν ποσὶ χειρούμενοι, καὶ αὐτοῖς ἐκείνοις προσέβαλον· ὁ γὰρ Τιγράνης ὁ γέρων ἐς τὰ ὄρη φοβηθεὶς σφας ἀνέφυγεν· ἐπεὶ μέντοι χρόνου τε τῆ προσεδρεία ὀεῖν ἔδοξε, καὶ διὰ τοῦτο ὁ Φραάτης μέρος τι τῆς δυνάμεως τῷ παιδὶ αὐτοῦ καταλιπὼν ἐς τὴν οἰκίαν ἀνεχώρησεν, ἀντεπῆλθέ τε ἐνταῦθα ὁ πατήρ αὐτῷ μονωθέντι, καὶ ἐνίκησε. [3] φυγῶν οὖν ἐκείνος τὸ μὲν πρῶτον πρὸς τὸν Μιθριδάτην τὸν πάμπον ὤρμησεν, ἐπεὶ δὲ ἔμαθεν αὐτὸν ἠττημένον καὶ βοθηθείας μᾶλλον δεόμενον ἢ τινὶ ἐπικουρῆσαι δυνάμενον, προσεχώρησε τοῖς Ῥωμαίοις, καὶ αὐτῷ ὁ Πομπήιος ἡγεμόνι χρησάμενος ἐς τε τὴν Ἀρμενίαν καὶ ἐπὶ τὸν πατέρα αὐτοῦ ἐστράτευσε.

დაეხმაროს, დაემორჩილა რომაელებს. პომპეუსმა მეგზურად გაიხადა იგი და გაემართა არმენიისაკენ მისი მამის წინააღმდეგ⁴⁶.

Κεφάλαιον β'

[1] Καὶ ὅς μαθὼν τοῦτο καὶ καταδείσας ἐπεκηρυχέυσατό τε εὐθὺς αὐτῷ καὶ τοὺς πρέσβεις τοὺς τοῦ Μιθριδάτου ἐξέδωκεν· ἐπειδὴ τε, ἐναντιωθέντος οἱ τοῦ σείος, σὺδενὸς μετρίου ἔτυχεν, ἀλλὰ καὶ ὧς ὁ Πομπήιος τὸν τε Ἀράξην διέβη καὶ τοῖς Ἄρταξάτοις ἐπλησίασεν. [2] οὕτω δὲ τὴν τε πόλιν αὐτῷ παρέδωκε καὶ ἐς τὸ στρατόπεδον αὐτοῦ ἐθέλον- τῆς ἦκεν, ἐν μέσῳ ἑαυτὸν ὄτι

 და, რადგან მოვიდა მრავალრი-
 ცხოვანი [ჯარით], რომელსაც
 არ ჰქონდა მომარაგებული საკ-
 მათ ხორაგი); მაგრამ პეტუსს
 მისი მოისრეებისა ეშინოდა, რად-
 გან ისინი თავს ესხმოდნენ მის.
 ბანაკს ისევე, როგორც მისი
 ცხენოსნებისა, რომლებიც ყოვე-
 ლი მხრიდან [მოულოდნელად]
 ჩნდებოდნენ. ამიტომ მან (ე. ი.
 პეტუსმა. – ნ. ლ.) შესთავაზა ზავი-
 ყოველგვარ პირობებზე და შეჰ-
 ფიცა, რომ დასტოვებდა არმე-
 ნიას, ხოლო ნერონი მას (ე. ი.
 არმენიას, ნ. ლ.) ტირიდატეს
 მისცემდა. [3] ამით პართელი
 კმაყოფილი დარჩა, რადგან იმ
 ქვეყანასაც ადვილად იკავებდა
 და რომაელებსაც ავალდებულებ-
 და თავისი დიდი სიკეთით. ამავე
 დროს [ვოლოგეზემ] გაიგო კორ-
 ბულონის მოახლოვება, რომელ-
 საც უხმობდა. დასახმარებლად
 პეტუსი, სანამ ალყას შემოარტ-
 ყამდნენ, მოხსნა ალყა, [4] მაგ-

რამ წინასწარ დაითანხმა ისინი (ე. ი. რომაელები, – ნ. ლ.) მდი-
 ნარე არსანიაზე ხიდი აეგოთ. ეს ხიდი სრულიად არ სჭირდებოდა
 (რადგან გზა ფეხით გაიარა), მაგრამ ამით უნდოდა ეჩვენებინა,
 რომ იგი მათზე ძლიერი არის. ყოველ შემთხვევაში, მას ხიდით არ
 დაუხევიან უკან; მან მთელი გზა სპილოთი გაიარა, ასევე დანარჩე-
 ნებმაც.

[1] Ἄρτι τε ἡ ὁμολογία ἐγένε-
 ῖται, καὶ ὁ Κορβούλων ἀμνηστία
 τάχει πρὸς τὸν Εὐφράτην ἐλθὼν
 ἐνταῦθα ὑπέμεινεν, ὅτε δ' οὖν
 συνεγένοντο¹ ἀλλήλοις, πλείστον
 ἂν τις τὸ διάφορον τῶν στρατο-
 πέδων καὶ τῶν στρατηγῶν, τῶν
 μὲν χαιρόντων τε καὶ λαμπруο-
 μένων ἐπὶ τῇ σπουδῇ, τῶν δὲ
 λυπουμένων τε καὶ αἰσχυνομένων
 ἐπὶ τῇ συνθήκῃ, κατενόησεν.
 [2] ὁ δὲ Οὐολόγαισος Μοναίστην
 πρὸς Κορβούλωνα πέμψας ἠξίω-
 σεν αὐτὸν τὸ ξρυμα τὸ ἐν τῇ
 Μεσοποταμίᾳ ἐκλείπειν· καὶ δι-
 ἐλέχθησαν ἐκεῖνοι πολλὰ ἀλλήλοις
 ἐν αὐτῇ τῇ τοῦ Εὐφράτου γεφύ-
 ρᾳ, τὸ μέσον αὐτῆς λύσαντες.
 [3] ὑποσχομένου δὲ τοῦ Κορβού-
 λωνος ἀπαλλαγῆσεσθαι ἐκ τῆς
 χώρας, ἂν καὶ ὁ Πάρθος τὴν
 Ἀρμενίαν ἐκλείπει, ἐκάτερον ἐγένε-
 νετο, μέχρι οὗ ὁ Νέρων τὰ πραχ-
 θέντα πυθόμενος, καὶ τοῖς πρέσ-
 βεσι τοῦ Οὐολόγαισου, οὓς αὐτῆς
 ἔπεμψε, χρηματίσας, τοῦτοις² μὲν
 ἀπεκρίνατο τὴν Ἀρμενίαν δώ-
 σαι³ τῷ Τιριδάτῃ, ἂν ἐς τὴν
 Ῥώμην ἀνέλθῃ, [4] τὸν δὲ δὴ
 Παίτων τῆς ἀρχῆς παύσας, τοὺς
 τε στρατιώτας τοὺς σὺν αὐτῷ
 γενομένους ἄλλοσέ ποι πέμψας,
 τὸν Κορβούλωνα αὐτῆς τῷ κατ'

[1] ამგვარად იქნა მიღებული
 შეთანხმება როდესაც კორბუ-
 ლონი უდიდესი სისწრაფით მი-
 ვიდა ევფრატის ნაპირას, სადაც
 იგი დაელოდა უკან დახეულ ძა-
 ლებს. როდესაც ეს ორი [ჯარი]
 ერთმანეთს შეხვდა, ამკარა გახ-
 და განსხვავება ჯარისკაცებსა და
 სარდლებს შორისაც, რასაც ყვე-
 ლა ამჩნევდა – პირველნი მხი-
 რულობდნენ და ზეიმობდნენ თა-
 ვისი სისწრაფის გამო, ხოლო
 მეორენი კი წუხდნენ და შერცხ-
 ვენილნი იყვნენ დადებული ხელ-
 შეკრულების გამო. [2] ვოლო-
 გეზემ მონესე გაუგზავნა კორბუ-
 ლონს მოთხოვნით დაეტოვებინა.
 მესოპოტამიაში [მდებარე] სიმაგ-
 რე. მათ ჰქონდათ ხანგრძლივი
 მოლაპარაკება სწორედ ევფრა-
 ტის ხიდზე, მას მერე რაც მისი-
 შუა ნაწილი დაშალეს, [3] კორ-
 ბულონი დათანხმდა წასულიყო
 ამ ქვეყნიდან, თუ პართელები
 დასტოვებდნენ არმენიას. ორივე
 [პირობა] შესრულდა, სანამ ნე-
 რონი შეიტყობდა მომხდარი [ამ-
 ბების] შესახებ და ვოლოგეზე
 სხვა ელჩებს გაუგზავნიდა მოსა-
 ლაპარაკებლად. მისი (ნერონის, –
 ნ. ლ.) პასუხი ასეთი იყო: არმე-
 ნიას მისცემდა ტირიდატეს, თუ
 ის რომში ეახლებოდა. [4] პე-

¹ *συνεγένοντο* – Reim., *συνέλγυντο* – V, *συνέγοντο* – B, *συνέγνωτο* – M.

² *τούτοις* – Urs., *τούτους* – MSS

³ *δώσειν* – შვესებულოს – Urs.

αὐτῶν¹ πολέμῳ προσέταξεν. ἐβου-
 λεύσατο μὲν γὰρ αὐτὸς συστρα-
 τεῦσαι², ἐπεὶ δὲ θύων ἔπεσεν,
 οὐκ ἐτόλμησεν ἐφορμησαι, ἀλλὰ
 κατὰ τὴν χώραν ἔμεινεν.

ტუს ჩამოერთვა მისი ხელისუფ-
 ლება და ჯარები, რომელიც მას
 ჰყავდა სხვაგან გაიგზავნა, ხოლო
 კორბულონი იმავე მტრის წინა-
 აღმდეგ წარგზავნეს, [ნერონს]

მსხვერპლის შეწირვის დროს წაიქცა, ისე რომ ვეღარ გაბედა გამ-
გზავრება და შინ დარჩა.

Κεφαλή κγ'

თავი 23

[1] Ὅτι ὁ Κορβούλων ἐν μὲν
τῇ φανερωῖ τὸν πρὸς Οὐολόγαι-
σον πόλεμον παρεσκευάζετο, καὶ
πέμψας ἑκατοντάρχην ἐκέλευσεν
αὐτὸν ἀπαλλαγῆναι τῆς χώρας,
ἰδίᾳ δὲ συνεβούλευεν οἱ τὸν ἀδελ-
φὸν ἐς τὴν Ῥώμην πέμψαι, καὶ
ἐπεισεν, ἐπειδὴ κρείττων αὐτοῦ
τῇ δυνάμει ἐδόκει εἶναι. [2] συ-
νήλθον οὖν ἐν αὐτῇ τῇ Ῥανδείᾳ
ὁ τε Κορβούλων καὶ ὁ Τριδιά-
της· τοῦτο γὰρ τὸ χωρίον ἀμφο-
τέροις ἦρесе, τῷ μὲν ὅτι ἀπολα-
βόντες ἐς αὐτὸ τοὺς Ῥωμαίους
ὑποσπόνδους ἀφῆκαν, πρὸς ἔνδει-
ξιν ὧν εὐηργέτηντο, τῷ δὲ ὅτι
τὴν δύσκειαν τὴν ἐν αὐτῷ πρό-
τερον συμβᾶσαν σφισιν ἀποτρέψ-
εσθαι ἔμελλον. [3] οὐδὲ γὰρ
ἀπλῶς λόγους τινὰς ἐποιήσαντο,
ἀλλὰ καὶ βῆμα βῆμα ἰγέρθη
καὶ ἐπ' αὐτοῦ εἰκόνας τοῦ Νέρω-
νος ἐστάθησαν, ὁ τε Τριδιάτης
πολλῶν μὲν Ἀρμενίων πολλῶν
δὲ Πάρθων καὶ Ῥωμαίων παρόν-

[1] კორბულონი ამგვარად,
აშკარად ემზადებოდა ვოლოგე-
ზეს წინააღმდეგ ომისათვის და
გაუგზავნა მას ცენტურიონი მო-
თხოვნით დაეტოვებინა ეს ქვე-
ყანა, მაგრამ საიდუმლოდ ურჩევ-
და [მეფეს] გაეგზავნა რომში თა-
ვისი ძმა. ამას ურჩევდა დროის
მოგებისათვის, რომ ძალები შე-
მომატებოდა. [2] კორბულონი და
ტირიდატე შეხვდნენ ერთმანეთს,
რანდეასთან. ეს ისეთი ადგილი
აყო, რომელიც ორივეს აკმაყო-
ფილებდა; მეფეს იმიტომ, რომ
მისმა ჯარებმა აქ დაამარცხეს
რომაელები და მათ დამორჩილე-
ბას მიაღწიეს, ეს-კი მათ თვალ-
საჩინო უპირატესობას აძლევ-
და, – კორბულონი კი აქ ელოდა
[დამხმარე] ძალებს, რომ შერ-
ცხვენის ლაქა ჩამოერეცხა [რო-
მაელებისთვის]. თათბირი მარტო
ლაპარაკით არ დამთავრებულა;
[3] აგებულ იქნა მომაღლო ბაქა-
ნი, რომელზედაც დადგეს ნერო-

1 αὐτῶν – Urs., αὐτῆν – MSS.


2 συστρατεῦσαι – Urs., ἐν στρατεῦσαι – MSS.

80

των προσήλθε τε αὐταῖς καὶ
προσεκύνησεν, θύσας τε καὶ ἐπυ-
φημήσας τὸ διάδημα ἀπὸ τε
τῆς κεφαλῆς ἀφείλε καὶ παρέθη-
κην αὐταῖς. [4] καὶ ὁ Μονόβαζος
καὶ ὁ Οὐολόγαισος πρὸς τὸν Κορ-
βούλωνα ἤλθον καὶ ὁμήρους αὐτῶ
ἔδωκαν. καὶ ἐπὶ τούτοις ὁ Νέρων
αὐτοκράτωρ τε πολλάκις ἐπεκλή-
θη, καὶ τὰ ἐπινίκια ἔπεμψε παρὰ
τὸ γενομισμένον...

ნის ქანდაკება და მრავალი არმე-
ნიელის, პართელისა და რომაე-
ლის თანდასწრებით, ტირიდატე
მიუახლოვდა და თაყვანი სცა
მას, მსხვერპლშეწირვისა და სა-
ხოტბო სახელებით მისი (ნერო-
ნის, – ნ. ლ.) მოხსენიების შემ-
დეგ, [ტირიდატემ] მოიხადა თა-
ვიდან დიადემა. და [ბაქანზე]
დასდო, [4] მონობაზე და ვო-
ლოგეზე მივიდნენ კორბულონ-


თან და მძევლები მიუყვანეს, ამის გამო ნერონს ესალმებოდნენ
როგორც იმპერატორს და მან ჩვეულებისამებრ საგამარჯვებო ზეი-



წიგნი LXIII
თავი 8

[1] მაგრამ ნერონი არ წავიდა [ვოლოგეზეს] წინააღმდეგ, თუმცა მტრობა ჰქონდა მასთან, არც ეთიოპიისაკენ და არც კასპიის კარისაკენ, როგორც ეს განზრახული ჰქონდა; მაგრამ გაგზავნა მზვერავები ორივე ადგილას, რადგან ხედავდა, რომ ამისათვის (ე. ი. სალაშქროდ – ნ. ლ.) საჭიროა დროც და ძალაც,

და იმედი ჰქონდა, რომ ყველას თავისთავად დაიმორჩილებდა¹...




წიგნი LXVIII
თავი 19

[1] ...მისწერა [პართომასირისმა]¹ პირველად ტრაიანეს როგორც მეფემ, ხოლო

¹ ἐνενοεῖ – VC, ἐνόει – cod. Peir.

6. დიონ კასიოსი



რადგანაც [მან] არაფერი უპასუხა, მისწერა ხელმოკრედ ამ სახელწოდების (ე. ი. მეფის ტიტულის – ნ. ლ.) გარეშე და სთხოვა კაპადოკიის მმართველს. მარკუს იუნიუსს გამოგზავნილი ყოფილიყვნენ მასთან ისინი, რაიმეში ბრალდადებულნი (?). [2] და მართლაც ტრაიანემ გაუგზავნა მას იუნიუსის ვაჟი, თვითონ კი მივიდა არსამოსატამდე² და [მისი] უბრძოლველად აღების შემდეგ, მივიდა სატალა-

ში³ და ანქიალე-ჰენიოხებისა და მახელონების მეფე⁴ საჩუქრებით დააჯილდოვა⁵...

[1] Ὁ μὲν οὖν τῶν Ἰουδαίων πόλεμος ἐς τοῦτο ἐτελεύτησεν, ἕτερος δὲ ἐξ Ἀλαγῶν (εἰσι δὲ Μασσαγέται) ἐκινήθη ὑπὸ Φαρασιμάνου, καὶ τὴν μὲν Ἀλβανίδα καὶ τὴν Μηδίαν ἰσχυρῶς ἐλύπησε, τῆς δ' Ἀρμενίας τῆς τε Καππαδοκίας ἀφάμενος, ἔπειτα τῶν Ἀλαγῶν τὰ μὲν θῶροις ὑπὸ τοῦ Οὐολογαίου πεισθέντων, τὰ δὲ καὶ Φλάουιον Ἀρριανὸν τὸν τῆς Καππαδοκίας ἄρχοντα φοβηθέντων, ἐπαύσατο⁵ [2] ὅτι πρεσβευτὰς πεμφθέντας παρὰ τοῦ Οὐολο-

[1] ამასობაში იუდეველთა ომი¹ დამთავრდა, ხოლო მეორე [ომი] ალანების [ქვეყნიდან]², (რომლებიც მასაგეტები არიან) ატეხილ იქნა ფარასმანეს³ მიერ. [ომმა] ძალზე შეაწუხა ალბანია და მიდია, შეეხო აგრეთვე არმენიასა და კაპადოკიას, ხოლო მას შემდეგ, რაც ალანები ერთი მხრით ვოლოგეზეს⁴ საჩუქრებით იქნენ მოსყიდულნი და მეორე მხრით კი კაპადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს⁵ მიერ შეშინებულნი, ომი

¹ ἐπέστειλέ – H. Steph., ἀπέστειλέ – ABM.

² μέχρις Ἀρσαμοσάτων – V. Gutsh., μέχρι σαμωσάτου – ARM.

³ προχωρήσας – Leuncl., προσχωρήσας – ABM.

⁴ Σάταλα – VC, σάτα – AMB.

⁵ ἐπαύσατο – Zon., ἐπαύσαντο – VCU^R.

82

γαίου¹ καὶ παρὰ τῶν Ἰαζύγων, ἐκείνου μὲν κατηγοροῦντός. τινα Φαρασιμάνου, τούτων δὲ τὴν εἰρήνην πιστουμένων, ἐς τὸ βουλευτήριον ἐστήγαγε, καὶ παρ' αὐτοῦ τὰς ἀποκρίσεις ποιήσασθαι ἐπιτραπείς συνέγραψέ τε αὐτὰς καὶ ἀνέγνω σφίσι.

შეწყდა. [2] როდესაც ვოლოგეზემ და იაზიგებმა ელჩები გამოგზავნეს, პირველი რაღაცაში ადანაშაულებდა ფარასმანეს, ხოლო მეორენი ზავს მოითხოვდნენ; მან (ადრიანემ, – ნ. ლ.) ელჩები სენატში შეიყვანა და მისთვის (ე. ი. ფარასმანესთვის, – ნ. ლ.) პასუ-

ხის მოთხოვნა ბრძანა. ჩააწერინა ჩვენება და ელჩებს წაუკითხა⁶.

[3] ... Ὅτι Φαρασιμάνη τῆ Ἰβηρι ἐς τὴν Ῥώμην μετὰ τῆς γυναικὸς ἐλθόντι τὴν τε ἀρχὴν ἐπηύξησε καὶ θῦσαι ἐν τῷ Καπιτωλίῳ ἐφῆκεν, ἀνδριάντα τε ἐπὶ Ἰππου ἐν τῷ Ἐνυεῖῳ ἔστησε, καὶ γυμνασίαν αὐτοῦ τε καὶ τοῦ υἱέος τῶν τε ἄλλων πρώτων Ἰβήρων ἐν θπλοῖς εἶδεν.

[3] ... როცა ფარასმანე იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, [ანტონინე პიუსმა] გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე¹ დაადგმევინა და უყურებდა [ფარასმანეს], მისი ვაჟის

და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას².

[2] ...καὶ Τιρδάτην σατρά-
πην τὰ τε ἐν τῇ Ἀρμενίᾳ ταρα-
ξάντα καὶ τὸν τῶν Ἡνιόχων βα-
σιλέα ἀποσφάζαντα, τῷ τε Οὐήρῳ
ἐπιτιμῶντι οἱ περὶ τούτων τὸ
ξίφος ἐπανατεινόμενον¹, μὴ κτεί-
νας ἀλλ' ἐς Βρεττανίαν πέμψας.

[2] ...სატრაპი ტირიდა-
ტე, რომელმაც აჯანყება მოახ-
დინა არმენიაში და მოკლა ჰე-
ნიოხების მეფე და რომელ-
მაც ხმალი აღმართა ვერუსის¹
წინააღმდეგ, როდესაც უკანასკ-
ნელი ამ საქმეების გამო საყვე-

დურობდა, [მარკუსმა]² სიკვდილით კი არ დასაჯა, არამედ მხო-
ლოდ ბრიტანეთში გადასახლა³.

¹ *Ὀθολογαίσου* – Reim., *βολογαίσου* – MSS.

² *ἐπανατεινόμενον* – Bk., *ἐπανατεινόμενον* – cod: Prir.

კომენტარები

წიგნი XXXVI

1. ე. ი. ძვ. წ. 69 წელს.

2. ლუციუს ლიცინიუს ლუკულესი – ძვ. წ. 74 წლის კონსული მარკუს ავრელიუს კოტასთან ერთად, მონაწილეობდა ჯერ კიდევ პირველ ომში მითრიდატესთან (89–84 წწ.), როგორც სულას მხედართმთავარი, ძვ. წ. 74 წ. მას და ავრელიუს კოტას რომის სენატმა დაავალა მითრიდატესთან მესამე ომის წარმოება. ომის დასაწყისი რომაელებისათვის არახელსაყრელად წარიმართა; კოტამ მარცხი განიცადა, მაგრამ ლუკულუსმა მალე შეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

3. მითრიდატე VI ევპატორი (120–63 წწ.) – შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ე. წ. პონტოს სამეფოს ხელისუფალი, მას თავისი მამისაგან – მითრიდატე V ევერგეტისაგან შედარებით მცირე სამეფო დარჩა მემკვიდრეობით, მაგრამ მოკლე ხანში მან დიდად გააფართოვა თავისი სამფლობელო: შემოერთებულ იქნა „კოლხების მეომარი ხალხი“ (Appian. Mithr., 15), მცირე არმენია (Strabo, XXI, 3,28; Euntrop., V, 5; Appian, Mithr., 17) და შემდეგ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ყირიმში მდებარე ბოსფორის სამეფო¹, მითრიდატე VI-ის აგრესიული ზრახვები მცირე აზიაში რომის ინტერესებს შეეჯახა, რისი შედეგიც იყო. სამი ომი პონტოსა და რომს შორის, პირველი ომი (83–84 წწ.) რომაელთა გამარჯვებით დამთავრდა, მეორე ომს (83–82 წწ.) მცირე მნიშვნელობა ჰქონდა და მალე კონფლიქტი ამოწურულ იქნა, ხოლო მესამე ომი 74 წ. დაიწყო და მისი მსვლელობა არის

¹ С. А. Жебелев, Последний Перисад и скифское восстание на Боспоре, „Северное Причерноморье“, М.—Л., 1953, გვ. 82–115.

84

სწორედ აღწერილი დიონ კასიოსის ნაშრომის XXXVI და XXXVII წიგნებში¹.

4. ტიგრან არმენიელი – დიდი არმენიის მეფე ტიგრან მეორე (95–55 წწ.). მის დროს დიდი არმენია მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას, რომელშიაც გარდა საკუთრივ სომხური ოლქებისა შედიოდა აგრეთვე რიგი სხვა ქვეყნებისა. ტიგრან II მიერ დამორჩილებულ იქნა მესოპოტამიის დიდი ნაწილი, სირია, ფინიკია და კილიკიის დაბლობი ნაწილი, ისე რომ არმენიის სახელმწიფო ამ დროს გადაჭიმული იყო კასპიის ზღვის სანაპიროებიდან მდ. იორდანამდე და ხმელთაშუა ზღვამდე², ძვ. წ. 95 წ. ტიგრან II და მითრიდატე ევპატორმა ხელშეკრულება დადეს და წინა აზიაში გავლენის სფეროები გაინაწილეს. ეს კავშირი, რომელსაც მეცნიერთა ნაწილი მხოლოდ პონტოს მიერ კაპადოკიის (მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, მდ. ჰალისის აუზში მდებარე სამეფო, რომელშიაც საკმაოდ ძლიერი იყო რომის გავლენა) დაპყრობის სურვილითა და არმენია-პართიის ომში უკანასკნელისათვის ზურ-

გის გამაგრების აუცილებლობით ხსნის, სინამდვილეში უდავოდ, პირველ რიგში რომის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული⁴.

5. ტიგრანაკერტა – არმენიის ქალაქი, დაარსებული ტიგრან II მიერ ძვ. წ. 77 წ. მდ ტიგროსის ზემო დინების ჩრდილოეთით, მისი მარცხენას შენაკადის ფარკინ-სუს ნაპირას, თანამედროვე ქალაქ ფარკინის ადგილზე⁵. მითრიდატე VI დამარცხების და პონტოს ფარგლებიდან მისი განდევნის შემდეგ, ძვ. წ. 69 წ. ლუციუს ლუკულუსი შეიჭრა არმენიაში, სადაც მითრიდატემ თავი შეაფარა, დაამარცხა არმენიის ჯარი და მიადგა ქ. ტიგრანაკერტას⁶.

¹ მითრიდატე VI-ის შესახებ იხ. Th. Reinach. Mithridates Eupator König von Pontos, Leipzig, 1895; Ed. Meyer, Geschichte des Königreichs Pontos, Leipzig, 1879; Т. Момозен, История Рима, т. II, М., 1937, გვ. 248–285; т. III, М., 1941, გვ. 45–66; 99–133; ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, თბილისი, 1956; გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1962.

² История армянского народа, Ереван, 1951. გვ. 36–37.

³ Я. А. Манандян, Тигран второй и Рим. Ереван, 1943, გვ. 29–30.

⁴ О. И. Севастьянова, Новый труд по древней истории Армении, ВДИ, 1946, № 2, გვ. 115.

⁵ C. L L e h m a n n - H a u p t Armenien einst und jetzt, I Bd.. Berlin, 1910, გვ. 381–429. А. Я. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1954, გვ. 76–79.

⁶ ლუკულუსის მიერ მითრიდატეს დამარცხებისა, არმენიაში შემოჭრისა ტიგრანაკერტამდე მოსვლის შესახებ იხ. Т. Момозен, История Рима, т. III.

6. ეს ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მოწმობს არმენიელთა მიერ უკვე რაღაც ცეცხლოვანი სითხის, როგორც ჩანს, ნავთის გამოყენებას რომელსაც ისინი სპეციალური სატყორცნი ხელსაწყოთი ისროდნენ.

7. ქალაქ ტიგრანაკერტასთან ლუკულუსსა და ტიგრან II შორის მოხდა გენერალური ბრძოლა, რომელშიაც ტიგრანის არმია სასტიკად იქნა დამარცხებული (Appian., Mithr., 85; Plut., Lucull, 27 – 28)¹. ამ მარცხის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ტიგრან II ქვეყნის დაცვისა და რომაელებთან ბრძოლის ხელმძღვანელობა მითრიდატე VI გადასცა.

8. არსაკე – პართიის მეფე არშაკ XII, ანუ ფრაატ III, მეფობს პართიაში ძვ. წ. 70–58 წლებში,

9. მიუხედავად ლუკულუსის გამარჯვებისა, რომში მის წინააღმდეგ უკმაყოფილება იხრებოდა, რომის ფინანსური წრეები უკმაყოფილონი იყვნენ იმ ღონისძიებებით, რომლებიც ლუკულუსმა მცირე აზიის ქალაქებში გაატარა; სენატი შეურაცხყოფილი იყო მის მიერ ომის გაჭიანურებით და თავის რწმუნებათა გადამეტებით. ამასთან ერთად ანტისულანური რეაქციის პერიოდში, იგი როგორც სულას პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი არ შეიძლებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა თავდასხმების ობიექტი არ გამხდარიყო. ამიტომ 69/68 წ. მას ჩამოერთვა პროვინცია აზიის (ყოფილი პერგამის სამეფო – მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე) მმართველობა, ხოლო კილიკიის მმართველად გაიგზავნა 68 წლის

კონსული კვინტუს მარციუს რექსი სამი ლეგიონით. ამრიგად ლუკულუსმა დაჰკარგა ის პროვინციები, რომელთაც განაგებდა როგორც აღმოსავლეთის მთავარსარდალი და მისი რწმუნებული შემოიფარგლა მარტო მითრიდატესთან და ტიგრანთან ომის წარმოებით².

10. ტიგრანაკერტას შესახებ იხ. ზევით, შენიშვნა 5. ამ ქალაქში უცხოელთა გადმოსახლებისა და მისი შინაგანი წყობილების შესახებ იხ. გ. ხ. სარქისიანის სპეციალური ნაშრომი³. ტიგრანაკერ-

გვ. 49–58: K. E c k h a r d t , Die armenischen Feldzüge des Lukullus, „Klio“, IX Bd., 1909, Heft 4. გვ. 402–405; X Bd., 1910, Heft 1, გვ. 87 და შემდ.; Я. А М а н а н д я н , Тигран второй..., გვ. 86–113.

¹ Th. R e i n a c h , Mithridates Eupator..., 33 342–344; K. E c k h a r d t , Die Feldzüge.... „Klio“, X, 1, გვ. 89 და შემდ.; Т. М о м м з е н , Римская история, т. III, გვ. 59–60; Я. А. М а н а н д я н , Тигран второй... გვ. 102–132.

² Т. М о м м з е н , История Рима, т. III, გვ. 62–63, Г. Ф е р р е р о , Величье и падение Рима. т. I, М., 1915, გვ. 196–197.

³ Г. Х С а р к и с я н . Тигранакерт. М., 1960, გვ. 49 და შემდ.

86

ტას ალყა და მისი აღება უფრო დაწვრილებით აქვთ მოთხრობილი პლუტ არქეს (Lucull., 29), აზიანეს (Mithr., 86) და მემნონს (Memn., XVII, 55,6). აზიანეს ვერსიით, რომაელებს დაეხმარნენ ბერძენი მოქირავნეები, რომლებიც ტიგრან II განუდგნენ, მემნონის მიხედვით კი რომაელებს კარი გაუღეს მითრიდატე ევპატორის მოლაღატე მხედართმთავრებმა.

11. კომაგენე – მცირე ოლქი ჩრდილოეთ სირიაში, კაპადოკიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ევფრატის ზემო წელზე, მის მარჯვენა ნაპირას, სელევკიდების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ იქცა დამოუკიდებელ სამეფოდ. შემდეგ დაპყრობილ იქნა ტიგრან II მიერ.

12. ალხაედონიონი – ერთ-ერთი არაბული ტომის ბელადი, რომელიც მანამდე ტიგრანის ქვეშევრდომად ითვლებოდა. იგივე ალხაედონიონი უნდა ყოფილიყო 54–53 წწ. მარკუს კრასუსის პართელთა საწინააღმდეგო ლაშქრობის მონაწილე.

13. სეკილიუსი – იგივე სექსტილიუსი, ლუკულუსის ლეგატი, რომელიც გაგზავნილი იყო პართიაში მოლაპარაკების საწარმოებლად. დიონ კასიოსის ეს ადგილი შესაძლოა ერთგვარად მიუთითებდეს იმაზე, რომ სექსტილიუსს დავალებული ჰქონდა აგრეთვე პართიის სამეფოს სამხედრო ძლიერების დაზვერვა.

14. კვინტუს მარციუს რექსი – ძვ. წ. 68 წლის კონსული.

15. ლუციუს ცეცილიუს მეტელუსი – ძვ. წ. 68 წლისათვის მარციუს რექსთან ერთად არჩეული იყო კონსულად, მაგრამ გარდაიცვალა თანამდებობის დაკავების რამდენიმე თვის შემდეგ.

16. ქალაქი ნიზიზინი – მდებარეობდა ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, მდ. ტიგროსის მარჯვენა ნაპირზე, მისგან დაახლოებით 60 კმ-ის დაშორებით. ტიგრან II დაპყრობათა შემდეგ შედიოდა დიდი არმენიის შემადგენლობაში.

17. ლუციუს ფანიუსი – რომელი მოქალაქე, სულას საწინააღმდეგო ოპოზიციის წევრი; როგორც ჩანს, 78 წ. მარკუს ლეპიდუსის აჯანყების მარცხის შემდეგ ემიგრაციაში იმყოფებოდა. იგი ესპანეთის აჯანყების ბელადის კვინტუს სერტორიუსის მიერ გაგზავნილ იქნა სხვა ემიგრანტებთან ერთად მითრიდატესთან კავშირის დასამყარებლად და მისთვის დახმარების აღმოსაჩენად (Appian., Mithr., 68). თავდაპირველად ფანიუსი იბრძვის მითრიდატეს მხარეზე, მაგრამ ლუკულუსის წარმატებათა შემდეგ უკანასკნელის მხარეზე გადადის¹.

¹ Т. Моммзен, История Рима, III, гл. гл. 48, 51, 55, 64, 65.

18. მეორე არმენიის ქვეშ იგულისხმება ე. წ. მცირე არმენია, რომელიც ევფრატის ზემო წელზე მდებარეობდა. მითრიდატე VI დროს მცირე არმენია დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, უკანასკნელმა შემოუერთა იგი თავის სამფლობელოს, როგორც ჩანს, გამეფებისთანავე (Strabo, XII, 3,28, Eutrop., V, 5; Appian., Mithr., 17).

19. მარკუს ფაბიუს ადრიანე – ლუკულუსის ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელიც ლუკულუსმა არმენიაში ლაშქრობის დროს დასტოვა პონტოში.

20. კაბეირა – პონტოს ერთ-ერთი ქალაქი, რომელიც მდინარე ლიკოსის ნაპირას მდებარეობდა, მერმინდელი ნეოკესარია, აწინდელი ნიკსარი.

21. გაიუს ვალერიუს ტრიარქუსი – ლუკულუსის მხედართმთავარი, თავდაპირველად რომის ფლოტს სარდლობდა შავ ზღვაში, მერე ისიც პონტოში იყო დატოვებული.

22. მანიუს აცილიუს გლაბრიონი და გაიუს კალპურნიუს პიზონი – ძვ. წ. 67 წლის კონსულები. პირველის სენატის დადგენილებით დაინიშნა ლუკულუსის მაგივრად მხედართმთავრად მითრიდატესთან ომში.

23. გაძიურა – კაპადოკიის. ერთ-ერთი ქალაქი, მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი, სადაც კაპადოკიის მეფის არიარატე I დროს (ძვ. წ. IV საუკუნის. 30–40-იანი წლები) არსებობდა ადგილობრივი ზარაფხანა¹. მდებარეობდა აწინდელი ტურკსალის ადგილას, მდ. ირისის ნაპირზე, ქ. ტორკატის დასავლეთით.

24. ციხე-სიმაგრე დადასა – ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია, როგორც ჩანს, მდებარეობდა გამჟირას მახლობლად.

25. ტალავრა – ქალაქი მცირე არმენიაში, სადაც პლინიუსის ცნობით ინახებოდა მითრიდატე ევპატორის აურაცხელი საგანძური. (Plin., NH, XXXVII, 1, II). ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია.

26. მითრიდატე მიდიელი – ტიგრან II სიძე (ქალიშვილის ქმარი); ამ პერიოდში მითრიდატე VI ერთ-ერთი მთავარსარდალი, არმენიის მეფის ვასალი.

27. ბითვინია – სახელმწიფო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, პონტოს მეზობლად. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან. გადიოდა ბოსფორის სრუტესა და

¹ М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.–Л., 1956. გვ. 87, 107 და შემდ.

მარმარილოს ზღვაზე და ამდენად შავი ზღვის „გასაღებს“ წარმოადგენდა. პონტოს მეფეები, განსაკუთრებით მითრიდატე ევპატორი, ცდილობენ მის ხელთგდებას. ძვ. წ. 74 წ. ბითონიის მეფე ნიკომედე IV გარდაცვალების წინ თავის სახელმწიფოს რომს უანდერძებს და ამით ძლიერ დარტყმას აყენებს პონტოს ინტერესებს შავ ზღვაში; ეს აქტი საბაზი გახდა მითრიდატეს და რომს შორის მესამე ომისათვის¹.

28. გ ნ ე უ ს პ ო მ პ ე უ ს ი – ცნობილი რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. დაიბადა ძვ. წ. 106 . იგი ეკუთვნოდა მდიდარ მიწისმფლობელურ გვარს. პომპეუსი, ჯერ სულ ახალგაზრდა, დაწინაურდა სულას დიქტატურის დროს. განსაკუთრებული სახელი მოიპოვა ლეპიდუსის აჯანყების ჩახშობით, ესპანეთში სერტორიუსის დამარცხებით და სპარტაკის ჯარის ნაშთების განადგურებით. პომპეუსი სარგებლობდა დიდი პოპულარობით. არმიაში და რომის მმართველ წრეებში². ამავე დროს მისი სახელი უთუოდ გაზვიადებული იყო; იგი არ გამოირჩეოდა დიდი სამხედრო ნიჭითაც, რაც კარგად გამოჩნდა შემდგომ იულიუს კეისართან მისი ბრძოლების დროს³.

29. კ ვ ი ნ ტ უ ს ც ე ც ი ლ ი უ ს მ ე ტ ე ლ უ ს პ ი უ ს ი – სულას ერთ-ერთი თანამებრძოლი და მეგობარი; 99. წ. 80 წლისათვის არჩეულ იქნა კონსულად, შემდეგ მონაწილეობდა სერტორიუსის წინააღმდეგ ომში. ძვ. წ. 69 წელს პროკონსულის უფლებით დანიშნული იყო ხმელთაშუა ზღვის მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლის მხედართმთავრად. მეტელუსი პირველ რიგში ჩავიდა კრეტაზე, რომელიც მეკობრეთა ცენტრს წარმოადგენდა ორწლიანი ბრძოლის შემდეგ. ძვ. წ. 67 წ. მეტელუსმა დაიმორჩილა კრეტა, მაგრამ მეკობრეების ალაგმვა მაინც ვერ შეძლო. იმავე 67 წ. სახალხო ტრიბუნმა ავლე გაბინიუსმა შეიტანა კომიციებში კანონპროექტი, რომლის ძალითაც მეკობრეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხედართმთავრად საგანგებო უფლებებით აღჭურვილი პომპეუსი ინიშნებოდა. კანონპროექტი მიღებულ იქნა. სამ თვეში პომპეუსმა ენერგიული ზომებით განადგურა მეკობრეები და აღადგინა იტალიის ურთიერთობა ყველა პროვინციასთან რომელიც მოწყვეტილი იყო:

¹ Th. Reinach, Mithridates Eupator..., გვ. 313–321; Г. Ф е р р е р о е Велнчие и падение Рима, т. I, გვ. 333–343,

² იხ. M. Gelzer, Pompeius, München, 1959, გვ. 25-79.

³ იხ. კ. მარქსის 1861 წ 27 თებერვლის წერილი ფ. ენგელსისადმი. К. Марксы Ф. Энгельс, Соч, т. XXIII, გვ. 15.

ცენტრს მეკობრეთა თარეშის გამო¹. მაგრამ მეტელუსი, რომელიც ძველებურად კ. კრეტაზე იმყოფებოდა სულაც არ ფიქრობდა პომ-

პეუსის უზენაესობა ეცნო; მასა და პომპეუსს განხეთქილება მოუვიდათ, რომელიც აშკარა სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 67 წლის შემოდგომა და 66 წლის ზამთარი პომპეუსმა კილიკიაში გაატარა, სადაც ჯარებს ამზადებდა თითქოს-და კრეტელების წინააღმდეგ გასალაშქრებლად, მაგრამ სინამდვილეში მეტელოსის საბოლოო დამარცხებისათვის ემზადებოდა².

30. ძვ. წ. 66 წ. სახლხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა შეიტანა კომიციებში კანონპროექტი პომპეუსის მითრიდატეს წინააღმდეგ ომში მხედართმთავრად დანიშვნის შესახებ. პომპეუსი ამ დროს რომში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამასთან მანილიუსის კანონპროექტს მხარი დაუჭირა გამოჩენილმა რომაელმა ორატორმა და პოპულარულმა სახელმწიფო მოღვაწემ მარკუს ტულიუს ციცერონმა. მანილიუსის წინადადება მიღებულ იქნა და პომპეუსს მიეცა საგანგებო უფლებები აღმოსავლეთში³.

31. მიტროფანე – პომპეუსის მიერ მითრიდატესთან გაგზავნილი ელჩის სახელი სხვა წყაროებში არ იხსენიება. პლუტარქე საერთოდ არაფერს ლაპარაკობს ელჩობის შესახებ (Plut., Pomp., 30–31), ხოლო აპიანეს გადმოცემით მოციქულები მითრიდატემ გაუგზავნა პომპეუსს და არა პირიქით (Appian., Mithr., 98). ი. მანანდიანის აზრით, მიტროფანე პონტოელი ემიგრანტი იყო, რომელიც რომაელთა მხარეზე გადავიდა⁴.

32. ფრაატე – იგივე ფრაატ III-ა (იხ. შენიშვნა 8). დიონ კასიოსს აქ აშკარა შეცდომა მოსდის, როდესაც ფრაატს არსაკვს შვილად აცხადებს და მის გამეფებას ქრონოლოგიურად პომპეუსის მიერ აღმოსავლეთში მხედართმთავრად დანიშვნას უკავშირებს. არსაკი ანუ არშაკი პართელი მეფეების საგვარეულო სახელია და ფრაატ III-ს თვითონ ეწოდებოდა ამავე დროს არშაკ XII⁵.

¹ Н. А. Машкин. История древнего Рима, М., 1948, гв. 270; Н. А. Ормерод, Piracy in the ancient world, Liverpool – London, 1924, гв. 286.

² Т. Моммзен, История Рима, т. III, гв. 100–101.

³ იხ. Plut., Pomp., 30; Cicero, De imperio Gn. Pompei, III, 8; IV, 9. IX, 22.

⁴ Я. А. Манандян, Тигран второй..., гв. 170.

⁵ A. von Gutschmid, Geschichte Irans und seiner Naehburländer, Tübingen, 1888, гв. 79–80; Er. Spiegel, Iranische Alterthumskunde, III Bd. Leipzig, 1878, гв. 94–96.

33. ვალერიანელები – ერთ-ერთი რომაული ლეგიონის სახელწოდებაა.

34. გალატია – მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში, პონტოს და ბითინიის სამხრეთით, კაპადოკიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ოლქი. ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში აქ დამკვიდრდნენ ევროპიდან გადმოსახლებული კელტური ტომები გალატები. სელევკიდების სახელმწიფოსთან ბრძოლაში დამარცხებული გალატები, მეფე ანტიოქოს I დროს (280–261), იძულებულნი არიან დასახლდნენ ფრიგიის ცენტრალურ ოლქში. ამ დროისათვის გალატები სამ ტომად იყოფოდნენ – ტოლისტოაგები, ტექტოსაგები, ტროკმები.

ტომების სათავეში იდგნენ ბელადები. გალატია, რომელიც ზღვის სანაპიროდან და სავაჭრო გზებიდან მოშორებით მდებარეობდა, შემდეგაც თავის განვითარების დონით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეზობელ ელინისტურ სახელმწიფოებს¹.

35. აქაც იგულისხმება მცირე არმენია, იხ. ზევით, შენიშვნა 18.

36 ანაიტისი – ანტიკურ მწერლებთან შენახული ცნობების თანახმად ანაიტისი იყო არმენიის დასავლეთი ოლქი, როგორც მკვლევრები ფიქრობენ, – აკილისენა, ანუ ეკლეცი, სადაც სტრაბონის სიტყვით იყო ქალღმერთ ანაიტის ტაძრები (Strabo, XI, 14, 16)². კ. ტროვერის აზრით, ეს იყო სატაძრო მიწები, რომლებიც წარმოადგენდნენ თეოკრატიულ თემებს³. ი. მანანდიანის აზრით, არმენიაში ამ სახელწოდების რამდენიმე ოლქი არსებობდა⁴. ქალღმერთი ანაიტი (ანაჰიტ) სომხური წარმართული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო; მისი კულტი, ღმერთ მიჰრის კულტთან ერთად, ფართოდ იყო გავრცელებული სომხეთში. ანაიტი წარმოადგენდა ნაყოფიერების, მზისა და სინოტივის ღვთაებას⁵.

¹ А. Б. Ранович \ Эллинизм и его историческая роль, М.–Л.; 1950, გვ. 114; Всемирная история, т. II, М., 1956, გვ. 256.

² Т. Момызен, История Рима, т. III, гв. 103–104; К. В. Тревер, Очерки по истории культуры древней Армении, М.– Л, 1953, гв. 62.

³ К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.– Л., 1959, гв. 61, 93, 150.

⁴ Я. А. Манаидян, Круговой путь Помпея в Закавказье..., ВДИ 1939, № 4, гв. 73–74; 80–81.

⁵ Н. О. Эмни, Очерк религии и верований языческих армян, М., 1864, гв. 9–14; Г. А. Капанця и, Хетские боги у армян, Ереван, 1940, гв. 59 და შემდ.

37. კვინტუს მარციუს რექსი – იხ. ზევით, შენ. 14.

38. ტიგრან II-ის უმცროსი ვაჟი ტიგრანი ძვ. წ. 66 წლის ახლო ხანებში აუჯანყდა მამას და თავის მომხრეებითურთ გაიქცა პართიაში მეფე ფრაატ მესამესთან, ძვ. წ. 95 წ. დადებული ხელშეკრულება (იხ. ზევით, შენიშვნა 4) მითრიდატე VI და ტიგრან II განამტკიცეს უკანასკნელის მითრიდატეს ქალთან ქორწილით, ამრიგად ტიგრან უმცროსი მითრიდატე ევპატორის შვილიშვილი იყო (Justin., XXXVIII, 3, 1–5),

39. როდესაც არმენიის მეფეს მისი ვაჟი აუჯანყდა, პირველი კაპადოკიაში იმყოფებოდა; მან სასწრაფოდ ანება თავი კაპადოკიის დაპყრობას და გამოემართა არმენიისაკენ, სადაც დაამარცხა კიდევაც თავისი ვაჟი და აიძულა ისევ პართიაში გაქცეულიყო მომხრეების თანხლებით¹. ამ აჯანყებას კიდევ იმ შეფეგი მოჰყვა, რომ მან უნდობლობა დაჰბადა ტიგრანსა და მითრიდატე ევპატორს შორის. შესაძლოა ტიგრან II ეჭვი, რომელზედაც აქ დიონ კასიოსი ლაპარაკობს, მთლად უსაფუძვლო არ ყოფილიყო, რადგან პონტოს მეფისათვის სომხეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის, ახალგაზრდა და გამოუცდელი ტიგრან უმცროსის ყოფნა უფრო აწყობდა, ვიდრე,

ძლიერი და საკუთარი, საკმაოდ ფართო მისწრაფებების მქონე ტიგრან II. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პართელთა მხრიდან ტიგრან უმცროსისათვის დახმარება შესაძლოა პომპეუსსა და ფრაატ III შორის დადებული ხელშეკრულების შედეგიც ყოფილიყო².

40. კოლხიდა – ანუ კოლხეთი ბერძნულ-რომაულ წყაროებში ეწოდება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქვეყანას, ქართული წყაროების ეგრისს. ძვ. წ. VI საუკუნისთვის აქ უძველესი ქართული სახელმწიფო – კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბდა, ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს კოლხეთის სამეფო შინაგანად დასუსტებული ჩანს; ამ გარემოებამ გაუადვილა მითრიდატე ევპატორს მისი დაპყრობა აპიანეს ცნობით, მითრიდატემ სხვა ხალხებთან ერთად დაიმორჩილა აგრეთვე „კოლხების მეომარი ხალხი“ (Appian., Mithr., 15); სტრაბონის მოწმობითაც, „როდესაც

¹ Appian Mithr, 104; A. V. Gutsehm id, Geschichte Irans., გვ. 83–84.

² A. Gutschmid, Geschichte Irans., გვ. 83; Cary, CAH, IX, გვ. 377; K. H. Ziegler, Die Beziehungen zwischen Rom und Partherreich, Wiesbaden, 1964, გვ. 89.

მითრიდატე განსაკუთრებით გაძლიერდა, კოლხეთი მის ხელში გადავიდა“ (Strabo, XI, 2, 18)¹.

41. მეოტისი – აზოვის ზღვა; ბოსფორი – ბოსფორის სამეფო, რომელიც ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში ქერჩის სრუტის – ძველი კიმერიული ბოსფორის სანაპიროებზე არსებულ ბერძნულ კოლონიათა გაერთიანების შედეგად წარმოიშვა?. ძვ. წ. II საუკუნის მიწურულამდე ბოსფორში სპარტოკიდების დინასტია მეფობს. II საუკუნის ბოლოს-კი ამ დინასტიის უკანასკნელი მეფე პერისადი, რომელსაც აღარ ყოფნის ძალა თავისი სამეფოს საკებისა და სარმატების ტომების თავდასხმებისაგან დაცვისათვის, მითრიდატეს მოუწოდებს ბოსფორზე საბატონოდ. მაგრამ პერისადის ამ ნაბიჯმა ბოსფორის ფართო წრეების აღშფოთება გამოიწვია, ბოსფორში იფეთქა ადგილობრივი სკვითების, მონებისა და ლატაკთა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სავმაკი. მხოლოდ ძვ. წ. 107 წლის ახლო ხანებში შესძლო მითრიდატეს მხედართმთავარმა დიოფანტემ სავმაკის აჯანყების ჩახშობა და ბოსფორის სამეფოს მითრიდატესთვის დამორჩილება³.

42. მითრიდატეს ვაჟის მახარეს ურჩობის შესახებ დაწვრილებით იხ. აპიანე (Mithr., 103); პლუტარქეს მოთხრობით, მახარემ ჯერ კიდევ ლუკულუსს შესთავაზა კავშირი და ძღვენი გაუგზავნა (Lucull, 24). მემნონის გადმოცემით, მახარე კოლხეთის მეფედ იყო მითრიდატეს მიერ დანიშნული და აქედან უჭერს მხარს ლუკულუსს (Memnon, XVI, 54,1). როგორც ჩანს, მემნონს ამ შემთხვევაში სახელებში მოსდის შეცდომა. კოლხეთში ევპატორს თავისი სხვა ვაჟი – მითრიდატე დაუყენებია მეფედ, მაგრამ მალე მის ერთგუ-

ლებაში დაექვებულა და სიკვდილით დაუსჯია (Appian., Mithr., 100). მემნონთან მითრიდატეს და მახარეს სახელების აღრევა, უნდა ვიფიქროთ, იმით იყო გამოწვეული, რომ ორივენი ისინი მამას ეურჩებიან და რომაელებთან კავშირს ეძიებენ⁴.

¹ კოლხეთის სამეფოს შესახებ იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. „შრომები“, ტ. I, გვ. 174–177; Г. А. М е л и к и ш в и л и , К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 236–250.

² В. Ф. Г а й д у к е в и ч , Боспорское царства, М.–Л., 1949, გვ. 26–42; Древняя Греция, под ред. В. В. С т р у в е и Д. П. К а л л и с т о в а , М., 1956, გვ. 372–373.

³ С. А. Ж е б е л е в , Последний Перисад и скифское восстание на Боспоре, გვ. 82–115.

⁴ შეად. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი , მემნონის „ჰერაკლის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები“, ნაკვ. 34, 1962, გვ. 144–145.

43. ფ ა ზ ი ს ი – მდ. რიონის ძველი სახელწოდება; ბერძნულ-რომაულ წყაროებში ფაზისის ქვეშ იგულისხმება რიონი დაახლოებით შორაპნამდე და შემდეგ მდ. ყვირილა¹.

44. ასეთივე ცნობები მოეპოვებათ აპიანეს (Mithr., 105) და აგრეთვე სტრაბონს (Strabo, XII, 3,28). მითრიდატეზე გადამწყვეტი გამარჯვების ადგილას პომპეუსს აუგია ქალაქი ნიკოპოლისი (νίκη – გამარჯვება, πόλις – ქალაქი, Νικηπόλις – „გამარჯვების ქალაქი“). თ. რაინახი და ი. მარკვარტი ვარაუდობენ, რომ ნიკოპოლისი აგებული იყო სტრაბონის მიერ დასახელებულ დასტირას ადგილზე, მდ. ევფრატის ნაპირას². როგორც ეს დაბეჯითებით აქვს გარკვეული ი. მანანდიანს, ნიკოპოლისი მდებარეობდა აწინდელი პიურკის მახლობლად, მდ. ლიკოსის ნაპირზე, ენდერესიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით³.

45. ა რ ტ ა ქ ს ა ტ ა ა ნ უ ა რ ტ ა შ ა ტ ი , სომხეთის ძველი დედაქალაქი, დაარსებული არტაშეს I მიერ არმენიის სელევკიდების ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ (ძვ. წ. II საუკუნის 80-იანი წლები), მდებარეობდა მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე, ქ. ერევანის სამხრეთით, არალიხის პირდაპირ ბ. იგი წარმოადგენდა სომხეთის უმთავრეს სავაჭრო-ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს.

46. პომპეუსის ეს ლაშქრობა არმენიაში მოხდა ძვ. წ. 66 წ.

47. ს ო ფ ა ნ ე ნ ე ს , ა ნ უ ს ო ფ ე ნ ე ს ადგილმდებარეობა კარგად ირკვევა სტრაბონის ცნობებით: დასავლეთიდან მის სახლვარს-მდ. ევფრეტი წარმოადგენდა, სამხრეთით მესოპოტამიისაგან გაჰყოფდა ტავრის ერთ-ერთი შტო მასისი; ჩრდილოეთით სოფენეს. აკილისენე (ეკლეცი) ეკრა, რომელიც ევფრატის სათავეებში, მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, აღმოსავლეთიდან მას დიდი არმენია ესაზღვრებოდა და მათ შორის საზღვარი მდ. ტიგროსზე, გადიოდა⁵.

48. მდ. კ ი რ ნ ო ს ი – უდავოდ სხვა წყაროების კიროსი, ანუ მდ. მტკვარი, ხოლო ანატიტისად, როგორც აღნიშნული იყო (იხ.

¹ ს. ჯანაშია, ფასიდი, „შრომები“, ტ. II, გვ 211–281.

² Th. Reinach, Mithridates Eupator..., გვ. 385, 1; J. Markwart, Die Genealogie der Bagratiden und das Zeitalter des Mar Abas und Ps. Moses Xoren, „Caucasica“, Fasc. 6, 2 Teil, Leipzig, 1930, გვ. 59–62.

³ Я. А. Манандян, Тигран второй..., გვ. 178–183.

⁴ Я. А. Манандян, О торговле в городах Армении..., გვ. 51.

⁵ Strabo, XI, 12,3–4; XII, 2,17; Н. Адонц, Армения в эпоху Остниана, СПб, 1908, გვ. 30–31.

ზევით, შენიშვნა 36), ჩვეულებრივად იწოდება ევფრატის სათავეებთან მდებარე აკილისენე-ეკლეცი. ამ ცნობაზე დაყრდნობით თ. მომზენმა გადასწყვიტა, რომ პომპეუსმა თავისი ჯარი სახამთროდ მოაწყო მდ. ევფრატისა და მტკვრის სათავეებს შორის¹. თ. მომზენის ეს მოსაზრება სამართლიანად უარპყო ი. მანანდიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ იბერია-კოლხეთ-ალბანეთისაკენ სალაშქროდ მომზადებული პომპეუსი არ წავიდოდა ასე შორს ამ ქვეყნების საზღვრებიდან; ამასთანავე მან შენიშნა, რომ რამდენადაც არმენიაში ფართოდ იყო გავრცელებული ქალღმერთ ანაიტის კულტი, ასეთი სატამრო ოლქები – ანაიტისები შესაძლოა ყოფილიყო სომხეთის სხვა ადგილებშიაც². თ. მომზენის მოსაზრების უარყოფის შემდეგ ი. მანანდიანმა პომპეუსის საზამთრო ბანაკს ადგილმდებარეობის შესახებ წამოაყენა სრულიად ახალი მოსაზრება³.

ი. მანანდიანმა მიაქცია ყურადღება დიონ კასიოსის ნაშრომის შემდგომი XXXVII წიგნის VII თავის V პარაგრაფში შენახულ ცნობას, რომ პომპეუსმა „ეს ზამთარიც ასპისში გაატარა“.

ი. მანანდიანმა გადასწყვიტა, რომ დიონ კასიოსის ეს სიტყვები ეხება ძვ. წ. 65/64 წლის, ე. ი. იმპერიაში მეჭრის წინ სომხეთში გატარებული ზამთრის მომდევნო ზამთარს; აქედან მან გააკეთა დასკვნა, რომ ე. ი. წინა 66/65 წლის ზამთარიც პომპეუსს ასპისში გაუტარებია მამასადაძე, ასკვნის განსვენებული მეცნიერი, დიონ კასიოსი აქ დამატებით აზუსტებს რომაელთა 66/65 წლის ზამთრის ბანაკის ადგილს; ი. მანანდიანი იწყებს ასპისის ძიებას. სახელწოდება „ასპიდა“ (*Ἀσπίς*), მისი აზრით „კასპისს“ (*Κασπίς*) თავნაკლული, შერყენილი ფორმაა და ეს ბუნქტი-კი აღნიშნულია IV საუკუნის რომაულ რუკაზე ე. წ. Tabula Peutingeriana-ზე „Caspiae“ ფორმით; ეს უკანასკნელი შეეფერება თანამედროვე სოფ. ხოსპიას, ახალქალაქის რაიონში, ძველი ქართული ქალაქის წუნდას მახლობლად; ამრიგად, ი. მანანდიანის აზრით, სწორედ აქ ახალქალაქის რაიონში მდგარა პომპეუსი იბერიაზე ლაშქრობის წინ⁴.

ი. მანანდიანის მთელი ეს მსჯელობა უბრალო გაუგებრობაზეა აგებული. საქმე ისაა, რომ დიონ კასიოსის ცნობა პომპეუსის ასპიდაში ხელმეორედ დაზამთრების შესახებ ეხება არა 65/64 წლის

¹ Т. Моммзен. История Рима, т. III, гв. 106.

² Я. А. Манандян, Круговой путь Помпея в Закавказье..., гв. 73.

³ იქვე, გვ. 70–78; იგივე გაიმეორა თავის მონოგრაფიაში „Тигран второй и Рим“.

⁴ იქვე, გვ. 80–83.

ზამთარს, არამედ შემდგომი 64/63 წლის ზამთარს: ამთავრებს რა თავისი შრომის XXXVII წიგნის V თავში ლაპარაკს 65 წლის ზაფხულში ალბანეთზე ლაშქრობისა და იქიდან დაბრუნების შესახებ. დიონ კასიოსი მოგვითხრობს პომპეუსის მიერ პონტოს საბოლოო შემომტკიცებას, შემდეგ სირიაში გამგზავრებას, პომპეუსისა და პართიის მეფის ფრაატ III-ის ურთიერთობას (XXXVII, 5—6), ფრაატის ლაშქრობას ტიგრანის წინააღმდეგ კონსულების ლუციუს კეისრისა და გაიოზ ფიგულუსის დროს, ე. ი. ძვ. წ. 64/63 წელს, და ტიგრანის ელჩობას პომპეუსთან „რომელიც მაშინ სირიაში იდგა“ (XXXVII, 6, 5) და მხოლოდ ამის შემდეგ აღნიშნავს რომ ეს ზამთარიც პომპეუსმა ასპისში გაატარა. ამრიგად, ასპიდაში ზამთარი პომპეუსს მეორედ 64/63 წელს, ხოლო პირველად 65/64 წელს გაუტარებია და არმენიის დამორჩილების შემდეგ 66/65 წელს მდ. კიროსთან (მტკვართან) საზამთროდ დაბანაკებას არაფერი აქვს საერთო დიონის ცნობასთან ასპისის შესახებ. ამავე დროს მთელი კონტექსტიდან აშკარაა, რომ ასპისი სირიის პუნქტი უნდა ყოფილიყო¹:

თავისთავადაც ხოსპია-ახალქალაქის რაიონი, ეს მკაცრ ჰავიანი: მთიანი ოლქი ვერაფერი საზამთრო ადგილი შეიძლებოდა ყოფილიყო იტალიელი და მცირეაზიელი ჯარისკაცებისათვის. ამავე დროს, დიონ კასიოსის მოთხრობიდან (იხ. თავი 54) ჩანს, რომ საზამთროდ მტკვრის ყირას მდგარ რომაელებს ალბანელები დასხმინ თავს მტკვარზე გადმოსვლის შემდეგ. იმისთვის, რომ ალბანელები ახალქალაქის რაიონში მყოფ რომაელებს დასხმოდნენ, მათ უნდა გაევლოთ მეტად გრძელი მანძილი ან სომხეთის ტერიტორიით (რომელიც რომაელებს მორჩილებდა), ან იბერიით, რაც ძნელი დასაჯერებელი ჩანს, მით უფრო, რომ დიონ კასიოსის მიხედვით ალბანელები იმიტომ დასცემიან რომაელებს, რომ მათი ალბანეთში შეჭრისა ეშინოდათ (იხ. XXXVII, 54). ახალქალაქის რაიონში დაბანაკებული რომაელები რა საშიში უნდა ყოფილიყვნენ ალბანელებისათვის? პლუტარქეს გადმოცემითაც, რადგან პომპეუსს სურდა, მითრიდატეს დასდევნებოდა, ალბანელებთან მოლაპარაკება დაუწყია, რომ მათ ტერიტორიაზე გაეტარებინათ იგი, ისინი დათანხმდნენ, მაგრამ „როდესაც ზამთარმა მოუსწრო რომაელ ჯარს მათ ქვეყანაში (ე. ი. ალბანეთში. – ნ. ლ.)... თავს დაესხნენ მათ, გადალახეს რა მდ. კირნოსი“ (Plut., Pomp.,; 34).

¹ სირიაში ათავსებს ასპიდას თ. მომზენიც, История Рима, т. III გვ. 120–122; შეად, RE, Bd. II, 33. 1734, L.

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ პომპეუსს დაუბანაკებია მდ. კირნოს-მტკვრის ნაპირას სადღაც ალბანეთის საზღვრების მახლობლად, სწორედ ამ ახლო მეზობლობამ შეაშფოთა, როგორც ჩანს, ალბანელები და აიძულა ისინი რომაელებს ანაზღეულად თავს

დასხმოდნენ.

უკანასკნელად ამ საკითხს შეეხო აგრეთვე გ. მელიქიშვილი, თუმცა გ. მელიქიშვილს არ მიაჩნია დამაჯერებლად ასპისის (ასპიდის) გაიგივება ხოსპიასთან და რომაელთა დაბანაკება ახალქალაქის რაიონში, მაგრამ იგი მთლიანად იზიარებს ი. მანანდიანის აზრს, რომ რომაელებმა ასპისში გაატარეს 66/65 წლისა და მომდევნო 65 წლის ზამთარი: „Я. А. Мананлян сираведливо обращает внимание на тот факт, что и в следующем (65/64 Ir.) году войско Помпея зимовало в той же области. У Диона сказано: „Помпей и тогда тоже провел зиму в Аспиде“¹. განსხვავებით ი, მანანდიანისაგან; გ. მელიქიშვილი ასპისს აიგივებს აკილისენესთან, რის საბუთადაც მას მოაქვს დიონის ცნობა, რომ ასპისში დაზამთრების შემდეგ პომპეუსმა აიღო სიმფორიონი (*Συμφόριον*), რომელიც მას მიაჩნია პლუტარქესა და სტრაბონთან მოხსენებულ სინორიად; ეს უკანასკნელი ეფფრატის ნაპირას მდებარეობდა, ერზერუმის დასავლეთით², როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, ასპისში დაზამთრება მოხდა არა 66/65 და 65/64 წლების ზამთარში, არამედ 65/64 და 64/63 წლებში, სხვაგვარად ამ კონტექსტის გაგება ჩვენ შეუძლებლად მივჩნევთ. გ. მელიქიშვილი, როგორც ჩანს, შეცდომაში შეიყვანა, გარდა ი. მანანდიანის მტკიცებისა, აგრეთვე დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ ინგლისელმა გამომცემელმა ე. კერიმ, რომელმაც თავის თარგმანში ასპისის გასწვრივ, გვერდის აშიაზე დასვა თარიღი ძვ. წ. 65 წ.³. შეიძლება ადამიანმა ივარაუდოს, რომ დიონ კასიოსი ამ შემთხვევაში უბრუნდება წინანდელ ამბავს და არღვევს ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას – ასეთი შემთხვევები მართლაც გვხვდება დიონ კასიოსის ნაწარმოებში, მაგრამ მოცემულ კონტექსტში მოვლენათა თანამიმდევრობა იმდენად აშკარაა, რომ ასეთი ვარაუდი სავსებით გამორიცხულია და ე. კერის აქ ისეთივე შეცდომა მოსდის, როგორც ი. მანანდიანს, ეს შეცდომა საფიქრებელია მომდინარეობს დიონ კასიოსის ერთ-ერთი პირველი გამოცემიდან, რომელიც ჰ. ს. რეიმარს ეკუთვნის; რეიმარს, როგორც

¹ Г. А. М е л и к и ш в н л и , К истории древней Грузии, გვ. 325.

² იქვე, გვ. 326.

³ Dio's Roman History by E. C a r y , vol. III. ა3 113

7. დიონ კასიოსი

97

ეს აღნიშნული გვქონდა, გაუგრძელებია ი. ა. ფაბრიციუსის მუშაობა „რომის ისტორიის“ გამოცემაზე და გამოყენებული აქვს უკანასკნელის კომენტარები, სადაც ასპისი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გასწორებულია ანაიტისად¹. მაგრამ ამ ფრიად მოძველებული, ნაკლებკრიტიკული, მხოლოდ ორ ხელნაწერზე დამყარებულ პუბლიკაციაზე დაყრდნობა საკმარისი საბუთი არ შეიძლება იყოს.

დაუსაბუთებელია აგრეთვე სიმფორიონისა და სინორიას გაიგივება. ამ შემთხვევაშიაც გ. მელიქიშვილი ე. კერის კომენტარს ეყრდნობა; მაგრამ ამ სახელწოდებათა მხოლოდ გარეგნული და ისიც საკმაოდ შორეული მსგავსება მათი იგივეობის საბუთად ვერ გამოდგება.

ბოლოს, რომაელთა მდ. დასავლეთ ევფრატის (ყარა-სუს) და მტკვრის სათავეებს შორის დაბანაკება ასევე: ძნელი შესათანხმებელი არის იმ ცნობებთან, რომლებიც ალბანელების რომაელებზე თავდასხმას გადმოგვცემენ, როგორც ი. მანანდიანის ვერსია. ამას, როგორც ჩანს, თვით გ. მელიქიშვილიც გრძნობს; ამიტომ იგი ემყარება რა აპიანეს, ამტკიცებს, რომ საზამთროდ საბოლოოდ დაბანაკებამდე პომპეუსმა სცადა კოლხეთში გაჭრილიყო და აქ მას თავს დაესხნენ იბერები და ალბანელები; გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ უკანასკნელები იბერთა მეფის მიერ იყვნენ მოწვეულნი დასახმარებლად. ამასთან, გ. მელიქიშვილი აპიანეს ცნობებთან ერთად იმოწმებს აგრეთვე პლუტარქეს და დიონ კასიუსის ცნობებს და. სამივე ავტორის მონაცემებს ერთობლივად განიხილავს, რის გამოც, გამოდის, რომ რომაელებს იბერებთანაც და ალბანელებთანაც ორჯერ ჰქონდათ შეტაკება – პირველად იბერ-ალბანელი ერთად გამოდიან პომპეუსის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ უკანასკნელი მათ ცალცალკე ამარცხებს. მოვიყვანოთ აპიანეს ეს ადგილი მთლიანად: „ეს გადახდა თავს მითრიდატეს (იგულისხმება მისი დამარცხება-პონტოში, – ნ. ლ.). პომპეუსმა მსწრაფლ მისდია მას, გაქცეულს, კოლხებამდე, ხოლო კოლხების შემდეგ კი იფიქრა, მითრიდატე. ვერც პონტოს შემოუვლის და ვერც მეოტისის ტბას და გაძევებულს არც დიდი საქმეების წამოწყება შეეძლებოა. ამის შემდეგ მან მოიარა კოლხები ... პომპეუსი რომ დადიოდა ამ ამბების შესატყობად (არგონავტების, დიოსკურების და სხვათა ამბების ნ. ლ.), ზოგი ვინც მითრიდატეს მეზობელი ტომები იყვნენ, მათ თავისუფ-

¹ Cassii Dionis Historiarum Romanorum, ed. H. S. Reimarus 1750–1752, გვ. XXXVII.

² Dio's Roman History by E. Cary, vol. III, გვ. 113, შენ. 2.

ლად ატარებდნენ; ოროსე კი, ალბანთა მეფე და არტოკე, იბერთა მეფე 70000 კაცით ჩაუსაფრდნენ მას მდინარე კირნოსთან... პომპეუსმა რომ ამ ჩასაფრების შესახებ შეიტყო, მდინარეზე ხიდი გასდო და ბარბაროსები ტევრში შერეკა (ხოლო ესენი ძალიან დახელოვნებულები არიან ტყეში ბრძოლაში, რადგან იძალებიან და ესხმიან თავს უჩინრად); ამ ტევრს ირგვლივ ლაშქარი შემოავლო და ცეცხლი წაუკიდა; ვინც გამორბოდა ჭალიდან, მათ სდევდა მანამ, ქიდრე ყველამ მძევლები არ გამოუგზავნეს და საჩუქრები არ მიართვეს (Appian., Mithr. 103)... აქედან შემობრუნებულმა პომპეუსმა გაილაშქრა არმენიაზე, რაკილა ტიგრანეს ბრალს სდებდა მითრიდატეს ეხმარებო“ (იქვე, 104). როგორც ვხედავთ, აპიანეს მიხედვით პომპეუსის კოლხეთში შეჭრა და მასზე ალბანელებისა და იბერების თავდასხმა მოხდა რომაელთა არმენიაში ლაშქრობის წინ, დიონ კასიუსის და პლუტარქეს ერთობლივი ცნობებით კი პომპეუსმა ჯერ ტიგრანი მოიყვანა მორჩილებაში, შემდეგ დაამარცხა ალბანელები, შემდეგ ზაფხულს კი ილაშქრა იბერიაში და ბოლოს კოლხეთში. ცხადია, რომ ამ ორ უკანასკნელ ავტორსა და აპიანეს

შორის აშკარა და თვალსაჩინო წინააღმდეგობაა და მათი ერთად დამოწმება, ერთნაირად ნდობა სამივეს ცნობებისა არ შეიძლება მართებული იყოს. ამავე დროს, აპიანეს მონათხრობის ცალკეული დეტალები – პომპეუსის მიერ მდინარე მტკვარზე ხიდის გადება, იბერებისა და ალბანელების ტყეში შერეკვა და დახოცვა, იბერებისაგან მძევლების მიღება და სხვ., ემთხვევა იმ ცნობებს, რომლებსაც პლუტარქე და დიონ კასიოსი გვაწვდიან რომაელთა იბერიაში ძვ. წ. 65 წ. შეჭრის შესახებ რამდენადაც პლუტარქეს და განსაკუთრებით დიონ კასიოსის ცნობები ამ მოვლენათა შესახებ უფრო დაწვრილებითია, თანამიმდევრულია და გამართული, მათ უპირატესობა უნდა მიენიჭოთ აპიანესთან შედარებით. აშკარაა, რომ აპიანეს აქ ბევრი შეცდომა მოსდის ალბანელებთან და იბერებთან პომპეუსის ცალკვალკე შებრძოლება მას ერთ ეპიზოდად გაუერთიანებია: და პომპეუსის არმენიაზე გამარჯვების შემდეგ მომხდარი ამბავი ამ მოვლენის წინ გადმოუტანია; ასევე აურევია აპიანეს იბერიაში და კოლხეთში პომპეუსის ლაშქრობათა თანამიმდევრობა. ამრიგად, აპიანეს ცნობები ამ შემთხვევაში ნდობის ღირსბ არ არის და გ. მელიქიშვილს საბუთად ვერ გამოადგება.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ პომპეუსი არ შეიძლებოდა 66/65 წლის ზამთარში დაბანაკებული ყოფილიყო მდ. ყარა-სუს და მტკვრის სათავეებს შორის აკილისენე-ეკლეცის მხარეში, და გავიმეოროთ ჩვენი ზემოთ გაკეთებული

99

დასკვნა ამ ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ: პომპეუსი საზამთროდ 66/65 წელს დაბანაკებული იყო მდ. მტკვრის ნაპირას, ალბანეთის საზღვრების ახლოს, რამდენადაც ცენტრალური სომხეთიდან მტკვრის ხეობისაკენ გზა, როგორც ეს გარკვეული აქვს ს. ერემიანს, მდ. აღსტაფის ხეობით მიდიოდა¹, საფიქრებელია, რომ პომპეუსიც სწორედ ამ გზით წასულა და სადღაც აწინდელი ყაზახისა და თოუზის მიდამოებში დაუბანაკებია².

49. ეს გამოთქმა – ჩასწერა თავის „მეგობრად და მოკავშირედ“ ჩვეულებრივი ფორმულა იყო, რომლითაც რომაელები დამარცხებული ქვეყნების ნაწილს თავის ვასალურ სამეფოებად აქცევდნენ (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვევით, შენიშვნა № 7 XXXVII წიგნისათვის).

50. ალბანელები – ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის, თანამედროვე აზერბაიჯანისა და სამხოეთ დაღესტანის ძველი მოსახლეობა. ძვ. წ. I საუკუნისათვის ალბანეთი დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა და მისი ტერიტორია მდ. მტკვრის ჩრდილოეთით იორ-ალაზნის აუზიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული³. ქართულ წყაროებში ალბანეთი ჰერეთის სახელით იყო ცნობილი, ამ სახელის ფართო გაგებით⁴.

51. კრონოსი – ბერძნულ მითოლოგიაში დედამიწის ღვთაების – გეას და ზეცის ღმერთის – ურანის ვაჟი, ღმერთთა მამამთავ-

¹ С. Т. Е р е м я н , Торговые пути Армении В Эпоху сасанидов, ВДИ. 1939, № 1, გვ. 84.

² აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1960 წ. გამოქვეყნებულ თავის წიგნში „Очерки по истории и культуре Кавказской Албании“, კ. ტ რ ე ვ ე რ ი უარყოფს ი. მანანდიანის აზრს პომპეუსის ახალქალაქის რაიონში დაზამთრების შესახებ და ფიქრობს, რომ ანატიტისის ის ოლქი, სადაც იდგა პომპეუსი, უნდა მდებარეობდეს ან ძელი ხ ა ლ ხ ა ლ ის მახლობლად, ე. ი. იქ სადაც ჩვენც ვვარაუდობთ, ან გუგარეთის რომელიმე ოლქში (გვ. 93): მაგრამ, ამავე დროს იგი უკრიტიკოდ იღებს ი. მანანდიანის მოსაზრებას არმენიაში ასპისის ოლქის არსებობის შესახებ და რამდენიმე გზის ახსენებს ახალქალაქის რაიონში სატაძრო მიწების გაერთიანებას – ასპიდას (გვ. გვ. 61, 93 და სხვ.).

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ თავისთავადაც გაუმართლებელია ახალქალაქის რაიონის ამ პერიოდში არმენიისათვის მიკუთვნება. როგორც ნაჩვენებია აქვს ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს , ძვ. წ. I ს-თვის იბერიის ტერიტორია მდ. ჭოროხის აუზამდეც კი აღწევდა, „შრომები“, ტ. II, გვ. 256–287.

³ ალბანეთის ტერიტორიის, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიური, ვითარების და კულტურის შესახებ იხ. К. В. Т р е в е р , Очерки по истории и культуре кавк. Албании; История Азербайджана, Баку, 1938, გვ. 50–70.

⁴ ნ. ლ ო მ ო უ რ ი , იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური საზღვრების საკითხისათვის, გვ. 3–5.

100

რის ზევსის მამა. რომაულ პანთეონში მას შეეფერება სატურნუსი – იუბიტერის მამა. კ რ ო ნ ო ს ის დღესასწაული (τῆς Κρόνια [εἰσῆ]) იხდიდნენ ათენში ჰეკატომბაიონის თვის (შეეფერება ივლისის მეორე ნახევარს და აგვისტოს პირველ ნახევარს) მე-12 დღეს. რომში ეს დღესასწაული იწოდებოდა ს ა ტ უ რ ნ ა ლ ი ე ბ ა დ (Saturnalia); დღესასწაულობდნენ ყოველწლიურად 17 დეკემბერს.

52. ლ უ ც ი უ ს ფ ლ ა კ უ ს ი – ჯერ ლუკულუსის, ხოლო შემდეგ პომპეუსის ლეგატი.

წიგნი XXXVII

1. ლ უ ც ი უ ს ა ვ რ ე ლ ი უ ს კ ო ტ ა და ლ უ ც ი უ ს მ ა ნ ლ ი უ ს ტ ო რ კ ვ ა ტ უ ს ი , კონსულებად იყვნენ ძვ. წ. 65 წ.

2. ა რ ტ ო კ ე – დიონ კასიოსი და აპიანე ასეთი ფორმით (არტოკეს) ხმარობენ იბერიის მეფის სახელს. ივ. ჯავახიშვილი იმ საფუძველზე, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია ქართლის მეფე არტაგი, პომპეუსის თანამედროვე იბერიის მეფის სახელადაც ამ ფორმას ხმარობს¹. ეს კონიექტურა გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში², მაგრამ ტექსტის სიზუსტისათვის ჩვენ უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დედნის ფორმა დაგვეცვა.

3. როგორც რომაელი მოქალაქე და ოფიციალური წრეების მწერალი დიონ კასიოსი ცდილობს ამ შემთხვევაშიაც ისე წარმოგვიდგინოს საქმე, თითქოს პომპეუსი მშვიდობიანი ზრახვებით შემოდის ამიერკავკასიაში, კერძოდ იბერიაშიაც, და თვით ამ ხალხების, თუ მათი მეფეების, მოქმედებამ აიძულა იგი შეჭრილიყო მათ ქვეყანაში; მაგრამ უდავოა, რომ რომაელებს ამიერკავკასიაში თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდათ, რომლებიც მათ ამ ქვეყნების დამორჩილებისა, ან ყოველშემთხვევაში თავისი გავლენის ქვეშ მოქცევისაკენ უბიძგებდათ.

უპირველეს ყოვლისა, ამიერკავკასიის ქვეყნებს რომაელებისათვის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც მოხერხებულ პლაცდარმსა და სასარგებლო მოკავშირეს აღმოსავ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. 1, 1951, გვ. 164–166; „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955, გვ. 30.

² ს. ჯანაშია, „შრომები“, ტ. I, გვ. 179; ტ. II, გვ. 179, 180; საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, სახელმძღვანელო VIII–X კლასებისათვის, 1960, გვ. 37.

101

ლეთში და, კერძოდ პართიის წინააღმდეგ, რომელსაც რომი ამიერიდან ემეზობლებოდა.

ამას გარდა, ამიერკავკასიის ქვეყნებს გარკვეული ეკონომიური მნიშვნელობაც ენიჭებოდათ. ჯერ ერთი უდავოა, რომ რომს აინტერესებდა თვით ამ ქვეყნების ეკონომიური რესურსები, მეორე მხრივკი ისინი კონტროლს უწევდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმავალ საულელტეხილო გზებს, რომელთა მეშვეობით ხდებოდა იმიერკავკასიის ტომებთან ვაჭრობა, რომლის ერთ-ერთი მთავარი დარგი, რომაელებისათვის განსაკუთრებით საინტერესო, მონებით ვაჭრობა უნდა ყოფილიყო¹. ამ ზეკარებს ის ფასიც ჰქონდა, რომ მათი საშუალებით შეიძლებოდა ჩრდილოკავკასიელი ნომადების გადმოყვანა მაშველ რაზმებად; „ვის ხელშიაც ეს კარები იმყოფებოდა, ჩრდილოეთის ნომადების სამხრეთისაკენ მოძრაობაც მის ნებასურვილზე ეკიდა, ამიერკავკასია რომაელებს იზიდავდა იმ ტრანსკავკასიური სავაჭრო გზის გამოც, რომელიც შავი ზღვის აუზს შუა აზიასთან, ინდოეთთან და ჩინეთთან აკავშირებდა³. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ პომპეუსი ცდილობს ამ გზის დათვალიერებას და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესწავლას. სამართლიანად შენიშნავს ლ. სანიკიძე რომ ამ გზას რომაელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მას შემდეგ, რაც პართიის სახელმწიფომ გაზარდა თავისი საზღვრები და, ამგვარად, ჩაჰკეტა ინდოეთ-ჩინეთისაკენ მიმავალი სამხრეთული გზები. როგორც აღნიშნავს ა. ბოლტუნოვა, „Поход Помпея в Закавказье является одним из звеньев в цепи римских военных мероприятий в Азии, имевших целью постепенное и планомерное продвижение римлян на восток, и обеспечение путем проникновения на восток римского торгового капитала возможности установить торговый путь в глубину Азии“⁵. აღნიშნული მომენტები წარმოადგენდა სწორედ იმ მამოძრავებელ ძალას, რომელიც პომპეუსს

¹ ს. ჯანაშია, „შრომები“, ტ. I, გვ. 182–186.

² იქვე. გვ. 184.

³ ამ გზის შესახებ იხ. Г. К. Г о з а л и ш в и л и, О древнем торговом пути в Закавказье, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. II, 1956, გვ. 153–160; З. И. Я м п о л ь с к и й, К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Кура через Грузию к Черному морю. იქვე, გვ. 161–180; ო. ლ ო რ თ ქ ი - ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, „საქ. აკად. მოამბე“, ტ. XIX, № 3, 1957, გვ. 377–384.

⁴ ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, თბილისი, 1956, გვ., 193.

⁵ А. И. А м и р а н а ш в и л и (Б о л т у н о в а), Иберия и римская экспансия в Азии. ВДН, 1938, № 4 (5), გვ. 66.

ალბანეთში, იბერიაში და კოლხეთში სალაშქროდ იწვევდა, ცხადია, პომპეუსს არავითარი საბაზიცი რომ არ ჰქონოდა, იგი მაინც ეცდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნები რომის გავლენისათვის დაემორჩილებინა. ეს ლაშქრობა ემსახურებოდა რომის ხელისუფლების სათავეში ახლად მოსული სოციალური ფენების გამდიდრების, ახალი ბაზრების, სავაჭრო გზების, ხალხთა დატყვევება-დამონების მისწრაფებებს; „მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა მითრიდატეს შეპყრობის იურიდიული საბურველი და თვითონ პომპეუსის პატივმოყვარეობა“¹.

4. აკროპოლისის ქვეშედიონ კასიოსი უდავოდ გულისხმობს იბერიის დედაქალაქს რომელიც სტრაბონთან ჰარმასტიკად (*Ἀρμαστήκη*) პლინიუსთან ჰარმასტიკად (*Harmastis*), ხოლო პტოლემეაოსთან ჰარმასტიკად (*Ἀρμάστιχα*) იწოდება (*Strabo*, XI, B, 5; *Plin.*, NH, VI, 93; *Cl. Ptol.*, *Geogr.*, V. 10, 3). სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ამ სახელით აღნიშნებოდა ქართლის სამეფოს დედაქალაქი არმაზციხე. ანტიკური რეალიებისა და 1941–1943/44 წწ. -ში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მთელი უეჭველობით დადასტურდა, რომ არმაზციხე, ანუ ბერძნულ-რომაული წყაროების პარმოზიკე-ჰარმასტიკის მდებარეობდა მცხეთის მახლობლად, არმაზის მაღლობზე, ანუ ბაგინეთის ბორცვზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არაგვის შესართავის პირდაპირ², ამავე დროს ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქად „პირველ საუკუნეზე გაცილებით უფრო უდრე“ ხდება ქალაქი მცხეთა³, ხოლო ანტიკურ ლიტერატურაში იბერიის დედაქალაქი ამ სახელით პირველად ახ. წ. II საუკუნეში გვხვდება⁴. ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას იმით, რომ არმაზციხის ცნებაში შედიოდა, როგორც ჩანს, ქალაქი მცხეთაც; როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, არქეოლოგიური გათხრებისა და ძველ ავტორთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ

¹ ლ. სანიკიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

² ს. ჯანაშია, არქეოლოგიური გათხრები საქართველოში, გაზ. „კომუნისტი“, 1945, № 13; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, 1945, გვ. 55; ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, „ისტორიის ინსტ. შრომები“, ტ. IV, ნაკ. I, 1958, გვ. 71-98; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963, გვ. 21 და შემდ.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 447-454; ს. ჯანაშია, „შრომები“, ტ. II, გვ. 304.

⁴ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები“, ნაკ. 32, 1955, გვ. 46, 60.

„არმაზის ციხე წარმოადგენდა მხოლოდ მთელი სანაწილს სახელდობრ, მცხეთის აკროპოლისს, რომლის სახელწოდებაც („მცხეთა“) ბერძნულ-რომაული ლიტერატურისათვის ცნობილი ხდება ჩვ. წ. II საუკუნიდან“¹. ცხადია, რომ დასავლურ წყაროებში ცნობები იბერიის შესახებ ჩნდება უმთავრესად პომპეუსის

ლაშქრობის შემდეგ; რამდენადაც რომაელებს საქმე პირველ რიგში-სწორედ დედაქალაქის აკროპოლისთან (შიდა ციხესთან) ჰქონდათ, სწორედ მისი სახელი გაიგეს პირველად და მას ასახელებდნენ თავის ანგარიშებში თუ აღწერილობებში დიონ კასიოსის მიერ იბერიის დედაქალაქის „აკროპოლისად“ წოდებას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც გვეხმარება არმაზციხის რაობის გაგებაში. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით. იბერიის დედაქალაქის ციხის „აკროპოლისად“ წოდება დიონ კასიოსის მიერ, როგორც ჩანს, ადგილობრივი ქართული სახელწოდების გადმოცემა უნდა იყოს, გ. მელიქიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „მოქცევაი ქართლისაი“-ს ქრონიკაში აღნიშნულია არმაზში „შიდა ციხის“ აშენება; ეს ტერმინი კი ზედმიწევნით შეეფერება ბერძნულ „აკროპოლისს“².

4^ა. ამ ადგილას ყველა ხელნაწერებში არის ლაკუნა, რომელსაც ბეკერი ავსებს სიტყვებით – *τὴν Κύρριον παραρρέοντος, ἔνθεν δὲ ...* მაშინ ეს ადგილი უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: „...ერთი მხრიდან მოედინება კირნოსი, ხოლო მეორე მხრით კი გადაჭიმული იყო კავკასიონი“³.

5. ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ პომპეუსის იბერიაში შემოსვლის მარშრუტზე. ზევით (იხ. შენიშვნა № 48 XXXVI წიგნისადმი) ჩვენ არ გავიზიარეთ ი. მანანდიანის შეხედულება პომპეუსის საზამთროდ ახალქალაქ-ხოსპიას რაიონში დაბანაკების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიუღებლად მიგვაჩნია აგრეთვე ი. მანანდიანის მიერ პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის მარშრუტის განსაზღვრა. რამდენადაც რომაელთა საზამთრო ადგილსამყოფელად ი. მანანდიანმა მიიჩნია ახალქალაქ წუნდის რაიონი, სრულიად ლოგიკური იყო, რომ მან იმავე გაზაფხულზე რომაელთა იბერიაში-შეჭრა ივარაუდა მერმინდელი ჯავახეთიდან მტკვრის ხეობით, აქ-

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა , გაზ. „კომუნისტი“. 1945, № 13; შეად. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე , მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი. თბილისი, 1959, გვ. 76–80; მ ი ს ი ვ ე , ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, გვ. 162–182.

² Г. А. М е л и к и ш в и л и , К историн древней Гruzни, გვ. 329–329.

³ ხ. დიონ კასიოსის „რომის ისტორიის“ ბ ე კ ე რ ი ს „გამოცემა, 1849: შეად. Dio's Roman History, by E. C a r y , გვ. 98

დან, ე. ლ. ხოსპიას რაიონიდან, მანანდიანის ახრით, იბერიაში ორი გზით შეიძლებოდა შესვლა: ერთი – ბაკურიან-ბორჯომის მიმართულეობით, ხოლო მეორე – აწყურიდან ბორჯომზე და შემდეგ შუა ქართლისაკენ. ეს მეორე გზა უნდა გამოეყენებინა პომპეუსს, ი. მანანდიანის სიტყვით, რადგან იგი თავისთავად უკვე ამ გზაზე იდგა¹. რადგან ჩვენ უარვყავით მანანდიანისეული ლოკალიზაცია პომპეუსის საზამთრო ბანაკისა, ცხადია ეს მარშრუტიც ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია. მაგრამ იგი სხვა მხრივაც მიუღებელია. ჯერ ერთი, დიონ კასიოსის მოთხრობიდან ჩანს, რომ პომპეუსი სრულიად ანაზღაურებულად მივიდა იბერიის დედაქალაქამდე, არტაგმა ვერც კი გაიგო მისი მიახლოება, ასეთი მოულოდნელობა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, პომპეუსს რომ მტკვრის ზემო წელიდან

მცხეთამდე მდინარის მთელი ხეობა გაეწვლი: შეუძლებელია ამ ხნის განმავლობაში იბერიის მეფეს ვერ გაეგო მისი მოახლოება, მით უფრო, რომ არტაგი არც ისე გულხელდაკრეფილი იყო და მტრის დასახვედრად ემზადებოდა. ამას გარდა, ქართულ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ ქართლში ძველად, ანტიკურ ხანაში, სწორედ მტკვრის ხეობაში რამდენიმე ციხე-ქალაქი მდებარეობდა: ოძრზე, ურბნისი, კასპი და სარკინე². ამათ გარდა უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე უფლისციხე და გორიც, რომლის ციხის არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა ანტიკური დროის სიმაგრის ნაშთები³. როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ ამ ქალაქებთან მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედროდა და ხელშეუშლელად მისულიყო სატახტო ქალაქამდე. შემდეგ, დიონ კასიოსი მოგვითხრობს, რომ მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო არტაგმა ვერ მოასწრო. მეტად ძნელგასავალი ვიწრობების დაკავება რამდენადაც ცოტა ქვევით დიონი აღნიშნავს, რომ დედაქალაქის დაკავების მერე პომპეუსმა აიღო ეს ვიწრობები, უეჭველია აქ სწორედ მცხეთა-არმაზის მიმდგომი ადგილები იგულისხმება. პომპეუსი რომ მტკვრის ზემო წელიდან წამოსულიყო, რაღა აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ვიწრობების დაკავებას, როდესაც მდ. მტკვრის მთელი იბერიის ფარგლებში მოქცეული ხეობა მის ხელში იყო უკვე მოქცეული.

¹ Я. А. Ма н а и д я н . Круговой путь Помпея..., გვ. 76.

² „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, Е. Та к а и ш в и л и , описание рукописей, ტ. II, გვ. 708; „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, 33. 6–12; III А. М е с х и а , Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 16–17.

³ Б. ლ ო მ ო უ რ ი , ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის..., გვ. 5–11.

ყოველივე ზემოთქმული გვაპარაუდებინებს, რომ პომპეუსი დედაქალაქს აღმოსავლეთიდან უნდა მისდგომოდა. რამდენადაც ჩვენ ზევით პომპეუსის საზამთრო ბანაკი მდ. მტკვრის ნაპირას, დაახლოებით აღსტაფისა და თოუზის შესართავთა რაიონში ვიგულისხმეთ, ვფიქრობთ, რომ პომპეუსი აქედან უნდა მდ. მტკვარს აჰყოლოდა და ისე მისდგომოდა იბერიის სატახტო ქალაქს. იბერიის სამეფოს ტერიტორია ამ დროს, როგორც ჩვენ სხვა ადგილას გვაქვს გარკვეული, იწყებოდა დაახლოებით მდ. ხრამის (ქციის) მტკვართან შეერთების ადგილას¹. აქედან პომპეუსს მართლაც შეეძლო სწრაფად და მოულოდნელად მისვლა მცხეთის სანახებამდე, ასეთ ვითარებაში არტაგისათვის მართლაც ჰქონდა მნიშვნელობა მცხეთა-არმაზის აღმოსავლეთით მდებარე ვიწრობების გამაგრებას; ამით იგი გზას შეუკრავდა რომაელებს როგორც დედაქალაქისაკენ, ისე დანარჩენი იბერიისაკენ ერთი სიტყვით, პომპეუსს ჩვენის აზრით, უნდა ესარგებლა სომხეთისა და იბერიის დამაკავშირებელი გზების იმ შტოთი, რომელიც აღსტაფის ქვემო დინებიდან მტკვრის აყოლებით მცხეთა-თბილისის რაიონს აღწევდა². ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს სტრაბონის ცნობაც; ლაპარაკობს რა იბერიაში შემოსასვლელ გზებზე, სტრაბონი აღნიშნავს: „ხოლო არმენიიდან [შემოსასვლელი] არის კ ი რ ო ს ი ს ვ ი წ რ ო ე ბ ზ ე და არა-

გოსისაზე. ვიდრე ერთმანეთს შეერთვის [ეს მდინარეები], იმ ადგილას მდებარეობს გამაგრებული ქალაქები კლდეებზე... ამ შემოსასვლელებით ისარგებლა პირველად პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო შემდეგ კანდიუსმა³ მართლაც, აღნიშნული გზა თითქოს აღსტაფის შესართავიდან, სულ მტკვრის. მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა. ამ გზით მომავალი, თბილისის შემდეგ მდებარე ვიწრობების გავლით, მართლაც არმაზციხე-მცხეთას და არაგვის შესართავს მიადგებოდა⁴.

6. მდინარე პელორი – სრულიად უცნობია სხვა წყაროებისათვის: ლატიშევის „Seythica et Caueasica“-ს ახალი გამოცემის კომენტატორი აიგივებს მას მდ. ლორთან⁵; აქ იგულისხმება, როგორც ჩანს, მდ. ლორე (მდ. დებედის ხეობაში, ყოფილი ბორჩა-

¹ ნ. ლომოური, ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრების საკითხისათვის... გვ. 5–11.

² С. Т. Еремян, Торговые пути Армении... გვ. 84–87.

³ Strabo XI, 3, 5.

⁴ ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV, ნაკვეთი I, 1958, გვ. 115–116.

⁵ ВДИ. 1948. № 2, გვ. 271, 1.

106

ლოს მაზრა, ეხლა სომხეთის სსრ). მაგრამ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მცხეთასთან გადასული არტაგი მდ. ლორესთან ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღმოჩნდებოდა. დიონ კასიოსის მთელი აღწერილობა გვავარაუდებინებს, რომ აქ მდინარე არაგვი იგულისხმება, თუმცა გაურკვეველია რა საფუძველზე უწოდებს მას მწერალი პელორს. როგორც გ. მელიქიშვილი გადმოგვცემს, ვ. დონდუაზ მიაქცია ყურადღება მდ. პელორის სახელწოდებას, რომელიც მისი აზრით შეიძლება იყოს აღწერილობითი ხასიათისა – შეად. ზმნა *πῆλα* – „ვმოძრაობ, მივისწრაფვი“, ან *τὸ πῆλαρ* „გოლიათი“ (чудовище)¹.

7. დიონ კასიოსის ეს ცნობა, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, მიუთითებს არტაგის მონარქიულ უფლებებზე, რადგან „სუვერენული უფლებები რომ ხალხს ჰკუთვნებოდა, მაშინ, ცხადია, მძევლებად თვით ხალხისავე წარმომადგენლები იქნებოდნენ“². მართლაც, დიონ კასიოსის ეს ცნობა ერთ-ერთი კონკრეტული საბუთია იმათ წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებს, რომ იბერიაში (ქართლში) ძვ. წ. I საუკუნისთვისაც კი (და უფრო გვიანაც) ჯერ კიდევ არ იყო კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო, ხოლო ანტიკურ წყაროებში დასახელებული „ბასილევები“ რეალურად გვაროვნული წყობილების ტომის ბელადს წარმოადგენდნენ³. საქმე ისაა, რომ გვაროვნული წყობილების დროს, ე. ი. იმ დროს, „როცა ყოველი ასაკოვანი მამაკაცი ტომში მეომრად ითვლებოდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა ხალხისაგან გამოცალკეებული საჯარო ხელისუფლება, რომელიც შეიძლებოდა მას (ე. ი. ხალხს. – ნ. ლ.) დაპირისპირებოდა“⁴. ამ დროს მთელი ძალაუფლება თვით ხალხს ეკუთვნოდა უხუცესთა საბჭოსა და სახალხო კრების სახით, „ბასილევსის“ თანამდებობა არჩევითი იყო და არ სარგებლობდა უხუნაესი უფლებით.

ასეთ პირობებში მძევალს მხოლოდ მაშინ ექნებოდა ძალა, თუ იგი მთელი ხალხის, ან მისი ძალაუფლების განმასახიერებელი საბჭოს (ბულე), ან სახალხო კრების მიერ იქნებოდა მიცემული. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში მოექცა მეფე – მონარქი,

¹ А. Меликншвили, К истории древней Грузии, გვ. 329, შენ. 20.

² ს, ჯანაშია, „მრომები“, ტ. II. გვ. 159.

³ Г. К. Соселия, Существовала ли рабовладельческая формация в Грузии, ВИ, 1956, № 10; შეად. რეცენზია ამ სტატიაზე: Ш. А. Месхна, Н. Ю. Ломоурни, О. Д. Лордкипанидзе, К вопросу о происхождении государства и сущ. рабова. форм. в Грузин, ВИ, 1957, № 7.

⁵ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბილისი, 1953, გვ. 143.

მამიდან შვილზე გარდამავალი მემკვიდრეობითი უფლებით, ე. ი მას შემდეგ რაც გაჩნდა სახელმწიფო, მძევლად მიჰყავდათ ამ უზენაესი ხელისუფლის – მეფის შვილები. ასე მაგალითად, იულიუს კესარის მოთხოვრებით, გვაროვნული წყობილების უმაღლეს საფეხურზე მდგომ გალურ ტომს – ედუებს სეკვანებისათვის მძევლად მიუციათ თავისი „უწარჩინებულესი მოქალაქეები (Obsides dare nobilissimos civitatis)“¹. ასევე გერმანელთა ბელადი არიოვისტე მოითხოვს გალებისაგან მძევლად „ყველაზე წარჩინებულთა შვილებს (obsides nobilissimi cujusque liberos poscere)“²; თვითონ კეისარს ბელოვაკთა ტომისაგან მიჰყავს. 600 მძევალი (sescentos obsides poposcit), ხოლო სუესიონთაგან ყველაზე გამოჩენილი მოქალაქეები (obsidibus acceptis primis civitatis)³. მაგრამ უკვე პართიის მეფემ მითრიდატე II (123–88) სომხეთის დამარცხების მერე მძევლად წაიყვანა მეფის შვილი ტიგრანი, შემდეგში სომხეთის მეფე ტიგრან II⁴. პომპეუსიც, როგორც ვხედავთ, სწორედ შვილებს მოითხოვს იბერთა მეფისაგან. ამნაირად, დიონ კასიოსის ეს ცნობა კიდევ ერთ მოწმობას წარმოადგენს იმისთვის, რომ ძვ. წ. I საუკუნეში იბერიაში მონარქიული ძალაუფლების მატარებელი მეფე იყო და, მამასადაძე, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება არსებობდა.

დიონ კასიოსის ამ ცნობას კიდევ მეორე მხრივ აქვს მნიშვნელობა: როგორც ცნობილია, იბერიის საზოგადოებრივი წყობის აღწერისას სტრაბონი აღნიშნავს, რომ მთავარსარდლობა იბერიაში ეკუთვნოდა მეფის მერე მეორე პირს, თუ სხვა გაგებით მეორე მეფეს; მასვე ჰქონია ხელთ მართლმსაჯულება, ხოლო საგარეო ურთიერთობა კი ქურუმების კომპეტენციაში შედიოდა (Strabo XI. 8, 6). პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოსთქვა ეჭვი ისეთი მეფის არსებობის შესახებ რომელსაც არაფერი ეკითხება არც მართლმსაჯულებისა, არც მთავარსარდლობისა და არც საგარეო ურთიერთობისა; ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, რომ „ან სტრაბონიმის დრომდის რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას. გადმოგვცემს, ან კიდევ ის შეცდომაში შეიყვანეს ზეპირად ცნობების მიმწოდებლებმა“⁵. პირველ შესაძლებლობას მხარს უჭერს სპე-

¹ C. Jul. Caesar, Comm, de BG., I, 31.

² იქვე, I, 31.

³ იქვე, II, 13; II, 15.

⁴ Justin, XXXVIII, 3, 1, Strabo, XI, 14, 15.

⁵ ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ს. ჯანაშიას წიგნზე „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, „მიმოხილველი“, ტ. III, 1953, გვ. 294.

ციალურ წერილში ო. ლორთქიფანიძე¹. ასეთი დასკვნისათვის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ სხვა ანტიკურ წყაროთა მიხედვით (ტაციტუსი, პლუტარქე, ამიანე მარცელინე, „Monumentum Ancyranum“ და სხვ.) იბერიის მეფეები მთავარსარდლობენ კიდევაც და უცხო ხელისუფლებთან ურთიერთობაც სწორედ მათ გამგებლობაშია. ამ მხრივ დიონ კასიოსის ცნობებსაც ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა, რამდენადაც პომპეუსთან ბრძოლასაც, მასთან დიპლომატიურ ურთიერთობასაც და ზავის დადებასაც სწორედ არტაგი ხელმძღვანელობს.

აქვე უნდა შევხებოთ საკითხს იმის შესახებ, თუ რა პირობებით იყო დადებული ეს ზავი და რა ურთიერთდამოკიდებულება დამყარდა რომსა და იბერიას შორის პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ. ოფიციალურ რომაულ წყაროებში, ისევე როგორც წარწერებში, ეს ურთიერთობა რომაელი ხალხისადმი „მეგობრობით“ (φιλία, amicitia) აღინიშნება. ამის საფუძველზე ს. ჯანაშია სთვლიდა, რომ რომისა და იბერიის ურთიერთობა „სიმამაკიაში“ (συμμαχία), ე. ი. სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა, რომელსაც ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა².

უკანასკნელად ლ. ალექსიძემ რომის იმდროინდელი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტიტუტებისა და იბერიისა და რომის ურთიერთობის დეტალური ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად აჩვენა, რომ „სიმამაკია“, ამ ტერმინის სპეციალური გაგებით, რომის საერთაშორისო ურთიერთობისათვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი. რომისა და იბერიის ხელშეკრულება თავისი ტიპით განეკუთვნება ე. წ. Foedus sociale-ს, რომელიც გულისხმობს არა მარტო „ზავსა და მეგობრობას“, არამედ აქტიურ დახმარებასაც საერთო მტრებთან ბრძოლაში. ამასთან, ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს ხელშეკრულება განეკუთვნება Foedus sociale-ს მეორე სახესხვაობას – არათანასწორუფლებიან, ცალმხრივ კავშირებს (Foedera non aequa), როდესაც რომი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს თავის „მოკავშირის“ მიმართ³.

¹ ო. ლორთქიფანიძე, სტრაბონის ცნობა იბერიის მოსახლეობის პირველი გენოსის შესახებ, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. XVIII, № 3, 1957, გვ. 370–375.

² ს. ჯანაშია, „შრომები“, ტ. I, გვ. გვ. 182, 192.

³ ლ. ალექსიძე, К вопросу о международно-правовых взаимоотношениях Иберии (Картли) С Римом, „თსუ შრომები“, ტ. 65, 1957, გვ. 163–179.

სურამის უღელტეხილით და შემდეგ მდ. ფაზისს (ე. ი. ყვირილასა და მერე რიონს) ჩაჰყოლია¹.

9. კოლხეთი ამ ხანებისათვის ერთიან, მტკიცედ ცენტრალიზებულ სამეფოს აღარ წარმოადგენდა. მითრიდატე VI-ის დამარცხების შემდეგ იქ კიდევ უფრო მეტი არეულობა და დაშლილობა უნდა დაწყებულიყო დიონ კასიოსის ეს ცნობა მოწმობს, რომ კოლხეთში მოსახლე ცალკეული ტომები პომპეუსს ნებაყოფლობით არ ნებდებოდნენ და უკანასკნელს უხდება რომაელთათვის წვეული გზით – ხან დიპლომატიით, ხან კი ძალით ამ მხარის დამორჩილება. გ. მელიქიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ, აპიანეს ცნობით, პომპეუსის ტრიუმფში მიჰყავდათ კოლხთა ერთ-ერთი ბელადთაგანი (სკეპტუხი) ოლთაკე (Appian., Mithr., 117); ეს გარემოება გ. მელიქიშვილს მიაჩნია იმის საბუთად, რომ კოლხეთის ცენტრალურ ნაწილშიაც პომპეუსი იარაღით იკვლევდა გზას².

10. პომპეუსის კოლხეთიდან ალბანეთში ლაშქრობის მარშრუტი დამაჯერებლად აქვს განსაზღვრული ი. მანანდიანს: კოლხეთიდან ზეკარის უღელტეხილით შიდა სომხეთამდე, ხოლო აქედან კი მდ. აღსტაფის ხეობით მტკვრამდე³. ამრიგად პომპეუსი მტკვარზე, დაახლოებით აწინდელ ფოილოსთან უნდა გადასულიყო.

11. მდ. კამბისი – მცირე ალაზანი ანუ იორი, სახელწოდება: მომდინარეობს ქიზიყ-შირაქის ძველი სახელის – კამბეროვანის (კამბეჩანი) ბერძნული ტრანსკრიფციიდან – კამბისენე (Καμψισηνή)⁴.

12. დიონ კასიოსის აღწერილობა, რომლის მიხედვით მდ. მტკვარსა და იორს შორის ტყვე ალბანელთა რიცხვიდან აყვანილი-მეგზურები რომაელებს გზას ურევდნენ, და მისი სპეციალური მითითება იმაზე, რომ აქ პომპეუსს ალბანელები თავს არ დასხმიან, როგორც ჩვენ სხვა ადგილას გვქონდა აღნიშნული, იმას უნდა მოწმობდეს, რომ პომპეუსი უკვე მტკვარზე გადასვლისთანავე ალბანეთის ტერიტორიაზე შევიდა და ერთ-ერთი დამატებითი საბუთია ჩვენი დებულებისათვის, რომ იმ პერიოდში ალბანეთის ტერიტორია ვრცელდებოდა ნაწილობრივ იორის ქვემო დინების დასავლეთითაც⁵.

¹ А. Манандян, Круговой путь Помпея., გვ. 78.

² А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 330.

³ Я. А. Манандян. Круговой путь Помпея..., გვ. 78.

⁴ RE, Bd., გვ. 1809–1810; ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, 1924, № 1, გვ. 29–31.

⁵ ნ. ლომოური, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების..., გვ. 7–8.

13. მდ. აზანიტი გაიგივებულ უნდა იქნეს თანამედროვე ალაზანთან¹, რომელიც იმ დროს თითქმის მთლიანად ალბანეთში მოედინებოდა².

14. როგორც პლუტარქე გადმოგვცემს, ალბანელებს სარდლობდა არა მეფე ოროსე, არამედ მეფის ძმა კოსისი, რომელიც პომპეუსმა ორთაბრძოლაში მოკლა (Plut., Pomp., 86).

15. კორდუენე – ოლქი არმენიის სამხრეთით მდ. ტიგროსის ნაპირას. თავდაპირველად პართელთა ხელში იყო. ძვ. წ. 88–85

წლებში ტიგრან II დაიპყრო ეს ოლქი მეზობელ ადიაბენასა და ოსროენასთან ერთად³.

16. ლუციუს აფრანიუსი – პომპეუსის ერთ-ერთი მხედართმთავარი; მონაწილეობდა ჯერ კიდევ სერტორიუსის წინააღმდეგ ომში. პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის დროს დატოვებული იყო არმენიაში (Plut., Pomp., 34).

17. იგულისხმება ტიგრან II-ის ვაჟი ტიგრან მცირე.

18. აქ დიონ კასიოსი რაღაც შეცდომას უშვებს. როგორც დიონ კასიოსის ზევით მოტანილი აღწერილობა (წიგნი XXXVI, თავი 53) და აქვე ზევით კომენტირებული ადგილი მოწმობს, პომპეუსმა ტიგრან მცირე ჯერ კიდევ არმენიაში პირველად შესვლისას დააპატიმრა და რომში გაგზავნა, სადაც შემდეგ ტრიუმფში გაატარა. ამასვე ადასტურებენ აპიანე (Appian., 105) და პლუტარქე (Pomp., 33). აპიანეს და ვალერიუს მაქსიმეს ცნობების თანახმად, ტიგრან, მცირის აჯანყებამდე ტიგრან I) იძულებული გამხდარა თავისი ორი უფროსი ვაჟი ურჩობისათვის სიკვდილით დაესაჯა (Appian., Mithr., 104; Valer. Max., 9, 11). ძნელი საფიქრებელია, რომ აქ ტიგრან II მეოთხე ვაჟი არტავაზდი იგულისხმებოდეს, რომელმაც მამის შემდეგ არმენიის ტახტი დაიკავა არტავაზდ II სახელწოდებით. უფრო სარწმუნო ჩანს, რომ დიონ კასიოსი ამ შემთხვევაშიაც ტიგრან მცირეს გულისხმობდეს, მაგრამ აქ გადმოჰქონდეს შეცდომით მის მიერვე ზევით აღწერილი უფრო ადრე მომხდარი ამბავი. ამას უნდა ადასტურებდეს დიონ კასიოსის ცნობაც, რომ ფრატემ ტიგრანის ამ ვაჟს თავისი ქალი მიათხოვა როგორც წყაროებიდან ჩანს, ფრატეს თავისი ქალი სწორედ ტიგრან მცირისათვის მიუთხოვებია⁴.

¹ A. Forbiger, Handbuch der alten Geographie, II Bd., 1877. გვ. 448, Tomaschek, Abantos, BE. I Bd, გვ. 18.

² ბ. ლომოური, იბერიის (ქართლის) სამეფოს საზღვრების..., გვ. 7.

³ История армянского народа. გვ. 36.

⁴ Appian, Mithr, შეად. A. Gustschmid, Geschichte Irans... გვ. 83.

19. ლუციუს იულიუს კეისარი და გაიუს ნიგიდიუს ფიგულუსი – ძვ. წ. 64 წლის კონსულები.

20. ეს ცნობა: ადასტურებს სწორედ იმ ფაქტს, რომ 64 წლის ზამთარში პომპეუსი სირიაში იმყოფებოდა და არა არმენიაში.

20^ა. ამ ადგილას ხელნაწერებში ხარვეზია. ე. კერი თავის თარგმანში ავსებს ამ ხარვეზებს შემდეგნაირად: და არ სურს შემდგომი რისკი გასწიოს (and did not wish [to undertake further Risks])¹.

21. იბ. ზევით, კომენტარი XXXVI წიგნისათვის № 48.

22. იბ. ზევით კომენტარი XXXVI წიგნისათვის № 48.

23. სტრატონიკე – მითრიდატე VI-ის მეუღლე (Appian, Mithr., 107). პლუტარქე მას ხარჭას უწოდებს (Plut., Pomp., 36). როცა მითრიდატე პომპეუსისაგან დამარცხებული პონტოდან გარბოდა, მან მიატოვა სტრატონიკე, ამის სანაცვლოდ უკანასკნელმა ერთ-ერთი კოშკი თუ ციხე-სიმაგრე, რომელსაც არც ათიანე, არც

პლუტარქე არ ასახელებენ, ხოლო დიონ კასიუსი სინორეგას უწოდებს, პომპეუსს გადასცა, რის სანაცვლოდაც თავისი და თავისი ვაჟის ქსიფარეს უშიშრობა გამოსთხოვა რომაელებს. მაგრამ ქსიფარე, როგორც ჩანს, მითრიდატეს ხელში იმყოფებოდა, რადგან მან ის მოაკვლევინა².

წიგნი XLII

1. კლეოპატრა – ეგვიპტის დედოფალი. ძვ. წ. 51 წელს, მეფე პტოლემეაიოს ავლეტის გარდაცვალების შემდეგ, მისივე ანდერძით ეგვიპტის ტახტზე ავიდნენ მისი 16 წლის ქალიშვილი, კლეოპატრა, და ვაჟი, 10 წლის პტოლემეაიოს დიონისე, მალე კლეოპატრასა და მის ძმას, უფრო სწორედ დიონისეს მზრუნველ საჭურის პოთინეს შორის ბრძოლა დაიწყო, კლეოპატრა იძულებული შეიქმნა სირიაში გაქცეულიყო.

2. გაიუს იულიუს კეისარი – (100–44), გამოჩენილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, პირველი ტრიუმვირატის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ძვ. წ. 58–50 წლებში რომის ძალაუფლებას დაუმორჩილა გალიის ტომები. 49–48 წლებში ბრძოლას ეწევა პომპეუსის წინააღმდეგ ხელისუფლებისათვის. 48 წელს საბერძ-

¹ Dio's Roman History, by E. Cary, გვ. 111,

² Appian, Mithr, 107; Th. Reinach, Mithridates Eupator.... გვ. 398; M. Gelzer, Pompeius, გვ. 95–96..

112

ნეთში, ფარსალთან სასტიკად ამარცხებს პომპეუსს, რომელიც მომხრეებითურთ ეგვიპტეში გარბის; მაგრამ ეგვიპტის მთავრობამ პოთინეს მეთაურობით არ ჩასთვალა მიზანშეწონილად დამარცხებული პომპეუსის მხარდაჭერა და იგი ღალატით იქნა მოკლული. პომპეუსის ფეხდაფეხ ეგვიპტეში ჩადის. იულიუს კეისარიც; იგი აქტიურად ერევა ეგვიპტის სამეფო კარზე მიმდინარე ბრძოლაში და მხარს უჭერს კლეოპატრას, რომელსაც ტახტს უბრუნებს¹.

3. ფარნაკე – მითრიდატე ეგვიპტორის ვაჟი. ძვ. წ. 63 წელს მან აჯანყება დაიწყო მამის წინააღმდეგ ბოსფორში, მას მიემხრო ბოსფორის ქალაქები ფანაგორია, ქერსონესი, თეოდოსია და ნიმიფეა. მითრიდატე VI-მ თავი მოიკლა. პომპეუსმა ფარნაკე მეფედ დაამტკიცა ოღონდ მარტო ბოსფორისა და არა მითრიდატეს მთელი საბრძანებლისა².

4. კიმერიის ბოსფორი – აწინდელი ყირიმი და ტამანის ნახევარკუნძული (იხ. შენიშვნა № 3 XXXVI წიგნისათვის).

5. მითრიდატე ეგვიპტორის დამარცხების შემდეგ პომპეუსმა კოლხეთის მმართველად დანიშნა არისტარხე. ზოგიერთი ანტიკური მწერლის ცნობით, არისტარხე მეფედ იყო დანიშნული (Eutroyp., VI, 14; Phestus, 353), მაგრამ, რამდენადაც მისი სახელით მოჭრილ ფულზე იგი ამ ტიტულით არ არის მოხსენებული, ევტროპიუსისა და სხვათა ეს ცნობა საეჭვო ჩანს³. კოლხეთი მართალია ამ დროს რომის პროვინციალურ მმართველობაში არ იყო უშუა-

ლოდ შეყვანილი, მაგრამ რომის მიმართ ვასალურ დამოკიდებულე-
ბაში იმყოფებოდა.

6. ამ შემთხვევაშიაც უდავოდ მცირე არმენია იგულისხმება.

7. დ ე ი ო ტ ა რ ე – ერთერთი გალატური ტომის – ტოლისტო-
ბოგების ტეტრარქოსი. ეხმარება რომაელებს ჯერ კიდევ ლუკულუ-
სის მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლის დროს⁴. მითრიდატეზე
გამარჯვების შემდეგ პომპეუსმა მისცა მას ძველი სამფლობელოს
გარდა პაფლაგონიის ნაწილი, მდ. ჰალისსა და ქ. ამისოს შორის

¹ H. Y. S a n d e r s . The so-called first triumvirate, „Memoires of
American Academy in Romre“, X, 1932, p. 55; Ed. M e y e r , Caesars Mo-
narchie und das Principat des Pompejus, Stuttgart-Berlin, 1922,
P. C. B r a n d e s , Julius Caesar, I-II Bd., Berlin, 1925; H. A. M ა შ კ ი ნ ,
Принципат Августа, М.-Л., 1949 გვ. 18-74; ა . ა ლ ე ქ ს ი შ ვ ი ლ ი , გაიუს
იულიუს ცეზარი, თბილისი, 1961.

² Г. Ф. Г а й д у к е в и ч , Боспорское нарство, გვ. 311.

³ Д. Г. К а п а н а д з е , Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 42.

⁴ Т. М о м м з е н . История Рима, т. III, გვ. 50.

8. დიონ კასიოსი

113

მდებარე ოლქი, ფარნაკიისა და ტრაპეზუნტის ოლქები კოლხე-
თამდე და მცირე არმენიამდე (A p p i a n ., Mithr., 114; S t r a b o ,
XII, 3, 18). ევტროპიუსის ცნობით რომის სენატმა მას მცირე
არმენიაც მიაკუთვნა (E u t r o p ., VI, 14). სამოქალაქო ომში იგი
პომპეუსის მხარეს იყო და ფარსალის ბრძოლაში მასთან ერთად
იბრძოდა, მაგრამ შემდეგ კეისარს მიემხრო.

8. როგორც ს ტ რ ა ბ ო ნ ი მოგვითხრობს, პომპეუსმა მითრიდა-
ტეს დამარცხების შემდეგ „არმენიასთან და კოლხიდის ირგვლივ
მდებარე ადგილები თანამებრძოლ დინასტიებს გაუნაწილა, ხოლო
დანარჩენი ტერიტორია დაპყრო თერთმეტ სახელმწიფოდ და ბითვი-
ნიას შეუერთა, ისე რომ ორი ეპარქიიდან შექმნა ერთი“ (S t r a b o ,
XII, 3, 1); პომპეუსმა ერთ პროვინციად გააერთიანა ყოფილი ბით-
ვინიის სამეფო და მითრიდატიდების სამემკვიდრეოს დასავლეთი
ოლქები; ასე შეიქმნა ბითვინია-პონტოს პროვინცია, რომლის შემად-
გენლობაში შევიდნენ აგრეთვე პონტოს ქალაქები სინოპი და ამისო¹.

9. გ ნ ე ი უ ს დ ო მ ი ც ი უ ს კ ა ლ ვ ი ნ უ ს ი – ძვ. წ. 53 წ-ის
კონსული. კეისარის ერთერთი მხედართმთავარი; ფარსალის ბრძო-
ლაში კეისარის ჯარების ცენტრს სარდლობდა; ძვ. წ. 47 წ. აზიის
პროვინციის მმართველი.

10. ა რ ი ო ბ ა რ ზ ა ნ ე – კაპადოკიის მეფე. აპიანეს ცნობით,
პომპეუსმა ის კაპადოკიის მეფედ დასტოვა და შეუერთა კიდევ
სოფენა და კორდუენა, რომლებიც არმენიას წაართვა. (A p p i a n .,
Mithr., 105).

11. ნ ი კ ო პ ო ლ ი ს ი – იხ. ზევით შენიშვნა № 44 XXXVI წიგ-
ნისათვის.

12. ა მ ი ს ო – ძველი ბერძნული ახალშენი, დაარსებული დაახ-
ლოვებით ძვ. წ. VI საუკუნეში, როგორც ფიქრობენ ფოკეელი
კოლონისტების მიერ². მდებარეობდა აწინდელი ქ. სამსუნის ადგი-
ლას, ე. წ. ყარა-სამსუნის პლატოზე³. ამისო უკვე პონტოს პირ-

ველი მეფეების მითრიდატე კტისტესის და არიოზაოზანეს დროს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა⁴.

13. ასანდრე – ფარნაკეს ერთ-ერთი მხედართმთავარი როდესაც ფარნაკემ მცირე აზიაში ლაშქრობა დაიწყო, მან თავის მოად-

¹ М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, გვ. 292.

² М. И. Максимова, Античные города..., გვ. 65.

³ С. Ritter, Erdkunde, Bd. IX, 1859, გვ. 805; Р. X. Лепер. Экскурсия в Самсун, ИРАИК. XIII, 1908, გვ. 312–325,

⁴ М. И. Максимова. Античные города.... გვ. 176.

114

გილედ სწორედ ასანდრი დასტოვა ბოსფორში. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს მას ბოსფორის ძველი დინასტიის – სპარტოკიდების ჩამომავლად¹, სხვები კი ბოსფორელ ბერძნად². როგორც კი ფარნაკე მცირე აზიაში შეიჭრა, ასანდრემ აჯანყება მოაწყო და ხელთ იგდო ბოსფორის სამეფოს ტახტი, რომელიც ძვ. წ. 17 წლამდე შეინარჩუნა³.

14. ზელა – ქალაქი პონტოში, გაძიურას მახლობლად, აწინდელი ზილეჰი.

15. პტოლემაიოს დიონისე – კლეოპატრას ძმა და თანამოსაყდრე. დაიღუპა ძვ. წ. 47 წ. იულიუს კეისარის ჯართან ეგვიპტელთა ბრძოლის დროს მდ. ნილოსის ნაპირას⁴.

16. ეს არის ის ცნობილი ბრძოლა, რომლის შესახებ კეისარი რომის სენატს ატყობინებდა სამი სიტყვით: „veni vidi vici“ (Sueton., Jul., 8, 72). დიონ კასიუსის უკანასკნელი სიტყვები ფაქტიურად ამავე გამოთქმის გამეორებაა.

17. მითრიდატე პერგამელი – მითრიდატე ევპატორის შთამომავალი; დიდი დახმარება გაუწია იულიუს კეისარს ალექსანდრიაში, სადაც მიუყვანა აზიიდან დამხმარე ძალა. კეისარის უკანასკნელი დავალება მან ვერ შეასრულა და დაიღუპა ასანდრთან ბრძოლაში.

წიგნი XLIX

1. ლუციუს გელიუს პუბლიკოლა და მარკუს კოკეიუს ნერვა – ძვ. წ. 36 წლის კონსულები.

2. პუბლიუს კანიდიუს კრასუსი – მეორე ტრიუმვირატის (ძვ. წ. 43–36 წწ.) წევრის, იულიუს კეისარის ახლო მეგობრის მარკუს ანტონიუსის ერთ-ერთი მხედართმთავარი, რომელიც ძვ. წ. 36 წ. არმენიაში იმყოფებოდა.

3. მეფე ფარნაბაზე – სხვა წყაროებისათვის უცნობი იბერიის მეფე. დიონ კასიუსის ეს ცნობა ზუსტი თარიღით გვაძლევს ანტიკური იბერიის (ქართლის) კიდევ ერთი მეფის სახელს.

ეს ფრაგმენტი განეკუთვნება მარკუს ანტონიუსის პართიაზე ლაშქრობის ხანას. ძვ. წ. 36 წლის ზაფხულის მიწურულს, თუ

¹ Е. С. Голубцова, Северное причерноморье и Рим на рубеже н. э.,

М. 1951, გვ. 76.

² Г. Ф. Га й д у к о в и ч , Боспорское царство, გვ. 312.

³ Ю. Ю. Ма р т и , Неопубликованные археологические памятники, ВДИ., 1941, № 1, გვ. 211.

⁴ А н о б у м ., Bell. Alex.. 31.

115

შემოდგომაზე, ანტონიუსმა დაიწყო პართიის წინააღმდეგ ლაშქრობა, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, ლაშქრობა უშედეგო აღმოჩნდა; ანტონიუსი იძულებული გახდა დიდი ზარალით უკან დაეხია პართიიდან. ამავე დროს არმენიის მეფემ არტავაზდ II (ძვ. წ. 55–34) დაინახა, რომ რომაელების საქმეები ცუდად არის, იხელთა დრო, თავისი ლაშქრით მიატოვა თავისი „სიუზერენი“ და არმენიაში დაბრუნდა¹. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კანიდიუს კრასუსის ლაშქრობა იბერიასა და ალბანეთში წინ უსწრებდა ანტონიუსის მიერ პართიის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას და მიზნად ისახავდა ზურგის წინასწარ გამაგრებას². უნდა ვიფიქროთ, რომ იბერები და ალბანელები პომპეუსთან დადებულ შეთანხმებას „მეგობრობისა და კავშირის შესახებ“ მაინცადამაინც არ იცავდნენ და პირიქით ერთგვარ ანტირომაულ ტენდენციებსაც ამჟღავნებდნენ. ამას შესაძლოა ადასტურებდეს მოსე ხორენელის ერთი ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ არტავაზდის მეფობაში სომხებთან ერთად იბერებმა და ალბანელებმა ილაშქრეს მესოპოტამიაში და განდევნეს აქედან რომაული ჯარები³. ასეთ პირობებში გასაგებია, რომ პართიაზე ლაშქრობის წინ ანტონიუსმა საჭიროდ დაინახა იარაღით აღედგინა ამიერკავკასიის ქვეყნებში „რომაელი ხალხისადმი მეგობრობა“.

წიგნი LVIII

1. ა რ ტ ა ბ ა ნ ე – პართიის მეფე არტაბან III, გამეფდა ახ. წ. 11 წ., გარდაიცვალა ახ. წ. 40 წ. ჩამომავლობით დაკების სკვითური ტომიდან; ენერგიული პიროვნება და რომაელების თავგამოდებული მოწინააღმდეგე.

2. ა რ ტ ა ქ ს ე – ანუ არტაშეს III; მისი გამეფება შემდეგ გარემოებებში მოხდა: ძვ. წ. 33 წ. არმენიის მეფის არტავაზდ II ვაჟი მეფედ გამოაცხადეს ანტონიუსის მიერ არტავაზდის დატყვევების მერე. ძვ. წ. 20 წ., ოქტავიანე-ავგუსტუსის არმენიაში ლაშქრობისას, არტაშეს II მოკლულ იქნა პრორომაული პარტიის მიერ⁴. მის მერე არმენიის ტახტზე რომაელების მიერ აყვანილ იქნა ტიგრან III,

¹ P l u t ., Anton., 34: Истории Армянского народа. გვ. 46–47.

² Т. М о м м з е н , История Рима, т, V, М., 1949, გვ. 381–334; Г. А. М е - л и к и ш в и л и , К истории древней Грузии, გვ. 335–336.

³ М о н с е й Х о р е н с к и й , История Армении, пер. с армянского и объясния Н. Эмин, М., 1858, გვ. 97–98.

⁴ История армянского народа. გვ. 48.

არტავაზდ III მეორე ვაჟი, რომელიც ეგვიპტის ოკუპაციისას ავგუსტუსმა რომში წაიყვანა¹. ეს ფაქტი საგანგებოდ არის აღნიშნული ავგუსტუსის „Res gestae“-ში². რომაული გავლენა არმენიაში ხანგრძლივი და მყარი არ აღმოჩნდა. როდესაც ტიგრან III დაილუპა მთიელ ტომებთან ბრძოლაში, სომხებმა თვითონ აიყვანეს ტახტზე. ტიგრან IV და მისი და ერატო, რომლებიც ვ. გარტჰაუზენის აზრით არტაშეს II-ის შვილები იყვნენ³. მაგრამ რომი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა არმენიის დაკარგვას და ძვ. წ. 1 წ. არმენიისაკენ დაიძრა ახალი არმია ავგუსტუსის შვილიშვილის გაიუს კეისარის მეთაურობით. ამ დროისათვის ტიგრან IV ცოცხალი აღარ იყო, ხოლო, მისი და ერატო იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე. არმენიის მეფედ ინიშნება მიდიელი უფლისწული არიოზარზანი, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი არტავაზდი⁴. ახ. წ. პირველ წლებში არმენიაში კვლავ რომაული ორიენტაციის მეფე ტიგრან V ზის⁵. მდგომარეობა შეიცვალა არტაბან III პართიაში გამეფების შემდეგ. მან ჯერ პართიიდან განდევნა რომის მომხრე ვონონი, შემდეგ-კი არმენიიდანაც. ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ იმპერიაში დაწყებული მარტოობამ არ მისცა საშუალება ახალ მთავრობას (იმპერატორ ტიბერიუსს) დაუყოვნებლივ მიეღო ზომები და მხოლოდ ახ. წ. 18 წელს რომმა მოახერხა არმენიის ტახტზე ისევ თავისი კანდიდატის – პონტოს მეფის პოლემონის ვაჟის ზენონის აყვანა, რომელიც არმენიაში არტაშესის სახელით იყო ცნობილი და ახ. წ. 34 წლამდე მეფობდა⁶. სწორედ ამ ზენონ-არტაშესის სიკვდილზე ლაპარაკობს ამ ფრაგმენტში დიონ კასიუსი.

¹ P. Asdourian, Die politischen Beziehungen zwischen Armenien und Rom von 190 v. Chr bis 428 n. Chr, „Dissert. Freiberg“ 1912, გვ. 67–69; Anderson CAH, X, გვ. 263–264.

² Res gestae divi Augusti, § 27.

³ V. Gardthausen, Augustus und seine Zeit, I Bd., Teil, Leipzig, 1891, გვ. 1131; II Bd., L Teil, Leipzig. 1896, გვ. 742-745.

⁴ Res gestae, § 27: V. Dury, Geschichte des römischen Kaiserreichs von der Schlucht bei Actium und der Eroberung Aegyptus bis zu dem Einbruch der Barbaren, I Bd., Leipzig. 1885, გვ. 230.

⁵ Res gestae, § 27; Vell. Pat, LI, 101).

⁶ G. Walsler, Rom, das Reich und die fremden Völker in der Geschichtsschreibung der frühen Kaiserzeit, Baden-Baden, 1951, გვ. 140; N. C. Debevoise, A political history of Parthia. Chicago, 1939, გვ. 155.

3. არსაკე – პართიის მეფის არტაბან III ვაჟი არშაკი, რომელიც არტაბანმა ზენონ-არტაშესის სიკვდილის მერე არმენიის სამეფო ტახტზე დასვა¹.

4. იმპერატორი ტიბერიუსი (14–37 წწ.) ამ დროს ვ. კაბრიზე იმყოფებოდა, განმარტოვებულ ცხოვრებას ეწეოდა და გარეგნულად არ ერეოდა პოლიტიკურ საქმიანობაში, მაგრამ სინამდვი-

ლუმი განაგრძობდა რომის მთელი პოლიტიკის ხელმძღვანელობას. თავდაბირველად ტიბერიუსმა არმენიაში არშაკ არტაბანის-ძის გამეფებას თითქოს ყურადღება არ მიაქცია და ზომები მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც არტაბანმა აშკარა მუქარა შეუთვალა, რომ შეიჭრებოდა რომის აზიულ პროვინციებში (T a c i t ., Ann., VI, 31)- მაგრამ რეალურად მდგომარეობა სხვაგვარი უნდა ყოფილიყო: ტიბერიუსი აღმოსავლეთში გზავნის რომაულ ლეგიონებს ლუციუს გიტელიუსის სარდლობით, მაგრამ მთავარ იმედს ის ამყარებს თვით პართიაში არტაბანეს საწინააღმდეგო მოძრაობაზე. სწორედ ამ დროს ბართელ დიდებულთა ნაწილი, უკმაყოფილო არტაბან III-ის მმართველობით, ფარულად სთხოვს იმპერატორს ახალ კანდიდატს სამეფო ტახტზე (T a c i t ., Ann., VI, 81). ისე რომ ამ შემთხვევაში დაყოვნება ტიბერიუსის მხრიდან ინერტობით კი არ აიხსნებოდა, არამედ პართიაში შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის ლოდინით.

5. ფ რ ა ა ტ ე – ფრაატეს ვაჟი, პართიის მეფის ფრაატ IV-ის ძე. წ. 37–2) ვაჟი, რომელიც მძევლად იყო რომში გაგზავნილი თვით ფრაატ IV -ის მიერ (T a c i t ., Ann., 32, 1). ფრაატ ფრაატის-ძე ექსპედიციის დასაწყისშივე გარდაიცვალა სირიაში.

6. ტ ი რ ი დ ა ტ ე – ფრაატ IV-ის შვილიშვილი, აგრეთვე რომში მძევლად მყოფი. ტირიდატე ვიტელიუსთან ერთად გადავიდა ევფრატზე და პართიაში შევიდა, სადაც ამ დროს უკვე აჯანყება მოხდა და ტირიდატემ მოკლე ხნით დაიკავა სამეფო ტახტი².

7. ი ბ ე რ ი ის მეფის ფარსმანისა და მისი ძმის მითრიდატეს მონაწილეობა არმენიისათვის ბრძოლაში უფრო, დაწვრილებით არის მოთხრობილი ტაციტუსის „ანალებში“. განსხვავებით დიონ კასიო-ხისაგან, ტაციტუსი აღნიშნავს, რომ ტიბერიუსმა უბრძანა არმენიაში შეჭრა მეფე ფარსმანის ძმას მითრიდატეს, რომელსაც ფარს-

¹ Т. М о м м з е н , История Рима, т. V, гл. 340–341.

² ეს ამბები დაწვრილებით აქვს მოთხრობილი და განხილული თ. მ. მ. ზ ე ნ ს (История Рима, V, гл. 342–343), გ. ვ ა ლ ზ ე რ ს (Rom, das Reich und die fremden Volker..., გვ. 146–147), ი. გ უ ტ შ მ ი დ ს (Geschichte Irans..., გვ. 120–122) და სხვ.

მანი დაეხმარა (T a c i t ., Ann., 32–38) და არ ახსენებს ამათ მამას მითრიდატე იბერიელს, რომელსაც, კასიოსის ცნობით, დაავალა იმპერატორმა არმენიის დაკავება. ტაციტუსი აღნიშნულ ამბებთან უფრო ახლოს იდგა ქრონოლოგიურად და საერთოდაც ის უფრო სანდო წყაროდ ითვლება. ამიტომ მისი ცნობები უფრო დამაჯერებელი ჩანს, დიონ კასიოსის ცნობა კი იმით არის საყურადღებო, რომ ფარსმან I მამის, – მითრიდატეს სახელს გვამცნობს. დიონ კასიუსის ეს ფრაგმენტი, ისევე როგორც ტაციტუსის აღწერილობა, მიუთითებს იბერიის სამეფოს გაძლიერებაზე აღებულ ხანაში და მისი მმართველების მისწრაფებაზე სამხრეთით – არმენიისაკენ განავრცონ თავისი ძალაუფლება. როგორც სამართლიანად აღნიშნავს მ. ინაძე, „იგი (ტიბერიუსი, ნ. ლ.) მოხერხებულად იყენებს გაძლიერებული იბერიის მისწრაფებებს, მიმართულს თავის სამხრეთ მეზობელ არმენიაზე გავლენის გავრცელებისა და ტერიტორიული

წიგნი LX

1. კლავდიუსი – ტიბერიუს კლავდიუს კეისარი – რომის იმპერატორი 41–54 წლებში.

2. გაიუსი–გაიუს კეისარი, მეტსახელად კალიგულა (Caligula), რაც ნიშნავს „პატარა ჩექმას“; შეერქვა ბავშვობაში, რადგან თავის მამასთან – გერმანიკესთან რეინის არმიის სამხედრო ბანაკებში იზრდებოდა და პატარა სამხედრო ფეხსაცმელს ატარებდა

3. ამ ფრაგმენტში მოთხრობილი ფაქტი მითრიდატე იბერიელის (ფარსმან I ძმა) გაიუს კალიგულას მიერ დაპატიმრებისა და შემდეგ კლავდიუსის მიერ განთავისუფლების შესახებ საკმაოდ ინტერესს იწვევს, ამ ამბის შესახებ მოკლე ცნობა მოეპოვება ტაციტუსს და აგრეთვე სენეკასაც, ტაციტუსი გადმოგვცემს: „იმავ ხანებში მითრიდატე, რომელიც, როგორც By აღნიშნული მქონდა. არმენიას მართავდა და გაიუს კეისარის ბრძანებით ბოროკილდადე-

¹ ამ ამბების შესახებ დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 168–171; I. Моммзен, История Рима, т. V, გვ. 340–346; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 338 – 343; ნ. ლომოური, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში „თსუ შრომები“, ტ. 77, 1959, გვ. 125–130.

² მ. ი ნ ა ძ ე, იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს-ის პირველ ნახევარში, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. I, 1955, გვ. 314.

ბული იქნა, კლავდიუსის რჩევით დაბრუნდა თავის სამეფოში დაიმედებული ფარსმანის დახმარებაზე“ (Tacit., Ann., XI, 8). ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ტაციტუსს ადრე მოთხრობილი ჰქონია მითრიდატეს დატყვევების შესახებ კალიგულას მიერ, მაგრამ „ანალების“ ეს ნაწილი ამჟამად დაკარგულია. სენეკას ცნობაშიაც მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ მითრიდატე გაიუსის დროს დაპატიმრებული იყო (Seneca, Dial., IX, 11. 12), ამრიგად, ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ, რომ გაიუს კალიგულამ მითრიდატე რაღაცა მიზეზით დააპატიმრა, ხოლო შემდეგ კლავდიუსმა იგი განთავისუფლა და კვლავ არმენიაში გამოისტუმრა. სამეცნიერო ლიტერატურაში მითრიდატეს დაპატიმრებას ზოგი კალიგულას ტიბერიუსისადმი შურიანობით ხსნის¹, ზოგი კალიგულას ბრინული პოლიტიკით: იგი მიხვდა რომ არმენიის დაპყრობა შეუძლებელი იყო და ნებაყოფლობით დაუთმო იგი პართიას², უკანასკნელად გ. მელიქიშვილმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ მითრიდატეს დასჯის მიზეზი პართიასთან მისი დაკავშირება უნდა ყოფილიყო, რაც არმენიაში მის მდგომარეობას განამტკიცებდა და განთავისუფლებდა მას რომისა და იბერიის მიმართ ორმაგი დამოკიდებულებისაგან³.

ჩვენ საქმის ვითარება სხვაგვარად წარმოგვიდგება. პირველ რიგში ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ტაციტუსის გადმოცემით, რომში მყოფ მითრიდატეს მისი ძმა ფარს-

მანი ატყობინებდა პართიაში არეულობის შესახებ და ეს მიაჩნდა ხელსაყრელ გარემოებად არმენიაში მითრიდატეს კვლავ გამეფებისათვის; ტაციტუსი წერს: „იბერიის ეს მეფე (ფარსმანი – ნ. ლ.), მითრიდატეს მძა, ატყობინებდა მას (მითრიდატეს – ნ. ლ.) რომ პართიაში შინაბრძოლები წარმოებს და უმაღლესი ხელისუფლების მერყევობის დროს უფრო ნაკლები მნიშვნელობის საქმეები უყურადღებოდ არის მიტოვებული“ (T a c i t ., Ann., XI, 8). ცხადია ამდენად, რომ მითრიდატესათვის პართია ისეთ მოქიშპეს წარმოადგენდა, რომელიც მას არმენიაში გამეფებას უშლიდა. ამას გარდა მითრიდატეს პროპართული ორიენტაციის შემთხვევაში საეჭვოა კლავდიუსს იგი არმენიაში დაებრუნებინა და ამით საშიშროება შეექმნა თავისი გავლენისათვის ამ ქვეყანაში. ჩვენის აზრით თავისთავადაც ძნელი წარმოსადგენია პართიასთან მითრიდატეს კავ-

¹ Т. М о м м з е н , История Рима, т. V. გვ. 344.

² H. Willrieh , Kaligula, „Klio“, III Bd., 1903, Heft 2, გვ. 201–302.

³ Г. А. М е л и к и щ в и л и . К истории древней Грузии. გვ. 340.

120

შირი: პართია ყოველთვის ცდილობს არმენიაში თავისი სამეფოსახლის წარმომადგენელი ჰყოლოდა და მითრიდატეს არმენიაში მეფობა მისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო. მეორეს მხრივ, მითრიდატეს ძალაუფლება არმენიაში მთლიანად მეზობელი იბერიისა და რომის მხარდაჭერაზე იყო დამყარებული, ამიტომ საეჭვოა მითრიდატეს გაეხედა მათთან ურთიერთობის სრული გაწყვეტა და პართიასთან კავშირის დამყარება. ვფიქრობთ, მითრიდატე არასოდეს არ ამბობს უარს პრორომაულ ორიენტაციაზე, მაგრამ ცალკე შემთხვევებში მაინც ცდილობს გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს და ყოველთვის არ უწევს ანგარიშს რომის პოლიტიკურ ინტერესებს, ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს მიდრეკილება გახდა მიზეზი თვითნება და დესპოტური კალიგულას რისხვისა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ამბები, რომლებიც იმ ხანად პართიაში ხდება და ამ ამბებისადმი რომის იმპერატორის დამოკიდებულება. როდესაც 37 წ. ტიბერიუსი გარდაიცვალა და საიმპერატორო ტახტზე კალიგულა ავიდა, კეისარის შეცვლით ისარგებლა არტაბან III და თავისი ძალების თავმოყრა დაიწყო ევფრატთან სირიაში შეჭრისათვის. მაგრამ ლუციუს ვიტელიუსმა სწრაფად მიიყვანა რომაული ლეგიონები ევფრატთან და ამ ლეგიონების ძალაზე დამყარებული მოხერხებული დიპლომატიით არა მარტო ააციდინა რომის აღმოსავლურ პროვინციებს პართელთა შემოსევა, არამედ დაიყოლია არტაბანი, რომ მას ეცნო რომის უზენაესობა (C a s s . D i o , LIX, 27.5; S u e t o n ., Calig., 19).

ამრიგად პართიასთან საკმაოდ მყარი მშვიდობიანი ურთიერთობა იქნა მიღწეული, რასაც კალიგულა თავისი აოლიტიკის მნიშვნელოვან წარმატებად თვლიდა¹. მაგრამ ეს მშვიდობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. 39 წ. არტაბან III ტახტიდან იქნა ჩამოგდებული. ამის გამო, დიონ კასიუსის ცნობით, კალიგულას ვიტელიუსი რომში გამოუძახებია და ის ძლივს გადარჩა მკაცრ სასჯელს (C a s s . D i o ,

LIX, 27, 4). მართალია დიონ კასიუსი არაფერს ლაპარაკობს კონკრეტულად რა კავშირი ჰქონდა პართიაში მომხდარ გადატრიალებას ვიტელიუსის მიმართ იმპერატორის რისხვასთან, მაგრამ, ჩვენის აზრით, სამართლიანად ვარაუდობს ჰ. ვილრიხი, რომ კალიგულა უკმაყოფილო იყო ვიტელიუსით, რადგან ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, რაღაც როლი ითამაშა არტაბანის წინააღმდეგ მომხდარ აჯან-

¹ K. H. Ziegler, Die Beziehungen zwischen Rom und Partherreich, გვ. 63.

121

ყებაში¹. კალიგულა პართიაში ახალი ხელისუფლის გამეფებას ალბათ რომისათვის არახელსაყრელად თვლიდა: არტაბანთან დამყარებული იყო გარკვეული ურთიერთობა, დადებული იყო შეთანხმება, რომში მისი მძევლები იმყოფებოდნენ; ხოლო ახალი ხელისუფალი რა პოზიციას დაიჭერდა რომის მიმართ ჯერ კიდევ უცნობი იყო. ერთი სიტყვით, გადატრიალება პართიაში ახალ სირთულეებს უქმნიდა რომს აღმოსავლეთში. ჩვენ გვებადება აზრი, ხომ არ იყო ამავე მოვლენებთან დაკავშირებული არმენიის მეფის მითრიდატეს დასჯაც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არმენიის მეფე, დაინტერესებული პართიის სისუსტით, ხელს უწყობდა არტაბანის საწინააღმდეგო აჯანყებას და ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ერთერთი მიზეზი კალიგულას უკმაყოფილებისა. აღნიშნულ მოსაზრებას შესაძლოა მხარს უჭერდეს კიდევ ერთი გარემოება: როგორც იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემს, არტაბან III კიდევ ერთხელ ახერხებს ტახტის დაბრუნებას ადიაბენის მეფის იზატის დახმარებით, რისთვისაც არტაბანს მისთვის არმენიის ნაწილი მიუცია (Jos. Fl., Antiqu. Jud., XX, 54). ცხადია, არმენიაში რომ ძველებურად მითრიდატე ყოფილიყო მეფედ, არტაბანი ვერ მისცემდა იზატს არმენიის ნაწილს. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროისათვის, როდესაც არტაბანმა დაიბრუნა მეფობა, მითრიდატე უკვე არმენიიდან რომს იყო გაწვეული. ისე რომ ქრონოლოგიურადაც მითრიდატეს რომში გაწვევა ემთხვევა აღნიშნულ მოვლენებს პართიაში.

მაგრამ ურთიერთობა კალიგულასა და მითრიდატეს შორის, როგორც ჩანს, თავიდანვე დაძაბული უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ზენონ-არტაშესის არმენიაში გამეფების დროიდან ე. წ. მცირე არმენია სომხეთის მეფეთა სამფლობელოში შედიოდა². გამეფებისთანავე კალიგულამ მცირე არმენია გადასცა თრაკიის მეფის კოტის I ვაჟს კოტისს, რომელიც სიყრმიდანვე მისი მეგობარი იყო და ასეთად დარჩა ბოლომდე (Sueton., Calig., 20). ცხადია, მითრიდატე არ შეიძლებოდა კმაყოფილი ყოფილიყო მცირე არმენიის დაკარგვით. მეორეს მხრივ, კოტისი, რომელიც დედით პოლემონ პონტოელის შთამომავალი და ამდენად ზენონ არტაშესის ნათესავი იყო, საფიქრებელია არმენიას თავის კანონიერთო სამფლობელოდ თვლიდა. ყოველივე ამას უნდა სერიოზულად დაეძაბა ურთიერთობა არმენიისა და მცირე არმენიის მფლობელთა შორის და კოტისს,

¹ H. Willrich, Kaligula, გვ. 303; N. C. Debevois, A political history of Parthia, გვ. 156.

² J. M a v q u a r d t , Römische Staatsverwaltung, I, 1881, გვ. 369.

რომელიც საკმაო გავლენით სარგებლობდა კალიგულაზე, შეეძლო უკანასკნელი აემხედრებინა მითრიდატეს წინააღმდეგ. ასეთ დაძაბულ ვითარებაში საკმარისი იყო მითრიდატეს მცირე დანაშაულიც, რომ იგი დასჯილი ყოფილიყო კეისრის მიერ; ხოლო, რომ კეისარი პართიაში მომხდარ არეულობაში ჩარევას დანაშაულად თვლიდა, ამას ადასტურებს ვიტელიუსის მიმართ იმპერატორის მოქმედება.

წიგნი ILXII

1. ზევით ლაპარაკია ნერონის მიერ პროვინციებში გადასახადების აკრებაზე.

ნ ე რ ო ნ ი – კლავდიუსის მეორე ცოლის აგრიპინას ვაჟი პირველი ქმრისაგან. კლავდიუსმა იგი იშვილა და თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. მან მიიღო სახელი ნერონ კლავდიუს კეისრის, რომის რმპერატორად იყო 54–68 წლებში.

2. კ ო რ ბ უ ლ ო ნ ი – გ ნ ე ი უ ს დ ო მ ი ც ი უ ს კ ო რ ბ უ ლ ო ნ ი , იმპერატორ კალიგულას სიმე, შემდეგ კლავდიუსის დროს ქვემო გერმანიის ლეგატი. ნიჭიერი სტრატეგი, ენერგიული და გამოცდილი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი.

3. ვ ო ლ ო გ ე ზ ი – ვ ო ლ ო გ ე ზ (ვალარშ) I, პართიის მეფე 51–88 წლებში.

4. ტ ი რ ი დ ა ტ ე – ვ ო ლ ო გ ე ზ I ძმა. ა რო გ ო რ ც აღნიშნული გვქონდა, იმპერატორმა კლავდიუსმა გამეფებისთანავე გაანთავისუფლა მითრიდატე და კვლავ არმენიაში დააბრუნა. მაგრამ მალე ფარსმან იბერიელი და მისი ვაჟი რადამისტი ღალატით კლავენ მითრიდატეს და არმენიაში დროებით რადამისტი გამეფდა. რადამისტის ავანტიურამ ის შედეგი გამოიღო, რომ ვოლოგეზ I შესძლო არმენიის დაკავება და ისარგებლა რა რადამისტის მკაცრი მმართველობით უკმაყოფილო არმენიელთა განწყობილებით, თავისი ძმა ტირიდატი აიყვანა ტახტზე¹. ამრიგად, კლავდიუსის სიცოცხლის ბოლო წელს არმენია რომისათვის კვლავ დაკარგული აღმოჩნდა. 54 წ. ახალმა ხელისუფლებამ, ნერონის სახით, არმენიის უკან დასაბრუნებლად ლეგიონები დასძრა კორბულონის მეთაურობით; კორბულონი 58 წ. შევიდა არმენიაში².

¹ იბ, T a c i t , Ann.. VI, 32–32 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 171; Г. А. М е л и к и ш в и л и , К истории древней Грузии. გვ. 343.

² E. E g l i , Feldzüge in Armenien von 41–63 n. Chr. გვ. 1–3; 345–346; Т. М о м м з е й , История Рима, т. V, გვ. 346–350.

5. ა რ ტ ა ქ ს ა ტ ა – იბ, ზევით, შენიშვნა № 45 XXXVI წიგნისათვის.

6. ტ ი გ ო ა ნ ა კ ე რ ტ ა – იბ, ზევით, შენიშვნა № 5 XXXVI წიგნისათვის.

7. ა დ ი ა ბ ე ნ ა – პართიის დასავლეთით, მდ. ტიგროსის ზემო წელზე თანამედროვე მოსულის რაიონში მდებარე მხარე.

8. ტ ი გ რ ა ნ ი – მამის მხრით იუდეის მეფის იროდე დიდის შვილიშვილის შვილი; დედის მხრით კაპადოკიის მეფის არქელაოსის შვილიშვილის შვილი. შორეული ნათესავი სომხეთის აოშაკიდების საგვარეულოსი. რომში გაზრდილი და რომის ხელისუფლების მორჩილი იარაღი. 60 წ. არტაშატისა და ტიგრანაკერტის აღების შემდეგ კორბულონმა ის არმენიის მეფედ დაამტკიცა¹.

9. მ ო ნ ო ბ ა ზ ე – ადიაბენის მმართველი, ფორმალურად მეფის ტიტულს ატარებდა, მაგრამ რეალურად პართიის მეფის ვასალი იყო.

10. მ ო ნ ა ს ე – პართელი მხედართმთავარი. ჯერ კიდევ ანტონიუსის დროს ფრაატ IV მკაცრი რეჟიმით უკმაყოფილო ის გადადის რომაელთა მხარეზე; შემდეგ ლალატობს ანტონიუსს და ფრაატ IV უბრუნდება. კორბულონი ამ ლაშქრობისას მიზანშეწონილად მიიჩნევს უკან დაიხიოს და ტიგრანს მარტო ტოვებს; იგი იმედოვნებს პართიასთან ზავის მიღწევას, მაგრამ კორბულონის ეს მოქმედება რომში უკმაყოფილებას იწვევს².

11. ლ უ ც ი უ ს კ ე ს ე ნ ი უ ს პ ე ტ უ ს ი – 61 წელს ნერონი მას კაპადოკიის მმართველად ნიშნავს და პართელებთან ომს ავალებს კორბულონის ნაცვლად.

12. ტ ა ვ რ ო ს ი ს მ თ ე ბ ი – ამიერკავკასიის სამხრეთით გადაჭიმული მთების სისტემა, რომელიც მას წინა აზიისაგან გამოჰყოფს.

13. რ ა ნ დ ე ა – მცირე ქალაქი თუ ციხე-სიმაგრე მდ. ევფრატის შესართავის აღმოსავლეთ ევფრატის ანუ არსანიას (არაცანის) ნაპირას, აწინდელი ხარბუტის მახლობლად.

14. რანდეასთან პეტუსის სამარცხვინო დამარცხების შემდეგ რომში ვოლოგეზის ელჩები ჩავიდნენ და ნერონს შესთავაზეს ზავი, თუ კი იგი უარს იტყოდა არმენიაზე და ტირიდატეს მეფედ იცნობდა. ამ ხანებისათვის რომში საიმპერატორო კარზე გარკვეული ცვლილებები მოხდა: აქტიური საგარეო პოლიტიკის მომხრე

¹ R. Grausset Histoire de l'Arménie des origines a 1071, Paris, 1947, გვ. 107–109; Т. Моммзен. История Рима, т. V, гв. 350–351.

² Т. Моммзен, История Рима, т V. 33. 352; H. Schiller. Geschichte der romischen Kaiscrzeit; I Bd., 1 Abt., Gotha, 1883, гв. 113–119.

ჯგუფი, რომელიც იმპერატორს არმენიის დაპყრობისათვის ამხედრებდა იშლება: ამ ჯგუფის სულისჩამდგმელი ბუროსი გარდაიკვალა, ხოლო სენეკამ გავლენა დაკარგა. რომის არმიის დამარცხებამ, პართიასთან ბრძოლის სიძნელემ და სომეხი ხალხის წინააღმდეგობამ გამარჯვება მოუტანეს კონსერვატულ ძველ არისტოკრატას, რომელიც მტკიცე ზავისა და თავდაცვითი პოლიტიკის მომხრე იყო. ნერონი იძულებული იყო ზავზე დათანხმებულიყო და ტირიდატე არმენიის მეფედ ეცნო, მხოლოდ მან მოითხოვა, რომ ტირიდატე რომში გამოცხადებულიყო და იმპერატორისაგან მიეღო სამეფო ნიშნები. ამრიგად, არმენიისათვის მრავალწლიანი ბრძოლა რომსა და პართიას შორის უკანასკნელის წარმატებით დამთავრდა:

არმენიაში დამკვიდრდა პართიის კანდიდატი, ხოლო რომი მისი ნომინალური ვასალობით დაკმაყოფილდა¹.

წიგნი LXIII

1. ეს ფრაგმენტი ეხება ნერონის მიერ განზრახულ მეტად ფართო აღმოსავლურ ლაშქრობას, რომელიც ე. წ. კასპიის კარისაკენ იყო გამიზნული. მაგრამ ეს ექსპედიცია ვერ განხორციელდა, რადგან რომში სწორედ ამ დროს დაწყებული ვანდიკეს აჯანყების ჩასაქრობად იმპერატორს მოუხდა ჯარების უკან გაწვევა (Tacit., Hist., I, 6). აღნიშნული ლაშქრობის მიზნისა და მიმართულების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთობლივი აზრი არ არსებობს. აზრთა ეს სხვადასხვაობა პირველ რიგში წყაროთა მონაცემების განსხვავებულობით არის გამოწვეული.

ტაციტუსი და სვეტონიუსი დიონ კასიოსთან ერთად აღნიშნავენ, რომ ეს ლაშქრობა გამიზნული იყო კასპიის ვიწრობებისა (claustra Caspiatum) თუ კასპიის კარებისაკენ (Caspiae portas)². ამათგან ლაშქრობის მიზანი მხოლოდ ტაციტუსს აქვს აღნიშნული: იგი წერს, რომ ბრიტანეთსა, გერმანიასა და ილირიაში შეკრებილი

¹ ამ წიგნში აღწერილი ამბების შესახებ დაწვრილებით იხილეთ: E. Egli, დასახ. ნაშრ., გვ. 350–358; W. S. Schur, Die Orientpolitik des Kaisers Nero, „Klio“. Beilft XV, 1923; მისივე, Untersuchungen zur Geschichte der Kriege Corbules. „Klio“, Bd. XIX, Heft 1. 1923; P. Asdourian, Die politischen Beziehungen zwischen Armenien und Rom, გვ. 85–98; Momi gliano. Corbulone e la politica romana verso i Parti, „Atti del II Congresso Nazionale di Studi Rowmani, 1, 1941, გვ. 368–375; Cumont, Liniziazione di Nerone de parte di Tiridate d'Armenia, Rivista di Filologia, NS II, 1933, გვ. 145–151.

² Tacit., Hist, 1, 6; Suet., Nero, 19

ლეგიონები ნერონმა გაგზავნა „კასპიის ვიწრობებისაკენ იმ ომისათვის, რომელსაც ის ალბანელების წინააღმდეგ ამზადებდა (...in Albanes parabat)“¹.

განსხვავებულ ცნობას გვაძლევს პლინიუსი: „საჭიროა აქ შესწორდეს მრავალთა შეცდომა, სხვათა შორის, მათიც, ვინც ამას წინათ ომს აწარმოებდა არმენიაში კორბულონთან ერთად, რადგანაც ისინი კასპიისას უწოდებენ იბერიის კარებს, რომელთაც ეწოდებათ, როგორც აღნიშნული გვექონდა კავკასიის (კარები). გეგმებზე, რომლებიც გადაღებული და იქიდან გამოგზავნილ იქნა, ეს სახელია აღნიშნული. სწორედ ასევე, ექსპედიცია, რომელსაც იმპერატორი ნერონი ამზადებდა და რომელიც, როგორც ამბობენ, კასპიის კარებისაკენ უნდა დაწყებულიყო, სინამდვილეში განზრახული იყო იმ კარებისაკენ, რომლებსაც იბერიიდან სარმატებისაკენ მივყევართ“ (Plin, NH, VI, 16, 6).

ამრიგად, თუ ტაციტუსის ცნობით, ნერონის ლაშქრობა კასპიის კარის მიმართულებით ალბანელთა წინააღმდეგ იყო

გამიზნული. პლინიუსი ლაშქრობის მიზნად იბერიიდან სარმატიაში მიმავალ კავკასიის კარებს ასახელებს და სრულებით არ ახსენებს ალბანეთს.

ტაციტუსის ცნობა უკრიტიკოდ გაიზიარა ვ. შურმა სბეციალურ გამოკვლევებში, რომლებიც ნერონის აღმოსავლურ პოლიტიკას ეხება². ვ. შურის კონცეფცია ძირითადად იმის მტკიცებაში მდგომარეობს, რომ ნერონის მთელი პოლიტიკა აღმოსავლეთში თავიდან ბოლომდე ერთ მიზანს ემსახურება: წინააღმდეგ პართიასთან წინააღმდეგი მტრული ურთიერთობისა, უნდა მიღწეულიყო პოლიტიკური შეთანხმება და კეთილი ურთიერთდამოკიდებულება; ამ მიზანს ემსახურებოდა კორბულონის ლაშქრობები არმენიაში და მის მიღწევას წარმოადგენდა არმენიაში ტირიდატეს გამეფება³. ვ. შურის ეს შეხედულება ჯერ კიდევ 1924 წ. უარაყო ე. ჰოულმა; მან საფუძვლიანად აჩვენა, რომ სრულიად გაუმართლებელია ნერონის აღმოსავლური პოლიტიკის ერთიან მიმართულებასა და მიზან-

¹ Tacit, Hist, I, 6.

² W. Schur, Die Orientpolitik des Kaisers Nero. „Klio“, Beiheft. XV, 1924 Bd. XIX; 1925: მისივე, Zur Neronischen Orientpolitik, „Klio“, Bd. XX, 1925–26; მისივე, Untersuchungen zur Geschichte der Kriege Corbulos, „Klio“, Rd.. XIX, Heft 1, 1923; მისივე, Die orientalische Frage IV römischen Reiche“, NJWJ, 1926, Heft 3.

³ W. Schur, „Klio“, Beiheft XV, გვ. 4–26.

126

დასახულებაზე ლაპარაკი; პირიქით, ნერონის მთელი მმართველობა იმდენად უგეგმოა და წინააღმდეგობებით სავსე, რომ მისი საგარეო პოლიტიკაც სრულებით მოკლებულია ერთიან მიზანს; თვით ნერონის პიროვნებაც, ე. ჰოოლის აზრით იმდენად არაორგანიზებული და უნიათო იყო, რომ მის მიერ ერთიანი პოლიტიკის გატარება სავსებით წარმოუდგენელია¹. მართლაც, ობიექტური მიზეზებით – სომეხი ხალხის წინააღმდეგობით, რანდეასთან რომის არმიის დამარცხებით – გამოწვეული იძულებითი დათმობა არმენიის საკითხში ვ. შურს მიაჩნია წინასწარ შემუშავებული პოლიტიკური მიზნის განხორციელებად.

ნერონის ერთიანი და მიზანდასახული პოლიტიკის საფუძვლად ვ. შურს მიაჩნია რომის იმპერიის ასეთივე ერთიანი, ცენტრალიზებული სავაჭრო ინტერესები. ნერონის აღმოსავლური პოლიტიკის ყველა ძირითადი მოვლენა მას ახსნილი აქვს სწორედ სავაჭრო ინტერესთა საფუძველზე². აქ ჩანს ვ. შურის მოდერნიზატორული მიდრეკილება წარმოაჩინოს ძველი რომის იმპერია ისეთსავე ეკონომიურად ერთიან, ცენტრალიზებულ ქვეყნად, როგორც დღეს კაპიტალისტური ქვეყნები არიან. ვ. შურის კონცეფციის ეს მხარე სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ო. კუდრიავეცვის მიერ³.

ნერონის კავკასიური ლაშქრობაც ვ. შურს რომის საერთო პოლიტიკური ხაზის შემადგენელ ნაწილად მიაჩნია: რომი მიზნად ისახავს ჩრდილოეთიდან შემოერთებას პართიას და სწორედ ალბანეთს და ჰირკანიას პართიის ჩრდილოეთით უნდა დაეცვათ რომის ინტე-

რესები⁴. აქ აშკარა წინააღმდეგობაა; თუ ნერონის მთელი ბოლიტიკა მისი მეფობის მთელ მანძილზე მიმართული იყო. პართიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დაცვისაკენ და არმენიაში დადებული ზავი ამ მიზნის წარმატებით განხორციელებას წარმოადგენდა, მაშინ რატომღა დასჭირდა ნერონს ასეთი დიდი ლაშქრობის ჩატარება ალბანეთში და საერთოდ პართიის ჩრდილოეთით თავისი პოზიციების განმტკიცება. ამას გარდა, ვ. შურის აზრით, ალბანელთა წინააღმდეგ ლაშქრობის გზით ნერონს სურდა ხელში ჩაეგდო ტრანსკავკასიური სავაჭრო-სანაოსნო გზა, რომელიც შუა აზიიდან

¹ E. H o h l . რეცენზია W. Schur-ის შრომაზე „Die Orientpolitik des Kaisers Nero“, „Klio“, Beih. XV. – DLKIW, 1924, Heft II, გვ. 915–919.

² W. S c h u r , „Klio“. Bd. XIX, Heft 1. გვ. გვ. 5. 51–54, 114.

³ О. В К у д р я в ц е в , Восточная политнка Римской империи в начале правления Нерона, (Критический обзор исторнографии вопроса), ВДИ, 19.8, № 2, გვ. 92.

⁴ W. S c h u r , „Klio“, Bd. XIX, Heft 1, გვ. გვ. 35–36, 40. 66; „Klio“ Bd. XX, გვ. 217,

კასპიის ზღვით, მდინარეებით მტკვრითა და რიონით შავ ზღვას აღწევდა¹. როგორც აღნიშნული გვექონდა, ვ. შური რომის სავაჭრო ინტერესებს საერთოდ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებს, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებულ ტრანსკავკასიურ სავაჭრო-სანაოსნო გზას ამ პერიოდში არ უნდა ჰქონოდა ისეთი დიდი მნიშვნელობა, რომ ნერონს ასეთი ფართო ლაშქრობა მოეწყო მის ხელში ჩასაგდებად². ამრიგად, ვ. შურის მთელი კონცეფცია არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს და იგი გამართლებას ვერ პოულობს წყაროებში³.

ვ. შურის მოსაზრება უკანასკნელ ხანებში უარჰყო ინგლისელმა მეცნიერმა ან დ ე რ ს ო ნ მ ა ც . ანდერსონი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ თუ ამ ექსპედიციის მიზანს ალბანეთი წარმოადგენდა, ხოლო კასპიის კარები ეს დერბენტია (დარუბანდი), რისთვის დასჭირდა ნერონს თავისი ჯარების გაგზავნა დერბენტისაკენ, რომელიც ალბანეთის უკიდურეს ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში მდებარეობდა; მისთვის უფრო ადვილი იქნებოდა ალბანელების დამარცხება დაბლობ ალბანეთში; ამას გარდა, თუ კი ნერონს დერბენტში მისვლა შეეძლო, ალბანეთი მას უკვე დაპყრობილი უნდა ჰქონოდა⁴.

ჯერ კიდევ 1886 წ. სრულიად განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხზე წამოაყენა თ. მომზენმა. იგი უპირატესობას ანიჭებს პლინიუსის ცნობას და მიიჩნევს, რომ ნერონის ექსპედიცია მიმართული იყო კავკასიის ანუ დარიალის კარისაკენ, ხოლო ტაციტუსის „ისტორიაში“ მოხსენებული ალბანელები შეცდომით არიან დასახელებული ალანების მაგიერ; ამდენად, ტაციტუსის ტექსტში Albanes უნდა შესწორდეს Alauos-ად⁵. თ. მომზენის ეს მოსაზრება გაზიარებულ იქნა რიგი მეცნიერების მიერ და იგი დღეს ძირითადად გაბატონებულია სამეცნიერო ლიტერატურაში⁶.

¹ V. Schur, „Klio“, Beili. XV, გვ. 34 და შემდ.

² ამ შეხედულებისაა ი. მანანდიანი (О торговле и городах Армении.... გვ. 53–57); ხოლო ის საერთოდ უარყოფს ამ გზის რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას ყველა დროში, რაც ძნელი გასაზიარებელია: ელინისტური ხანისათვის ამ გზას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

³ ვ. შურის მოსაზრებების უფრო დაწვრილებითი კრიტიკა იხ. ჩვენს წერილში „რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის ახ. წ. I საუკუნეში“, გვ. 133–135, 145.

⁴ САН, vol, X, 1934, გვ. 884.

⁵ Т. Моммзен, История Рима, т. V, გვ. 358–356

⁶ М. Ростовцев, Эллинизма и нравство на юге России, Петрогр., 1918; САН, vol, X, გვ. 887.

128

სრულიად ახალი მოსაზრება წამოაყენა 1946 წ. ი. მანანდიანმა სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში. ი. მანანდიანი იზიარებს მომზენის შესწორებას და ნერონის კავკასიური ლაშქრობის მიზნად მიიჩნევს ალანების შემოსევათაგან რომის აღმოსავლური პროვინციების დაცვას, მხოლოდ განსხვავებულ ლოკალიზაციას აძლევს კასპიის ვიწრობებს ანუ კასპიის კარებს. მისი აზრით, კასპიის ვიწრობები, ანუ კარები მდებარეობს აწინდელი ახალქალაქისა და სოფ. ხოსპიას (Caspia-ს) რაიონში, სადაც უნდა თავი მოეყარა ნერონის ლეგიონებს და საიდანაც ე. წ. მეოტიდაკოლხეთის მაგისტრალით, ე. ი. კოლხეთზე გავლით, რომაელებს ალანების წინააღმდეგ უნდა ელაშქრათ¹. ჩვენ გვეჩვენა საშუალება დაწვრილებით გაგვეხილა ი. მანანდიანის შეხედულება და გვეჩვენებინა მისი მსჯელობის მთელი უსაფუძვლობა², ამიტომ ამ საკითხის გარჩევას აქ აღარ შევუდგებით. უდავოა, ჩვენის აზრით, რომ ჯავახეთის რაიონი ვერაფრით ვერ იქნებოდა ალანების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის მოსახერხებელი შესაკრებელი პუნქტი და თავისთავად კასპიის კარების (ვიწრობების) ლოკალიზაციისათვის ახალქალაქ-ხოსპიას რაიონში არავითარი საბუთი არ არსებობს. ამიტომ ჩვენ უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია ამ საკითხზე თ. მომზენის შეხედულება.

უკანასკნელად აღნიშნულ საკითხს შეეხო აგრეთვე კ. ტრევერი თავის წიგნში ალბანეთის ისტორიისა და კულტურის შესახებ, კ. ტრევერი ფაქტიურად იმეორებს ვ. შურის მოსაზრებას და თვლის, რომ ნერონის კავკასიური ლაშქრობა მიმართული იყო ალბანელების წინააღმდეგ, ხოლო მის მიზანს წარმოადგენდა დარუბანდის გასასვლელის ჩაკეტვა; მაგრამ განსხვავებით ვ. შურისაგან, კ. ტრევერის აზრით, დარუბანდის ჩაკეტვა ნერონს იმიტომ აინტერესებდა, რომ ამ გზით იჭრებოდნენ ამიერკავკასიაში ალანები, რომლებიც ჩრდილო კავკასიის მთელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებული³. კ. ტრევერს არავითარი ახალი საბუთები არ მოაქვს თავისი (უფრო სწორედ, ძირითადად, ვ. შურის) შეხედულების დასამტკიცებლად. მეორე მხრივ, თუ-კი ნერონის ლაშქრობის ძირითადი მიზანი ალანთა შემოსევებისაგან თავდაცვა იყო, ნაკლებ

¹ Я. А. Манандян, Цель и направление подготовляемого Нероном Кавказского похода, ВИ, 1946, № 7, გვ. 66–74.

² ნ. ლომოური, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისა-

თვის..., გვ. 146–153.

³ К. В. Т р е в е р , Очерки по истории и культуре Кавказской Албанин, гв. 120–125.

9. დიონ კასიოსი

129

სავარაუდოა დარუბანდის გასასვლელის დაცვის საჭიროება, რადგან იმიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, სწორედ დარიალიდან დასავლეთისაკენ განსახლებული ალანები უფრო მეტად დარიალის გზით სარგებლობდნენ თავის ლაშქრობების დროს. ამას მოწმობს, ჯერ ერთი, თვით ამ ზეკარის სახელი – დარი-ალან = ალანთა კარი – და გარდა ამისა ტაციტუსის ნიშანდობლივი მითითება, რომ 35 წ. ფარსმან I ალანები გადმოიყვანა კასპიის გზით, რომელიც მათ, ე. ი. იბერებს ეპყრათ (T a c i t ., Ann., VI, 33). ამავე დროს, ტაციტუსი აქვე სპეციალურად უსვამს ხაზს, რომ ჩრდილოკავკასიელი ნომადები ვერ იყენებენ გასასვლელს ალბანიის მთების დასასრულსა და ზღვას შორის, ე. ი. ყოველ ეჭვს გარეშე, დარუბანდს, რადგან იგი ზაფხულობით გაუვალი იყო (იქვე), ხოლო ზამთრობით ალან-სარმატების ლაშქრობები საერთოდ ნაკლებ სავარაუდოა. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ტაციტუსთან დასახელებული კასპიის გზა რომელიც იბერებს უპყრიათ, არის სწორედ დარიალის კარი¹.

ამრიგად, თუმცა ნერონის კავკასიური ლაშქრობის მიზნისა და მიმართულების საკითხი არ შეიძლება საბოლოოდ გადაჭრილად ჩაითვალოს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ეს ლაშქრობა მიმართული იყო დარიალის კარებისაკენ და მიზნად ისახავდა მათ ჩაკეტვას ალანების შემოსევებისაგან. აქ შეიძლება მხოლოდ ერთი საკითხი წამოიჭრას: რა საჭირო იყო რომაელებისათვის დარიალის კარის გამაგრება, როდესაც იგი მოკავშირე იბერების ხელში იყო. მართალია, სანამ იბერია რომის მოკავშირე და დამხმარე იყო, რომი შეიძლებოდა მშვიდად ყოფილიყო დარიალის მიმართ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რომშიაც კარგად ხედავდნენ, რომ იბერია არც ისე თავგამოდებული და ერთგული მოკავშირე იყო რომისათვის. ჯერ კიდევ ფარსმან I ორჭოფულმა ქცევამ ცხადჰყო, თუ რამდენად ფრთხილად უნდა ყოფილიყო რომი იბერიის მიმართ, ხოლო იმავე ფარსმანის მიერ პართელთა წინააღმდეგ ალანების გადმოყვანას უნდა დაებადა საშიშროება, რომ საჭირო შემთხვევაში იბერიის მესვეურებს შეეძლოთ ალანთა ძალის გამოყენება თვითონ რომის საწინააღმდეგოდაც – რომ ეს საშიშროება რეალური იყო, დამტკიცდა უფრო გვიან, II საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ფარსმან II ალანები სწორედ რომის წინააღმდეგ გამოიყენა და რომის აღმოსავლურ პრო-

¹ გოზალიშვილი, კასპიის კარი, „ენიმკის მოამბე“, ტ. I-II. 1940, გვ. 465–477.

130

ვინციებს შეუსია¹. ამრიგად დარიალის კარის დაკავებას რომისათვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ეს მისცემდა მას საშუალებას

დაეწესებია კონტროლი იბერიაზედაც, რომელსაც ამ ხანებისათვის, განსაკუთრებით არმენიის ფაქტიურად დაკარგვის შემდეგ, სულ უფრო მეტი როლი ენიჭებოდა მახლობელ აღმოსავლეთში,

წიბნი LXVIII

1. **პ ა რ თ ო მ ა ს ი რ ი ს ი** – სომხეთის მეფის პაკორის (იმპერატორ ტ რ ა ი ა ნ ე ს (98–117) თანამედროვე, (ცხოვრობდა II საუკუნის პირველ მეოთხედში) ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც კონკურენციას უწევდა თავის ძმას, პრორომაული პარტიის წარმომადგენელს – აქსიდარს არმენიის ტახტის დაკავებისას: სარგებლობს პართიის მხარდაჭერით.

2. **ა რ ს ა მ ო ს ა ტ ა** – ქალაქი ე. წ. მეოთხე არმენიაში, მდ. ევფრატის მახლობლად.

3. **ს ა ტ ა ლ ა** – არმენიის ქალაქი, აწინდელი სოფ. სადაღის ადგილას, მდ. კელკიტ-ჩაის ნაპირას².

4. **ჰენიოხები** – ჭანურ-მეგრული მოდგმის ერთ-ერთი ტომი, ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს (ძველი კოლხეთის) უძველეს მკვიდრ მოსახლეობას. ახ. წ. II საუკუნისთვის ჰენიოხების სამოსახლოს წარმოადგენდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო, რიზე-ათინას რაიონი. აქ არიანეს გადმოცემით, II საუკუნეში არსებობს პენიოხებისა და მაკრონების გაერთიანებული სამეფო, რომლის სათავეში იგივე მეფე ანქიალე დგას, რომელსაც დიონ კასიოსის ამ ფრაგმენტშიაც ვხვდებით (Arrian, PPE, § II), ამდენად დიონ კასიოსის მახელონები იგივე მაკრონები უნდა იყვნენ, რომელთა სახელი ექვივალენტურია ქართული ტერმინისა. „მეგრელ“ და შექმნილია ჭანური ენისათვის დამახასიათებელი ზედსართავი სახელების დაბოლოების – „-ონ“-ის საშუალებით³. რაც შეეხება ჰენიოხებს, მათ მკვლევართა უმეტესობა მეგრულ-ჭანურ შტოს აკუთვნებს, ზოგი მათ პირდაპირ აიგივებს სანიგებთან⁴,

¹ მ. ი ნ ა მ ე , რომის და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის.... გვ. 322.

² Я. А. М а н а н д я н , О торгонле и городах Армении..., გვ. 127–130.

³ Л. С. Ч и к о б а в а . Грамматический анализ чанского (лазского) диалекта, 1936, გვ. 4.

⁴ ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე. 1954, გვ. 122 და შემდ. И. А. О р - Б е л и , Город близнецов *ΔΙΟΣΚΟΥΡΙΑΣ* и племя возниц *ΗΝΙΟΧΟΙ*, ЖМНП, 1911, № 4, გვ. 213–214.

ხოლო ზოგის აზრით სანიგები-ჰენიოხები სვანური მოდგმის ტომები არიან¹. ის ფაქტი, რომ ჰენიოხები ანტიკური წყაროების თანახმად ჩანან როგორც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ, ისე სამხრეთ სანაპიროზე, აძლევს ზოგიერთ მეცნიერს საფუძველს განასხვავოს ისინი ერთიმეორისაგან და უკანასკნელნი დააკავშიროს ურარტული წყაროების „იგანიეხებთან“. არიანეს და დიონ კასიუსის პენიოხები, მათი აზრით, სწორედ ამ იგანიეხების ჩამომავალნი შეიძლება იყვნენ².

რაც შეეხება თვით ფორმას „მახელონები“ (*Μαχελωνοι*), იგი ჩვენ გვხვდება ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, რომელიც დაახლოვებით ერთი საუკუნით გვიან არის შედგენილი. ჩვენ ვგულისხმობთ სპარსეთის სასანიანი მეფის შაბურ I (241—272) სამეწოვან წარწერას, რომელიც 1936 წ. 4. პერსეპოლისში ტაძრის კედელზე იქნა აღმოჩენილი. ეს წარწერა ლიტერატურაში ცნობილია „Ka'ba-i Zardost“-ის სახელწოდებით³. ამ წარწერაში შაბურ I თავის თავს „ირანისა და არაირანის მეფეთა მეფეს“ (*βασιλεὺς βασιλέων Ἀριανῶν καὶ Ἀναρριανῶν*) უწოდებს და ჩამოთვლის იმ ხალხებსა და ქვეყნებს, რომელნიც მას ხარკს უხდიან; მათ შორის დასახელებულია არმენია (*rmuy*, *Ῥμυεῖαν*), იბერია (*Vyršn*, *Ἰβηρίαν*), მახელონია (*sykn*, *Μαχελωνίαν*), ალბანია (*rd'n*, *Ἀλβανίαν*) და სხვ.⁴

როგორც ვხედავთ, აქ არმენიის, იბერიისა და ალბანიის გვერდით დასახელებულია ქვეყანა, რომელიც წარწერის ბერძნულ ვარიანტში იწოდება „მახელონიად“ (*Μαχελωνίαν*), ხოლო მის შესატყვის ფალაურ ტექსტში – *sykn*.

ამ წარწერის კომენტატორებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ „Ka'ba-i Zardost“-ის „მახელონია“ კლასიკურ მწერლებთან მოხსენებული მახელონების (მაკრონების) ქვეყანაა, მაგრამ ამ მხარის ფალაური ფორმა კი აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობას იწვევს.

¹ И. А. Орбели, *დასახ*, ნაშრ, გვ. 195–215; Г. Н. Мелнкишвили, *К истории древней Грузии*. გვ. 91–92.

² П. Ушаков, *К походам урартийцев в Закавказье в IX и VIII вв. до н. э.*, ВДИ, 1946. №2, გვ. 37–38; ჰენიოხების შესახებ იხ. აგრეთვე მ. ინსამე, *შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის*, „მასალები“, ნაკვ. 32, 1955, გვ. 13–20; ნ. ლომოური, *კლავდიოს პტოლემეაოსი...*, გვ. 54.

³ M. Sprengling, *Third century Iran. Sapor and Kartir*, Chicago, 1953; მისივე, *A new pahlavi inscription*, *AJSL*, t. 53, № 2, 1937, გვ. 126–144.

⁴ E. Honigmann et A. Maricq. *Recherches sur les Res Gestae divi Saporis*. ARB, t. 47, Fasc, 4, 1953. გვ. 11.

მარტინ შპრენგლინგი ამ სახელწოდების შესახებ შენიშნავს, რომ პართული ტექსტის *sykn* შეიძლება გამოითქმოდეს როგორც *Sīgān*, ან *Sīrān*, ან *Sayrān*. შემდეგ იგი ყურადღებას აქცევს ტრაპეზუნტის მახლობლად, მის სამხრეთით მდებარე ზიგანას გადასასვლელის და სოფ. ზიგანას სახელებს და დასძენს, რომ „თუ ეს არ არის საკმარისი ფონეტიკური თვალსაზრისით, გეოგრაფიულად *sykn-bogon*ას იგივეობა მეტად დამაჯერებელია¹.

სრულიად განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული ვ. ჰენინგს, რომელიც ვარაუდობს, რომ აქ ლაბარაკია არმენიის პროვინციაზე სიუნიკზე, იგივე *Sisakan*-ზე; მისი აზრით *Siunik* კანონზომიერად იძლევა ფალაურ *Sykn*-ს².

ვ. ჰენინგის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ა. მარიკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ვ. ჰენინგის იდენტიფიკაცია სრულიად მიუღებელია გეოგრაფიული თვალსაზრისით, რადგან სიუნიკის დაკავშირება

მახელონიასთან სავსებით გამორიცხულია. შემდეგ ა. მარიკი საკ-
მაოდ დაწვრილებით იხილავს კლასიკურ წყაროებში მახელონებისა
და მათ ექვივალენტურ მაკრონების შესახებ ცნობებს, უფარდებს
მათ ქართულ ტოპო- და ეთნონიმიკურ სახელებს და მიდის დასკვ-
ნამდე, რომ მახელონია გულისხმობს კოლხეთის, ანუ მერმინდელი
სამეგრელოს ტერიტორიას ფართო გაგებით³.

რაც შეეხება ფალაური ტექსტის Sykn-ს, ი. მარიკი მას უკავ-
შირებს „საკას“ ქვეყანას ე. ი. სკვითეთს. მისი აზრით, მთელი
რიგი ტოპონიმიკური და ეთნონიმიკური სახელებისა მიუთითებენ
იმაზე, რომ ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში დარჩენილა საკმაოდ
მნიშვნელოვანი სკვითური ჯგუფები; თვით დასავლეთ საქართვე-
ლოში ამავე „საკას“ უკავშირებდა ა. მარიკი სახელებს სიგანეონ,
სინგამი, ზიდანევისი, სკვითინები და სხვა და ასკვნის, რომ ყველა
ეს სახელები სკვითების ამ ბატონობის გადმონაშთია და ამდენად
ამ მხარეს შეიძლებოდა ირანულში შერქმეოდა სკვითების მხარე,
„საკას ქვეყანა“, ანუ ფალაურად Sykn, რომლის ბერძნული ექვი-
ვალენტი – მახელონია ამავე ქვეყნის ეთნიკური სახელწოდებაა⁴.

უკანასკნელად ამ საკითხს შეეხო გ. მელიქიშვილი. მან ძირი-
თადში გაიზიარა ა. მარიკის შეხედულება, რომ მახელონების სახელი

¹ M. Sprengling, Shahpulr I, the Greut, o3 the Kaabal of Zo-
roaster, AJSLL, t. 57, 1941, გვ. 341–429.

² W. B. Henning, Recherches sur les Res Gestae divi Saporis, Bru-
xelles, 1953, გვ. 64–72,

³ E. Honigmann et A, Marieq. Recherches..., გვ. 72–76.

⁴ იქვე, გვ. 72–16.

შეიძლება იყოს მაკრონ-მეგრელების სახელწოდების ვარიანტი; აგრე-
ვე აღნიშნა, რომ სახელი Siġān უკავშირდება არა მარტო სამხრეთ-
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, არამედ ცენტრალურ კოლხეთსაც,
მაგრამ, ჩვენის აზრით სამართლიანად, უარჰყო ა. მარიკის აზრი,
რომ შაბურ I-ის წარწერაში იგულისხმება კოლხეთი, ანუ დასავ-
ლეთ საქართველო მთლიანად, ვინაიდან არ არსებობს არავითარი
საფუძველი III ს. ირანის მიერ მთელი დასავლეთ საქართველოს
დაპყრობის ვარაუდისათვის, გ. მელიქიშვილის აზრით „მახელონია
ზიგანას“ ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს „მაკრონ (მახელონ)-ჰენიოხე-
ბის სამეფო¹. ეს შეხედულება ჩვენ სრულიად დამაჯერებლად
მიგვაჩნია.

ერთადერთი, რამაც შეიძლება ერთგვარი გაუგებრობა გამოიწ-
ვიოს, ესაა ის გარემოება, რომ წარწერაში „მახელონია“ დასახე-
ლებულია იბერიასა და ალბანიას შორის. შეიძლებოდა გვეფიქრა,
რომ „მახელონია“ სადღაც ამ ორ სახელმწიფოს შორის უნდა
ვეძიოთ და არა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.
მაგრამ, რამდენადაც მახელონ-მაკრონების ქვეყანა ყველა კლასი-
კური ავტორის (არიანე, ტაციტუსი, დიონ კასიოსი, ფსევდო-არიანე
და სხვ.) მიხედვით ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას, შავი
ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არის აღნიშნული, ასეთ
ექვს საფუძველი არ უნდა ჰქონდეს. თვით Ka'ba-i Sardost-შიც

ქვეყნების ჩამოთვლა არ ასახავს ყოველთვის მათ რეალურ გეოგრაფიულ განლაგებას. ასე მაგალითად, წარწერის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთში ქვეყნების თანამიმდევრობა ასეთია: ჯერ დასახელებულია პერსიდა – სპარსეთის ყურის ნაპირას, ირანის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, შემდეგ პართია – პერსიდის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხესთან, შემდეგ სუზიანა- (ხუზისტანი) – ისევ სპარსეთის ყურის ნაპირას, პერსიდის ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ ასირია – ხსუზისტანის ჩრდილო-დასავლეთით, მერე ადიაბენა – ასირიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მერე არაბეთისულ სხვა მიმართულებით, ასირია-ადიაბენას სამხრეთ-დასავლეთით, მერე ისევ ჩრდილო-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან – ტროპატენა (ადრაბადგანი) და ა. შ.². ერთი სიტყვით, ქვეყნების ჩამოთვლა წარწერაზე არ ექვემდებარება რაიმე გარკვეულ პრინციპს და მახელონიის დასახელება იბერია-ალბანეთს შორის არ უნდა იყოს საფუძველი ამ ქვეყნის მათ შორის მიებისათვის.

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 389–390,

² E. Honigmann et A. Maricq, Recherches..., გვ. 11.

5. დიონ კასიოსის ეს ფრაგმენტი მთლად გასაგები არ არის; საერთოდ იმპერატორ ტრაიანეს არმენია-პართიასთან ურთიერთობის ეს ეპიზოდი რომელსაც დიონ კასიოსი აქ ეხება, კარგად არ არის გარკვეული. მოვლენათა მსვლელობა ძირითად ხაზებში შემდეგია: იმპერატორი ტრაიანე სომხეთის მეფის პაკორის სიკვდილის შემდეგ არმენიის ტახტზე სვამს მის ვაჟს აქსიდარს, რომელიც რომის მომხრე დასის წარმომადგენელია, მაგრამ პართიის მეფემ ხოსრომ (გარდ. 121 წ.) არმენიაში თავისი კანდიდატის პართომასირისის გამეფება მოინდომა და აქსიდარი გააძევა. ეს გახდა საბაზი ტრაიანეს არმენიაში ლაშქრობისათვის. 114 წ. ტრაიანე რომიდან აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. პართომასირისმა, შეშინებულმა რომთან ურთიერთობის გაფუჭებით. წერილი მისწერა იმპერატორს, რომელშიაც, როგორც ჩანს, ამართლებდა თავის მოქმედებას და არმენიის ტახტზე დამტკიცებას სთხოვდა, მაგრამ, პართომასირისმა დაუშვა დიპლომატიური შეცდომა: იგი წერილს ხელს აწერდა, როგორც არმენიის მეფე. ტრაიანემ წერილზე არ უპასუხა და აღმოსავლეთისაკენ სვლა განაგრძო. რას ნიშნავს პართომასირისის მეორე წერილში მარკუს იუნიუსის ხსენება და ვილაცის გამოგზავნის თხოვნა, ან რატომ გაუგზავნა ტრაიანემ მას იუნიუსის ვაჟი, დიონ კასიოსის ფრაგმენტიდან გაუგებარია. 115 წ. ტრაიანე მივიდა არმენიის ოლქში – სოფენაში მდებარე ქ. არსამოსატამდე (არშამაშატა) და უბრძოლველად აიღო იგი. ამის შემდეგ დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და მცირე არმენიის ქ. სატალაში მივიდა. სატალადან იმპერატორმა უკვე პირდაპირ არმენიის დედაქალაქ არტაშატისკენ აიღო გეზი. 115 წ. ტრაიანემ არმენია რომის პროვინციად გამოაცხადა¹.

ყურადღებას იქცევს ის გაოქმობა რომ არშამაშატიდან ტრაი-

ანე პირდაპირ არმენისაკენ კი არ დაიდრა, არამედ ჩრდილოეთით წავიდა რომის ხელში მყოფ ქალაქ სატალასაკენ. რა მიზნით უნდა გაემრუდებინა იმპერატორს მარშრუტი და უკვე მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მყოფი, გამობრუნებულიყო ისევ თავის სამფლობელოში? ვფიქრობთ რომ დიონ კასიოსის ეს ფრაგმენტი ამის გარკვევის საშუალებას იძლევა. დიონ კასიოსი აღნიშნავს, რომ სატალაში ტრაიანემ ანგიალე საჩუქრებით დააჯილდოვა. ცხადია, ძნელი წარმოსადგენია, რომ იმპერატორი მხოლოდ ანქიალეს დასაჩუქრების მიზნით წასულიყო სატალაში. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მას

¹ Т. Моммзен, История Рима, т. V, гл. 359–361; N. С. Debevois, A political history of Parthia, гл. 172–174.

დამხმარე ჯარები, კერძოდ მაკრონ-ჰენიოხთა მეფის მოკავშირე რაზმები უნდა შეერთებოდა არმენიაზე სალაშქროდ. უნდა ვიფიქროთ, რომ მიმდინარე მოვლენებში ანქიალემ იმდენად აქტიურად გამოიჩინა თავისი მოკავშირეობა და „რომაელი ხალხის ერთგულება“, რომ იმპერატორმა მისი დასაჩუქრება ჩასთვალა საჭიროდ, ხოლო დიონ კასიოსმა კი ამ აქტის საგანგებო აღნიშვნა.

ანქიალესათვის, რასაკვირველია, სასურველი არ იქნებოდა არმენიაში პართიის განმტკიცება, რაც მოხდებოდა აქ პართომასირისის გამეფების შემთხვევაში. ანქიალეს ისედაც მძიმე მდგომარეობა-ჰქონდა მის უშუალო მეზობელ ოლქში (ზიდრიტების მხარეში – ჭოროხის შესართავის ზონა) ძლიერი იბერიის შემოჭრის შემდეგ¹, ეხლა კიდევ არმენიის ტახტზე პართული ორიენტაციის უფლისწულის დამკვიდრება მაკრონ-ჰენიოხთა მეფეს ახალ გართულებას უქადდა. ისე რომ, ტრაიანეს ლაშქრობაში აქტიური მონაწილეობის მიღება მარტო ანქიალეს რომისადმი მოკავშირეობის ვალდებულებით კი არ იყო ნაკარნახევი არამედ საკუთარი ინტერესებითაც.

წიგნი LXIX

1. იგულისხმება იუდეაში მომხდარი: აჯანყება, რომელიც 132–135 წლებში მიმდინარეობდა ვინმე სიმეონის „ბარ-კოხბად“ წოდებულის ხელმძღვანელობით.

2. ზოგიერთ გამოცემაში ალანების. ნაცვლად ალბანები წერია (Ἀλβανῶν). ასეთ გამოცემას ეყრდნობოდა. როგორც ჩანს ვ. ლატიშევი, რომელმაც თავის თარგმანში ჩასწერა „из земли албанов“². მაგრამ ყველა არსებულ ხელნაწერში და გამოცემათა უმეტესობაში წერია „ალანების“ (Ἀλανῶν). გარდა ამისა იმავე ფრაგმენტში ფლავიუს არიანეს ხსენება მოწმობს, რომ აქ სწორედ ალანები-იგულისხმება, რომელთა ისტორია არიანეს სპეციალურად დაუწერია (Ioan., Lyd., De Mag., 3).

3. იბერიის მეფე ფარსმან II, ქართული წყაროების ფარსმან ქველი, მეფობდა ახ. წ. II საუკუნის 30-60-იან წლებში. მის დროს იბერია უდიდეს ძლიერებას აღწევს და ფარსმანი არა მარტო

არ ემორჩილება რომის იმპერატორს ადრიანეს (117–138), არამედ აშკარა მტრულ აქტებსაც მიმართავს იმპერიის წინააღმდეგ. ერთ-ასეთ ფაქტს წარმოადგენდა მის მიერ ალანთა გადმოყვანა და მეზო-

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гв. 371–373

² ВДИ, 1948, № 2, гв. 277.

136

ბელ ქვეყნებისათვის, კაპადოკიისა ალბანეთისა და მიდიისათვის შესევა¹.

4. პართიის მეფე ვოლოგეზ (ვალარშ) II (105–147).

5. ფლავიუს არიანე – ცნობილი რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე. დაიბადა 95/96 წლებში ბითვინიის ქალაქ ნიკომედიამი. მისი მამა ბითვინიის იმ პრივილეგირებულ არისტოკრატის ეკუთვნოდა, რომელმაც ჯერ კიდევ ფლავიუსების დინასტიის დროს მიიღო როზის მოქალაქეობა, ანტონინების დინასტიის, კერძოდ ადრიანეს დროს არიანე ჩანს მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე – სამხედრო და ადმინისტრაციულ მოვალეობათა აღმასრულებლად სხვადასხვა საზღვრისპირა პროვინციებში – გალიაში, ნორიკუსში, პანონიაში, II საუკუნის 20-იან წლებში ის იყო კონსულად, ხოლო 30-იან წლების დასაწყისში კაპადოკიის აროვინციის მმართველად პროაპრეტორის უფლებით (Legatus Augusti pro praetores). ამ თანამდებობაზე ის რჩება 137 – 138 წლებამდე. არიანე ცნობილია ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობით; მის კალამს მრავალი ნაშრომი ეკუთვნის, რომელთაგან განსაკუთრებით მწიშნელოვანია: „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ (Περὶ πλοῦς Εὐξείνου Πόντου), რომელშიაც ბევრი საინტერესო ცნობაა ქართველ ტომთა და არიანეს თანამედროვე დასავლეთ საქართველოს შესახებ, „ინდოეთის აღწერა“ (Ἰνδία), „ალექსანდრეს ანაბაზისი“ (Ἀνάβασις Ἀλεξάνδρου) და სხვ.; ბევრი მისი თხზულება დაკარგულია; მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თხზულება „დარაზმვა ალანთა წინააღმდეგ“ (Ἐπιτομὴ κατὰ Ἰγνακῶν), „ბითვინიის ისტორია“ (Βιθυνιακὰ), „პართიის ისტორია“ (Παρθιακὰ). და სხვ.².

6. ამ შემთხვევაში დგება ერთი საკითხი, იყო თუ არა მოლაპარაკების დროს რომში ფარსმანი. 3. გუტშმიდი ფიქრობს, რომ

¹ მ. ი ნ ა ძ ე , რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის... გვ. 321–323.

² არიანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ.: E. S c h w a r t a z , Arrianus, BE. Bd. II, გვ. 1230 და შემდ.: H. E. P e l h a m , Avrian as legate of Cappadocia. EHR. vol. II. 1896. გვ. 625; Г. И. С а в и ц к и й , Арриан как источник по истории Средней Азии, „Труды Самаркандского государственного пединститута им. Горького“, т. III, 1941, гв. 5 და შემდ.; მ. ი ნ ა ძ ე , ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ), თბილისი, 1953, (ხელნაწერი, საკანდიდატო დისერტაცია), გვ. 5–19; ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე . მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კ ე ჭ ა ღ მ ა ძ ი ს ა , თბილისი, 1961, გვ. 1–6.

ფარსმანი თვით ესწრებოდა სენატში მასზე შემოსული საჩივრის განხილვას¹. მ. ინაძე, დიონ კასიოსის ცნობაზე დაყრდნობით, (რომ ელჩებს ფარსმანის წერილობითი ჩვენება წაუკითხეს), ვარაუდობს, რომ ფარსმანი რომში არ ყოფილა². ინაძის მოსაზრებას მხარს უჭჭერს იმპერატორ ადრიანეს ბიოგრაფის ელიუს სპარტიანეს ცნობა, რომ ფარსმანი არ ყოფილა რომში ადრიანეს დროს (A. S p a r ., Huadlr., 21).

წიგნი LXX

1. ე ნ ი ა ლ ი ო ნ ი – ღმერთის მარსის ბერინული სახელწოდებიდან 'სუსაღ:აჲ; აქ იგულისხმება ომის ღმერთის მარსის ტაძარი. რატომ თარგმნის ე. კერი – ბელონას ტაძრად (in the temple of Bellona) გაუგებარია³. ბელონა (Bellona) მარსის და არის რომაელებთან.

2. დიონ კასიოსის ამ ფრაგმენტში ხელნაწერებში აო არის დასახელებული იმ იმპერატორის სახელი, რომელსაც ფარსმანი რომში ეწვია, დიონ კასიოსის ტექსტის ერთ-ერთმა პირველმა გამომცემელმა – ურსინიმ ეს ფრაგმენტი ადრიანეს დროს მიაკუთვნა და მის მერე სამეცნიერო ლიტერატურაშიაც და გამოცემებშიაც ფარსმანის რომში ჩასვლას ადრიანეს ზეობას აკუთვნებდნენ. გამონაკლისს თ. მომზენი წარმოადგენდა, რომელმაც ეს ფრაგმენტი ადრიანეს მომდევნო იმპერატორის ანტონინე პიუსის მეფობას მიაკუთვნა. ბუასეყენმა თავის გამოცემაში ეს ფრაგმენტი მოათავსა პიუსის შესახებ არსებულ ფრაგმენტთა რიგში (LXX, 2, 3), მაგრამ გვერდზე მანაც გაუკეთა დამატებითი ნომერი (LXIX, 15, 3), რომლითაც იგი ადრიანეს ხანას ეკუთვნებოდა. უკანასკნელად მ. ინაძემ დამარწმუნებლად აჩვენა, რომ ყველა წყაროების ცნობით ადრიანეს დროს ფარსმანი რომში არ ყოფილა და მის მეფობაში იბერიას და რომს შორის შექმნილი ურთიერთდამოკიდებულების პირობებში არც შეიძლებოდა ყოფილიყო; დიონ კასიოსის მოცემული ფრაგმენტი კი, მისი აზრით, ეკუთვნის სწორედ ანტონინე პიუსის ხანას (138–161), რადგან სწორედ მას მოუხერხებია ფარს-

¹ A. G u t s e h m i d Geschichte Jraus., გვ. 146–147.

² მ. ინაძე, რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის... გვ. 322,

³ Dio's Roman History. By E. C a r y, vol, III, გვ. 471.

⁴ Т. М о м з е н, История Рима, т. V, გვ. 365, შენ. 4.

მაბთან კარგი დამოკიდებულების დამყარება¹. საინტერესოა, რომ 1958 წ. 3. ჰესელჰაუფის მიერ გამოქვეყნებულ იქნა რომის ძველ ნავთსადგურში – ოსტიაში აღმოჩენილი წარწერის ფრაგმენტი; ეს წარწერა განეკუთვნება ე. წ. Fasti cousulares, ე. ი. უმთავრეს მოვლენათა აღმწუსხველ ქრონიკებს, თანამდებობის პირთა (კონსულების) აღნიშვნით. ამ ფრაგმენტში მოხსენებულია იბერიის მეფე

ფარსმანი ვაჟით და მეუღლით². ეს წარწერა დოკუმენტურად ასა-
ბუთებს ფარსმანის რომში სტუმრობას. როგორც წარწერის გამომ-
ცემელი ფრაგმენტში კონსულის ფაბიანუსის ხსენების საფუძველზე
ადგენს, ეს უნდა იყოს ლუციუს ანიუს ფაბიანუსი, რომელიც კონ-
სულად შეიძლება ყოფილიყო 141–144, 149–150 და 157–159
წლებში; 3. ჰესელჰაუფი უპირატესობას ანიჭებს უადრეს თარიღს³.
როგორადაც არ უნდა გადაწყდეს წარწერის ზუსტი დათარიღების
საკითხი, ექვს გარეშეა, რომ წარწერა ეკუთვნის ანტონინე პიუსის
და არა ადრიანეს ზეობას. ზემოაღნიშნულის გაზო ჩვენ ჩვენს თარგ-
მანშიაც ტრადიციული „ადრიანეს“ ნაცვლად „ანტონინე პიუსი“
შევიტანეთ.

წიგნი LXXI

1. მარციუს ვერუსი – კაბპადოკიის მმართველი 163 წლის
შემდეგ. დიონ კასიუსის ცნობით (წიგნი LXXII, 2) არმენიის წინა-
აღმდეგ აწარმოებდა ოპერაციებს.

2. იმპერატორი მარკუს ავრელიუსი (161–181); იმპერა-
ტორმა ანტონინე პიუსმა, რომელსაც არ ჰყავდა საკუთარი შვი-
ლები, იშვილა სენატორული გვარის ორი წარმომადგენელი მარკუს
ანიუს კატილიუს სევერუსი და ლუციუს ცეიონიუს კომოდუსი,
რომლებიც მის შემდეგ იმპერატორები გახდნენ. პირველმა მიიღო
სახელი მარკუს ავრელიუსი, ხოლო მეორემ ლუციუს ვერუსი, მარ-
თალია იმპერატორებს ფორმალურად განაწილებული ჰქონდათ გავ-
ლენის სფეროები – მარკუს ავრელიუსი დასავლეთის პროვინციებს

¹ მ. ი ნ ა მ ე , რომისა და ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობისათვის,
გვ. 321–327.

² H. H e s s e l h a u f , Ein neues Fragment der Fasten von Ostia,
„Athenaecum“, Studi period., (Nuova Serie), vol. 36, face. 3, 1939, გვ. 221–
226; შეად, ა. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე , ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან
მეფისა, ჟურნ. „ცისკარი“, 1959, № 9.

³ H. H e s s e l h a u f , დასახ. ნაშრ., ავ 227; უკანასკნელად ამ საკითხს
შეეხო ლ. ე ლ ნ ი ც კ ი : О малоизученных или утраченных греческих и латин-
ских надписях Закавказья, ВДИ, 1964, № 2.

მართავდა, ვერუსი კი – აღმოსავლეთისას, მაგრამ იმპერიის ნამდ-
ვილი ხელისუფალი მარკუს ავრელიუსი იყო¹.

3. სატრაპის ტირიდატეს აჯანყების შესახებ სხვა წყაროებში
ცნობები დაცული არ არის, ხოლო დიონ კასიოსის ფრაგმენტი არ
იძლევა საშუალებას ამ ფაქტის დაწვრილებით შესწავლისათვის. ეს
ეპიზოდი დაკავშირებულია მარკუს ავრელიუსის დროს მიმდინარე
საკმაოდ ხანგრძლივ ომთან პართიის წინააღმდეგ (161–164),
რომლის პირველ ეტაპს არმენიისათვის ბრძოლა წარმოადგენდა
(161–163 წ.). 161 წ. პართიის მეფე ვოლოგეზ III (150–193)
ჯარი არმენიაში შეიჭრა და ტახტზე არშაკიდი უფლისწული პაკორი
აიყვანა რომაელთა ჯარი ორგზის იქნა სასტიკად დამარცხებული
და ბოლოს 162 წ. აღმოსავლეთში გაემგზავრა თვითონ იმპერა-
ტორი ლუციუს ვერუსი, მაგრამ თავისი უნიათობის გამო მან სომ-

ხეთში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია: მხოლოდ სირიის ლეგატის ავიდიუს კასიუსის ენერგიული მოქმედების შედეგად გახდა შესაძლებელი არმენიაში მდგომარეობის გაუმჯობესება: 163 წელს აღებულ იქნა ქ. არტაშატი და სომხეთის ტახტზე დასვეს თუკიდიდე სოკემი, წარმოშობით არშაკიდი, მაგრამ რომაელი სენატორი, ამ უკანასკნელის მეფედ კურთხევა უზრუნველყო კაპადოკიის ახალმა ლეგატმა მარციუს ვერუსმა². უნდა ვიფიქროთ, რომ სატრაპის ტირიდატეს აჯანყება ამის შემდგომ უნდა მომხდარიყო. გ. მელიქიშვილი ასეთ თარიღად მიიჩნევს 172–173 წწ.³. სამწუხაროდ, არ ჩანს, რას ემყარება იგი ამ შემთხვევაში, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს ეპიზოდი უფრო ადრე უნდა მომხდარიყო – საქმე ისაა, რომ 166 წ. პართიასთან ომი რომის სრული გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო 167 წლიდან კაპადოკიაში უკვე ახალი ლეგატი ლუციუს კორნელიანე დაინიშნა⁴. რამდენადაც დიონ კასიუსის ცნობაში აღნიშნულია, რომ ტირიდატეს შეტაკება მოსვლია ვერუსთან, ცხადია ეს შეიძლება მხოლოდ 163–167 წლებს. შორის მომხდარიყო, ვინაიდან სწორედ ამ წლებში მართავდა კაპადოკიას მარციუს ვერუსი. შესაფერისი სიტუაცია ასეთი აჯან-

¹ L. M. Hartmann III J. Kromayer, Römische Geschichte, L. M. Hartmanns Weltgeschichte, Gotha, 1921, 174–198, 355; B. Renau, Marc-Aurèle et la fin du monde antique, Paris, 1883; Н. А. Машкин, История древнего Рима. 450–451.

² Т. Мюммзен. История Рима, т. V, гл. 366–367; D. Magie, Roman Rule in Asia Minor, 1950, гл. 659.

³ Г. А. Меликншвили, К истории древней Грузии, гл. 372,

⁴ CIL, III, 229,

ყებისთვის, ვფიქრობთ, თვით ომის. დროს უნდა ყოფილიყო. იმ მოკლე დროის მანძილზე, როცა არმენიაში პაკორი აღარ იყო, ხოლო. სოკემი ჯერ კიდევ მეფედ არ იყო ნაკურთხი. ამ დროს რომის არმია პართიაში იმყოფებოდა და ესეც აჯანყებისთვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ, როგორც კონტექსტიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ტირიდატემ „მახვილიც კი აღმართა“ ვერუსზე, უკანასკნელს თვითონ ვერ დაუსჯია იგი და მხოლოდ იმპერატორს გადაუსახლება ის ბრიტანეთში. შეიძლება ვაფიქროთ, რომ იმ დროს, როდესაც მარკუს ავრელიუსი პართიაში ლაშქრობდა, ვერუსს ალბათ ძალა არ შესწევდა ტირიდატეს დასჯისთვის. ამავე გარემოებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ცნობა ტირიდატეს მიერ ჰენიოხთა მეფის მოკვლის შესახებ ვფიქრობთ, რომ აჯანყების ჩაქრობა თავდაბირველად ავრელიუსმა თავის მოკავშირე პენიოხების მეფისათვის დაუვალება, შესაძლოა რომაული რაზმის დახმარებით; და სწორედ ამ დროს დაილუპა იგი. ამრიგად, (ცხადია, რომ ჰენიოხთა მეფე (ანქიალე, ან მისი ერთერთი მემკვიდრე) ამჯერადაც რომის მოკავშირეა და მისი ინტერესების დამცველი ამიერკავკასიაში.

СВЕДЕНИЯ ДИОНА КАССИЯ О ГРУЗИИ

(Резюме)

К числу тех античных источников, которые помогают в дело изучения древнего периода истории Грузии, принадлежит и „Римская история“ Диона Кассия Коккеяна. Дион Кассий родился примерно в 153 г. н. э. и скончался около 235 г. Он принадлежал к провинциальной сенаторской знати и занимал ряд высших магистратур в Риме и провинциях. „Римская история“ Диона Кассия состояла из 80 книг и по своему содержанию может быть разделена на две основные части: первая, включающая историю Рима со времен основания города до 72-ой книги, составлена на основании предшествующих писателей и различных источников и представляет собой своеобразный обзорный компендиум; во второй части – начиная с 72-ой книги до конца – автор предстает перед нами как современник и очевидец описываемых им событий; потому, его рассказ в этой части более недробен и точен.

„Римская история“ фактически является военной историей, в которой автор, в основном, дает описание войн и внешнеполитических взаимоотношений Римского государства. Даже в тех случаях, когда Дион Кассий касается гражданских войн, иди других фактов внутренней жизни римлян, он мало заботится об объяснении причин и характера этих явлений и довольствуется лишь передачей фактической стороны событий.

Свое повествование Дион Кассий ведет по хронологическому принципу, заимствованному у анналистов, однако, этот принцип им нередко нарушается, что часто затрудняет датировку того или иного, приводимого им факта.

Следует принять во внимание и то обстоятельство, что труд Диона Кассия составлен на основании источников, весьма раз-

142

личных по своему характеру и относящихся к различным периодам. Наряду с заслуживающими доверия источниками, автор использует и менее достоверные данные, вследствие чего его рассказ не всегда является точным, часто содержит ошибки; нередко замечается игнорирование важными, первостепенными событиями и излишне подробное изложение малозначительных фактов.

Все эти, перечисленные выше моменты, вне всякого сомнения, умаляют достоинство труда Диона Кассия и делают необходимым весьма осторожный и критический подход к его сведениям. Однако, несмотря на то, для изучения ряда явлений, в первую очередь для установления фактологической стороны римской внешней политики, „Римская история“ является все-же весьма ценным источником. В точности передачи внеш-

неполитических событий, походов, дипломатических переговоров; дворцовых интриг и т. д. Дион Кассий нередко превосходит другие, в остальном может быть более глубокие и достоверные источники.

Одним из самых сложных и еще не в достаточной мере изученных вопросов, связанных с использованием „Римской истории“, является вопрос об ее источниках. Насколько удачеи установить, Дион Кассий использовал большое количество разнообразных произведений древних авторов (труды римских анналистов, Нодибия, Тита Ливия Саллюстия, Плутарха, „Записки“ Юлия Цезаря, Тацита, Плиния), а также официальные документы, отчеты военачальников и магистратов, мемуары, переписку и т. д.

Значительные сведения содержатся в труде Диона Кассия и относительно истории Грузии. Эти сведения, в основном, относятся к политической истории, в частности к истории римско-грузинских отношений; однако, наряду с этим, в известиях Диона Кассия содержится и ряд указаний, которые приобретают определенное значение при изучении государственного строя, социальных отношений и других сторон истории древней Грузии.

В первую очередь, обращают на себя внимание те главы „Римской истории“, в которых описывается начальный этап римской экспансии в страны Закавказья. Дион Кассий уделяет большое место изложению истории третьей митридатовой войны,

143

походов Лукулла и Помпея в Закавказские страны. Эти события описываются Дионом особенно подробно и с хорошим знанием дела. Для нас, главным образом, большое значение имеют сведения Диона Кассия о походах Помпея в Иберию и Колхиду. Описание этих походов сохранилось в трудах и других авторов (Плутарх, Аппиан), но рассказ Диона Кассия значительно более подробен, оставляет впечатление большей достоверности и, как видно, основан на источниках, заслуживающих доверие. Вступление Помпея в Иберию, маршрут этого похода, борьба с иберским царем и все этапы этой борьбы переданы Дионом особенно точно и подробно. Сведения Диона Кассия относительно походов Помпея в Иберию и Колхиду, первого столкновения с албанцами, вторичной борьбы с ними, позволяют нам внести ряд коррективов в данные других авторов об этих событиях.

Большое значение для изучения истории древней Грузии имеют и те места „Римской истории“, которые хотя и не относятся непосредственно к Грузии, но где излагается история борьбы Рима с понтийским царем, дипломатические взаимоотношения Рима и Армении, Рима и Парфии. Эти места содержат много интересных деталей и помогают специалистам в деле

понимания той общеполитической ситуации, которая складывается к 1 в. до н. э. на Ближнем Востоке, и которая оказывала огромное влияние на грузинские государства и их взаимоотношения с Римом, или другими политическими силами. В этом отношении, наше внимание особенно привлекает описание отношений между Помпеем и царем Парфии Фраатом после походов первого в Закавказье (см. кн. XXXVII, гл. 5–7). Дион Кассий довольно подробно излагает те противоречия, которые уже тогда возникали между Римом и Парфией, и которые положили начало носделующему длительному соперничеству между этими странами. Особенно интересно то место этой книги „Римской истории“, где говорится о первых признаках сближения Армения и Парфии. Дион Кассий прямо говорит, что перед лицом опасности римской агрессии, эти два, когда-то враждующих государства начинают искать путь; примирения, т. к. обе стороны хорошо понимали, „что кто из них победит другую, тем самым усилит римлян и сам легко будет побежден имя“ (XXXVII, 7,4). Здесь довольно хорошо подмечены те причипы»

144

которые привели в дальнейшем к тесному сближению Армения и Парфии, появлению в Армения сильной пронарфанской партии, и которые обусловили длительную борьбу между Римом и Парфией за обладание Армения. А в этой борьбе активно участвует в дальнейшем так-же и Иберия, так-что все эти обстоятельства весьма важны для истории восточногрузинского государства.

В 45 гл. XLII книги „Римской истории“ Дион Кассий рассказывает о выступлении сына Митридата VI-го Фарнака против Юлия Цезаря. Эта часть труда Диона Кассия интересна в том смысле, что только здесь дается сведение о том, что наряду с другими областями, Фарнак „легко покорил всю Колхиду“ (XLII, 45, 3). Это указание может позволить предположить, что л е г к о е покорение Колхиды было вызвано теми антиримскими настроениями, которые имели место среди населения Коахиды, недовольного Зависимостью от Рима, а это обстоятельство имеет определенное значение для понимания положения, сложившегося в Колхиде после вторжения римлян.

Внимание исследователей уже давно было привлечено к тому фрагменту труда Диона Кассия, где упоминается относительно похода одного из военначальников А н т о н и я П у б л и я К а н и д и я К р а с с а против иберов и албанцев в 36 г. до н. э. об этом походе краткие сведения имеются также у П л у т а р х а м С т р а б о н а , но известие Диона Кассия имеет значение и в том смысле, что в нем, с указанием точной даты, упоминается неизвестное другим источникам имя паря Иберия Ф а р н а б а з а (Фарнаваз). Упоминание этого царя позволяет внести еще одно, достоверно известное имя в далеко не полный список царей

античной Иберии. Такого-же порядка и другое известие Диона Кассия, относящееся к 35 г. н. э. Здесь упоминается отец царя Фарсмана I-го М и т р ы д а т , имя которого так-же не известно другим источникам.

„Римская история“ является добавочным источником для изучения того важного периода истории Иберии, когда она значительно усиливается и активно вмешивается в борьбу за армянский престол. Правда, эти события у Тацита излагаются значительно подробнее, чем в фрагментах Диона Кассия, однако они все же восполняют и конкретизируют соответствующие места „Анналов“ Тацита.

10. ԳՕԽԵ ՀՅՅՕԽԵ

145

Довольно подробно рассказывает Дион Кассий о борьбе за Армению в правление императора Нерона под командованием К о р б у л о н а . Для этих событий Дион Кассий считается лучшим и сравнительно объективным источником. Правда, походы Корбулона не коснулись непосредственно Грузии, но, во-первых, иберы, как видно, помогали римлянам, а во-вторых, исторические судьбы Армении и Иберии были в то время настолько тесно связаны, что не зная тогдашнего положения Армении и всех событий борьбы за нее между Римом и Парфией, невозможно будет правильно понять роль и значение Иберии на исторической арене Ближнего Востока.

Определенный интерес представляет и краткое известие о подготавливаемой Нероном походе к К а с п и й с к и м в о р о т а м . Хотя отрывочный фрагмент Диона Кассия не позволяет судить о цели этого похода, но для выяснения его направления, этот фрагмент имеет некоторое значение. Упоминание здесь Каспийских ворот, на наш взгляд, подтверждает мнение тех ученых, которые считают объектом этого похода а л а н о в , а не Албанию, поскольку, под Каспийскими воротами, очевидно, подразумевается Дарьяльское ущелье; установление цели и направления кавказского похода Нерона теснейшим образом связано с тогдашней историей Картли – Иберии.

Большое значение имеют два фрагмента „Римской истории“ (LXVIII, 19, 1–2 и LXXI, 14, 2), содержащие упоминание царя г е н и о х о в (В первом фрагменте названо и его имя – А н х и а л). Эти фрагменты, рассказывающие об участии царя одного из западно-грузинских царств – царства гениохов в походах римлян, являются конкретными свидетельствами той обязанности, которая возлагалась римлянами на зависимые политические единицы – обязанности участия в римских военных операциях.

Во II в. н. э. удельный все Иберии на Ближнем Востоке. значительно увеличился. Царь Иберии Ф а р с м а н II не страшитя проводить независимую, нередко противоречащую римским интересам политику. Римское правительство вынуждено

считаться с возросшим значением Иберии и подарками и посулами удерживать ее в числе своих союзников. Сведения об этом сохранились у многих римских историков, но их данные, в значительной мере, восполняются несколькими фрагментами

146

Диона Кассия, в которх рассказывается о вторжении приведенных Фарсманом алан в римские провинции и союзные государства, о посещении царем Иберии Рима и торжественном приеме, оказанном Фарсману императором. Эти фрагменты позволяют уяснить тогдашнюю роль и значение Иберия.

Для изучения древней истории Грузии определенное значение имеют и отдельные сведения Диона Кассия. Так например: именование столицы Иберии „Акрополем“ дает некоторые указания относительно характера взаимосвязи столицы Иберии города Мцхета и его акрополя – Армаз-цixe.

